23	SNCR სისტემა
24	ცენტრალური მართვის ოთახი
25	კლინკერის სილოსი (დაგეგმილია სამომავლოდ)
26	ღუმელის ტანის სკანერი
27	სატუმბო სადგური
28	ცხელი აირის გენერატორის ოთახი
29	ნახშირის წისქვილი
30	ნახშირის დახურული საწყობი
31	ცელიტური ტუფის საწყობი და ტრანსპორტირების სისტემა
32	კორქის 1500 მ3 მოცულობის სილოსი
33	კორქის 300 მ3 მოცულობის სილოსი
34	ნედლეულის საწყობი - 1 (ხიდურა ამწეებით)
35	ნედლეულის საწყობი - 2 (ხიდურა ამწეებით)
36	კლინკერის დატვირთვის კვანძი
37	კლინკერის სილოსები
38	ნედლეული მასალების სილოსები
39	N1 ცემენტის წისქვილი
40	N2 ცემენტის წისქვილი
41	N3 ცემენტის წისქვილი
42	N4 ცემენტის წისქვილი
43	ცემენტის სილოსები
44	შეფუთვისა და პალეტოზირების სამუშაო
45	ვარგებში ნაყარი ცემენტის დატვირთვის კვანძი
46	ცემენტბიძებში ნაყარი ცემენტის დატვირთვის კვანძი
47	საბურავების საწყობი და ტრანსპორტირების სისტემა
48	მეორადი ზეთის აგზი და საწვავი სისტემა
49	ადმინისტრაციული მართვის შენობა
50	ფიზიკურ-მექანიკური ლაბორატორია
51	სასადილო
52	აბანო
53	ქიმიური ლაბორატორია



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002430

2021 წლის „18“ „ოქტომბერი“
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ჭაიღელბერბსემენტ ჯორჯია“-ზე, ს/ნ 230 866 435;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: _____
სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უპროსის 2021 წლის 18 ოქტომბრის №1440/ს
ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: _____
ქალაქ კასპის ტერიტორიაზე, შარნავაგის ქუჩა №2-ში,
მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო ღანიშნულაბით) მოპოვება;
K-38-77-ნ-ნ ნომენკლატურის ტოპორუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მიწაქუთხვის უარყოფი - 0.07 ჰა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო ღანიშნულაბით) მოპოვება -
- წელიწადში 86 400 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები: _____

ბანსაგვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 18
ოქტომბრის №1440/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 25 წელი, 18.10.2021 დან 19.10.2046 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი



(ხელმოწერა)



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.



(ხელმოწერა)

ბ.ა



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020149956156621

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 1440/ს

18 / ოქტომბერი / 2021 წ.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე (ს/ნ 230866435) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 10 სექტემბრის №1244/ს ბრძანებების, 2021 წლის 29 სექტემბერს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის შედეგად მე-3 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (განაცხადის №410OTH321), ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი მტკნარი წყლის მოცულობა 86 400 მ³/წელიწადში, ლიცენზიის მოქმედების ვადა 25 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 3072,30 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე (ს/ნ 230866435) ქალაქ კასპის ტერიტორიაზე, ფარნავაზის ქუჩა N2-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამენარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 25 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუნესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 0.07 ჰა) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების (ჭა) გარშემო 15 მეტრიანი რადიუსის წრეხაზის შიგნით, რომელიც წარმოადგენს სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას;

ბ) მიწისქვეშა მტკნარი წყლის (P კატეგორია) მოცულობა ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვროს წელიწადში 86 400 მ³-ის ოდენობით;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ვ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ზ) გარდა ამ ბრძანების „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა. ამასთან, ლუქის ახსნა-დადება უნდა განხორციელდეს ლუქის მიღება-ჩაბარების შესახებ აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტო მასალას ჭის X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;

თ) მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჩამოსხმის მიზნით ან/და ძირითად ნედლეულად გამოყენების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლუქის ახსნა-დადებისა და შესაბამისი აქტის შედგენის უზრუნველყოფის მიზნით, მიმართოს ლიცენზიის გამცემს;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მონესრიგება;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გამცემს ყოველკვარტალურად (არაუგვიანეს კვარტლის ბოლო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა) წარუდგინოს ინფორმაცია გამოყენებული სამენარმეო წყლის იმ ოდენობის შესახებ, რომელსაც გამოიყენებს ჩამოსხმის მიზნით, ან/და პროდუქციის ძირითად ნედლეულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);


ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „წყლის შესახებ“ და „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 1230, 26.07.2021წ. (ID_52379_23010) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი სხვა პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მონომობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემენტრულად 

ოთარი დანელია

დანართი (1 გვ.)

დამტკიცებულია
სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
2021 წლის "12/10" № 1440/ს ბრძანებით




ქალაქ კასპის ტერიტორიაზე, ფარნავაზის ქუჩა N2-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი
(სამეწარმეო დანიშნულებით) ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

№	X	Y
1	451562.953	4640969.372
WGS 1984		

ჩაჯანგო, თურქია; მისივე; გუბერია ო. სეფა.
მ.წ. მისი ჩატინგალი (მის: ე. მისი, სსიპ.
ად. ყაბუქაი 21, მის: 544 490 594)


01.11.2021



ლიცენზიის № 40002430

კ-38-77-ბ-6
 ნომერკლასიკაციის 1:10 000 მასშტაბის
 ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

ქ. კახის მიწებზე გეოდეზიის
 სახარვეზო წარმართვის (წყალი)
 საზღვრობის მონიშნის პროექტის

N	X	Y
1	451562.953	4640969.372

WGS 1984

HCG/34

121

მინდობილობა

გაცემულია 2021 წლის (ორი ათას ოცდაერთი) წლის 22 იანვარს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 230866435) ფინასური დირექტორის ეკა ტყეშელაშვილის და სამშენებლო მასალების დირექტორის დავით ჯულაშვილის მიერ.

აღნიშნული დოკუმენტით მის წარმდგენს, ზაზა ჯიჯეიშვილს (პ/ნ 01009017921) ენიჭება წარმომადგენლობითი უფლება ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოში, ორგანიზაცია-დაწესებულებაში და ეძლევა უფლება კომპანიის სახელით განახორციელოს სალიცენზიო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ის საქმიანობა (ინფორმაციების გამოთხოვა; აუქციონებში მონაწილეობა; ლიცენზიასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება-წარდგენა; რეგისტრაციის პროცედურების გავლა; ლიცენზიების ჩრული ან ნაწილობრივი გასხვისება/გაიჯარება; ანგარიშგება და სხვა), რომელიც არ იკრძალება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მინდობილობა ძალაშია გაცემის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

ფინასური დირექტორის ეკა ტყეშელაშვილის

სამშენებლო მასალების დირექტორის დავით ჯულაშვილი

დანართი 3.2



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002572

2021 წლის „20“ „დეკემბერი“
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ჰაილენდპერპეტუალ ჯორჯია“-ს, ს/ნ 230 866 435;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უპროსის 2021 წლის 20 დეკემბრის №1789/ს ბრკანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი:

ქალაქ კასპის ტერიტორიაზე,
მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო ღანიშნულაბით) მოპოვება;
K-38-77-ნ-6 ნომენკლატურის ტოპორუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მიწაქუთუნის ფართობი - 0.07 ჰა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო ღანიშნულაბით) მოპოვება -
- წელიწადში 259 200 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები: _____

განსაზღვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 20
დეკემბრის №1789/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 25 წელი, 20.12.2021 და 21.12.2046 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი


(ხელმოწერა)



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.


(ხელმოწერა)

ბ.ს

დამკვეთი: სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ქეჩერა“
სფს-ს რეგისტრაციის № 24-5288

დანართი 3.3



საქართველო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1005253

201 8 წლის „ 14 “ „ თებერვალი “
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია _____ შპს „კაილაშპრობსერვის ჯორჯია“-ზე,
ს/კ 230 866 435;
(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: _____

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 14 თებერვლის №205/ს
ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: _____

ქალაქ კასპის ტერიტორიაზე, შარნავაგის ქუჩა №2-ში,
მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით);
K-38-77-ნ-ნ ნომენკლატურის ტოპოგრაფია (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მინერალური რესურსების ფართობი - 0,07 კა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო ღანიშნულაბით) მოპოვება -
- წელიწადში 30 660 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები: _____


განსაზღვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 14
თებერვლის №205/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 25 წელი, 14.02.2018 დან 15.02.2043 მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“
უფლებამოსილი წარმომადგენელი


(ხელმოწერა)
ბ.ა.


გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.


(ხელმოწერა)
ბ.ა.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო



KA000021013291018

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 205/ს

14 / თებერვალი / 2018 წ.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე (ს/ნ 230866435) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 20 მარტის №1/ნ ბრძანების, 2018 წლის 9 იანვარს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, (აუქციონის შედეგად მე-12 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (236DQB1217), ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი მტკნარი წყლის მოცულობა 30 660 მ³/წელიწადში, ლიცენზიის მოქმედების ვადა 25 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 1090,10 ლარი) შედეგებისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე (ს/ნ 230866435) ქალაქ ვასპის ტერიტორიაზე, ფარნავაზის ქუჩა №2-ში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 25 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ა) დაუწესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 0,07 ჰა) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების (ჭაბურღილი) გარშემო 15 მეტრიანი რადიუსის წრეხაზის შიგნით, რომელიც წარმოადგენს სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას;
- ბ) მიწისქვეშა მტკნარი წყლის (P კატეგორია) მოცულობა ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვროს წელიწადში 30 660 მ³-ის ოდენობით;
- გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის

ე) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

ვ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ალების საშუალება;

ზ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჰაბურდილის თავმორთულობის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გამცემს ყოველკვარტალურად (არაუგვიანეს კვარტლის ბოლო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა) წარუდგინოს ინფორმაცია გამოყენებული სამეწარმეო წყლის იმ ოდენობის შესახებ, რომელსაც გამოიყენებს ჩამოსხმის მიზნით, ან/და პროდუქციის ძირითად ნედლეულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „წყლის შესახებ“ და ”ზუნდბრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის № ს/ზ-14219/06 03.10.2017წ. სამსახურბრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი სხვა პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, ქოველიძის ქ. №10ა), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

Handwritten signature



მაია ზავრაშვილი

დანართი (1 გვ)

დამტკიცებულია
სსიპ - წილის ეროვნული სააგენტოს უფროსის
2018 წლის 19 აპრილის № 205/ ბრძანებით



ქალაქ კასპის ტერიტორიაზე, ფარნავაზის ქუჩა №2-ში მიწისქვეშა მტკნარი წყლის
(სამეწარმეო დანიშნულებით) ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

№	X	Y
1	451724	4640984
WGS 1984		

ჩავიბარე ლიცენზია, რუკა, ბრძანება და გეოსაინფორმაციო პაკეტი

რეკვიზიტები: შპს „აბოლდ ბიოტექნოლოჯის“

ბიზნეს ცენტრი - 920 ქ. თბილისი


მ.ა.: ქ. ვაჟა-ფშაველას, ად. ყაზრგი 21

ქ/ლ: 544 490 594

გავეცანი ბრძანებით გათვალისწინებულ სალიცენზიო პირობებს და ვიღებ ვალდებულებებს მათ შესრულებაზე

ხელმოწერა: 

თარიღი: 26.02.2018



საქართველოს რესპუბლიკის
გეოდეზიის ეროვნული ცენტრი
№ 1005253

K-38-77-5-6
ნომენკლატურის 1:10 000 შასშტაბის
ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

ქ. კასპის მუშაბარე ტერიტორიაზე სახარტებლო
წილისეულით (წყალი) სარტებლოდის
ობიექტის კოორდინატა

№	X	Y
1	451724	4640984
WGS 1984		



საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6449/01
25/06/2021

6449-01-2-202106251507



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“
გარემოს დაცვის მენეჯერს
ბატონ გიორგი ჩალაძეს
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #21

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი განცხადება (#9877 07.06.2021), რომელიც ეხება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის ცემენტის ქარხნის წყალმომარაგების მიზნით ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე ტექნიკური პირობების შეთანხმებას.

გიგზავნით 2021 წლის 22 ივნისს შეთანხმებულ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“
№ HC/102
29 06 2021წ.
კანცელარია

შეთანხმებულია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი

კნეზი მკურველი

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)



მ. მკურველი

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

რეგისტრაციის № _____

“ 22 ” “ ივნისი ” 2021 წ.

პირობების მოქმედების ვადა 22.06 20 წლამდე

ტექნიკური პირობები

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე

2021-2026 წლების პერიოდისათვის

წყალმოსარგებლის დასახელება: შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ: 230866435)

წყალმოსარგებლის იურიდიული მისამართი და ტელეფონის ნომერი: თბილისი, ალ. ყაზბეგის 21,
2 474747

საქმიანობის განხორციელების ფაქტიური ადგილმდებარეობა, მისამართი: ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.
2 (ს/კ 67.01.51.048)

წყალსარგებლობის მიზანი: ქარხნის ტექნიკური პროცესი

გამომწვეული პროდუქცია, რაოდენობა წელიწადში (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კლინკერი
- 1191300 ტონა, ცემენტი - 900000 ტონა

სამუშაო დღეების რაოდენობა/წელ. სამუშაო საათების რაოდენობა/დღ.) 360 დღე /24 სთ

ზედაპირული წყლის ობიექტი, საიდანაც ხდება წყლის ამოღება: მდინარე მტკვარი

წყლის ამოღების წერტილი (GPS კოორდინატები): x 450954 y 4639962

ამოღებული წყლის რაოდენობა:

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში (ათასი მ ³)
111,6	100,8	111,6	108,0	111,6	108,0	111,6	111,6	108,0	111,6	108,0	111,6	1314,0

ზედაპირული წყლის ობიექტი, სადაც ხდება გამოყენებული წყლის ჩაშვება: ჩაშვება არ ხდება
ჩაშვებული წყლის რაოდენობა:

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში (ათასი მ ³)
0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0


წყალმოსარგებლე ობიექტის პასუხისმგებელი პირი

კასპის ცემენტის ქარხნის მენეჯერი

(თანამდებობა)

დავით ალუღიშვილი

(სახელი, გვარი)



(ხელმოწერა)


“_4_” “_ივნისი_” 2021 წ.

ბ.ა.

დანართი 4.1



საკმედიცინო კურორტი
შეკრების ადგილი
ჰორიზონტი



კვილაკმედიცინო ჰორიზონტი
ბასილის ძირსა

სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის ინსტრუქცია

მოქმედების სფერო
შედგენილია

შ.პ.ს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ასპის ცემენტის ქარხანა
არჩილ ჩუთლაშვილი H&S ინჟინერი/სახანძრო უსაფრთხოების მენეჯერი



შეთანხმებულია

ეკატერინე ვაშაკიძე HR/H&S დირექტორი

გიორგი კობახიძე H&S კოორდინატორი

დამტკიცებულია

მიხაილ ჰამპელი გენერალური დირექტორი

შედგენის თარიღი
ვერსია

18.04.2018
01

1. შესავალი

წინამდებარე ინსტრუქცია ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს შ.პ.ს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს კასპის ცემენტის ქარხანაში და სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც ქარხნის თანამშრომლებისათვის, ასევე კონტრაქტორი/იურიდიული პირებისა და სტუმრებისათვის, რომლებიც გარკვეულ სამუშაოებს ახორციელებენ ქარხნის ტერიტორიაზე.

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება ტექნიკურ რეგლამენტს „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ და კომპანიის სახანძრო რისკების შეფასებას.

2. პასუხისმგებლობები

პასუხისმგებლობა ინსტრუქციით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ეკისრებათ, როგორც კომპანიის თანამშრომლებს, ასევე კონტრაქტორებს, ფიზიკურ/იურიდიულ პირებსა და სტუმრებს, რომლებიც გარკვეულ საქმიანობას ახორციელებენ ქარხნის ტერიტორიაზე.

ქარხნის ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიის და კონტრაქტორი ორგანიზაციის ყველა თანამშრომლები ვალდებული არიან:

- დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები და ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი;
- დაიცვან წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული უსაფრთხოების ზომები, რაც დაკავშირებულია ელექტრო-აირ შედუღებისა და ცხელი ჭრის, საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნების მოხმარებისას, ადვილად აალებადი და წვადი სითხეების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;
- არ ჩახერგონ საევაკუაციო გზები და გასასვლელელები;
- ხანგრძლივი შესვენების დროს (1 საათზე მეტი) ან სამუშაოს დამთავრების შემდეგ გამორთონ პერსონალური კომპიუტერები ან სხვა ელექტროხელსაწყოები (მაცივრების გარდა) ჩამრთველის ჩანგლის ელექტროროზეტიდან გამორთვის გზით;
- სამუშაოს დამთავრების შემდეგ სათავსოს დაკეტვის წინ ჩაატარონ მათი დათვალიერება, დახურონ ყველა სარკმელი, გამორთონ ყველა ელექტროხელსაწყო და განათება;
- არ დაუშვან კიბის უჯრედების, დერეფნების, ჰოლის თვითჩამკეტი კარების ღია მდგომარეობაში დატოვება.

3. კომპანიისა და კონტრაქტორი ორგანიზაციების თანამშრომლებს ეკრძალებათ:

- სათავსებში ადვილადააღებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა;
- თამბაქოს მოწევა სათავსებში;
- სათავსებში და ქარხნის ტერიტორიაზე ღია ცეცხლის გამოყენება;
- არაქარხნული წესით დამზადებული და გაუმართავი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტროინსტრუმენტების გამოყენება;
- სათავსის გათბობის მიზნით ღია სპირალის მქონე, არასტანდარტული (თვითნაკეთი) ელექტროგამახურებელის და ელექტროგათბობლების გამოყენება;
- ქსელში ჩართული ელექტროხელსაწყოების უმეტესაღმრავლეს შემთხვევაში დატოვება.

4. სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზაციული ზომები

ქარხანაში ყველა ადმინისტრაციულ, ტექნოლოგიურ, საინჟინრო, დამხმარე და სასაწყობე სათავსოში თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოკრული გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის ტელეფონის ნომერი 112.

ქარხნის მენეჯერის ბრძანებით ქარხანაში დადგენილი უნდა იყოს ხანძარსაშიშროების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი, მათ შორის:

- განისაზღვროს ხანძრის შემთხვევაში და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ელექტრომოწყობილობების გამორთვის წესი;
- დადგენილი იქნეს სამუშაოს დამთავრების შემდეგ ქარხნის სათავსოების დათვალიერების და დაკეტვისა გასაღებების შენახვის წესი.
- დადგენილ იქნეს ქარხნის შენობა - ნაგებობებისა და ტერიტორიის დასუფთავების, ნაგვის შეგროვების, შენახვისა და გატანის წესი.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი (სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება)

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ინჟინერის ან/და კოორდინატორის (სახანძრო ზედამხედველი) მიერ სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, შენობების (სათავსების) და მოწყობილობების ხანძარსაშიშროების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით.

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების ორგანიზებას დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური.

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ითვალისწინებს კომპანიისა და კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის გაცნობას:

- ტერიტორიის, შენობის და სათავსების, მათ შორის სავაჭურავი გზების, გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვასთან;
- შენობის, სათავსების, მოწყობილობების ექსპლუატაციისა და ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ღონისძიებებთან;
- ხანძრის დროს მათ ვალდებულებებთან და მოქმედებებთან, გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურების გამოძახების წესებთან, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნებთან;
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევაზე მათ პასუხისმგებლობასთან.

ხასიათის და ჩატარების დროიდან გამომდინარე არსებობს შემდეგი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი - საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი:

- საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი - უტარდება ყველა ახლად მიღებულ თანამშრომელს. (ასევე კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლებს) მიუხედავად მისი განათლებისა და პროფესიის მიხედვით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა. ინსტრუქტაჟის პროგრამა დგება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სტანდარტების, ნორმების, წესების ინსტრუქციების გათვალისწინებით. ინსტრუქტაჟის ჩატარებისას ხდება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების პრაქტიკული ჩვენება;
- განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი - უტარდება ყველა თანამშრომელს მიუხედავად მისი თანამდებობისა, კვალიფიკაციისა, განათლებისა და მუშაობის სტაჟისა არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ. ინსტრუქტაჟის ჩატარებისას მოწმდება მათ მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, ქარხნის სავაჭურავი გასასვლელების, ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების და ევაკუაციის წესების ცოდნა;
- მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი - უტარდება იმ თანამშრომლებს რომლებიც ასრულებენ მომეტებული საშიშროების ერთჯერად სამუშაოებს (ელექტრო-აირ შეღებებისა და ცხელი ქრის სამუშაოები, სამღებრო სამუშაოები). ინსტრუქტაჟის ჩატარებისას მოწმდება მომეტებული საშიშროების სამუშაოების შემსრულებლების მიერ ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების, ხანძრის დროს მოქმედებებისა და ევაკუაციის წესების ცოდნა.

6. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხნის ტერიტორიისათვის

- ქარხნის ტერიტორია დროულად უნდა გასუფთავდეს წვადი ნარჩენების, ნაგვის, ჩამოცვენილი ფოთლების, ტოტების, ხმელი ბალახისგან.
- შენობა - ნაგებობებთან, წყლის წყაროებთან (სახანძრო ჰიდრანტები) მისასვლელები და გასავლელები უნდა იყოს მოწესრიგებული და თავისუფალი სახანძრო ტექნიკის მისასვლელად, ხოლო ზამთრის პერიოდში გაწმენდილი თოვლისა და ყინულისგან.
- დაუშვებელია კოცონის გაჩაღება, ღია ცეცხლის გამოყენება, ნარჩენების და ნაგვის დაწვა ქარხნის მთელ ტერიტორიაზე.

7. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხნის ტრანსპორტის სადგომებისათვის

- 25 ერთეულზე მეტი რაოდენობის ტრანსპორტზე გათვალისწინებული სადგომებისთვის უნდა იქნეს შემუშავებული სატრანსპორტო საშუალებების განთავსების გეგმა ხანძრის შემთხვევაში მათი ევაკუაციის რიგითობის და წესის აღწერით. საპარკინგე ადგილებზე დაშვებულია მხოლოდ რევერსული პარკირება.
- სატრანსპორტო საშუალებების სადგომი ადგილები უნდა იყოს აღჭურვილი საბუქსირე გვარლებით, 10 ერთეულ ტექნიკაზე ერთი გვარლის გათვალისწინებით.
- ტრანსპორტის სადგომ სათავსებსა და ღია მოდანზე აკრძალულია:
 - სატრანსპორტო საშუალებების ნორმაზე მეტი რაოდენობით დაყენება;
 - მათი განლაგების გეგმის დარღვევა;
 - ავტომობილებს შორის მანძილის შემცირება;
 - გამოსასვლელი ჭიშკრისა და გასასვლელის ჩახერგვა;
 - სატრანსპორტო საშუალების გაჩერება საწვავის ავზების ღია ყელით, აგრეთვე საწვავისა და ზეთის გაჟონვის შემთხვევაში;
 - სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა და მისი ჩამოსხმა;
 - საწვავის ტარის, საწვავისა და ზეთის შენახვა;
 - აკუმლატორების დამუხტვა უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებაზე;
 - ძრავების შეთბობა ღია ცეცხლით.
 - ავტომობილის სადგომ სათავსებში დაღვრილი ზეთი და საწვავი დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს ქვიშის ან ნახერხის გამოყენებით. გამოყენებული ქვისა, ნახერხი და საწმენდი ჩვრები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი და მოთავსებული სადგომი სატავსების გარეთ სპეციალურად მოწყობილი ლითონის ხუფიან ყუთებში.
 - დაუშვებელია ავტომობილების ექსპლუატაცია მის ძრავზე ან კარტერზე ბენზინთან ან ზეთთან შერეული ჭუჭყის არსებობისას.

8. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხანაში ელექტრო-აირ შედუღებისა და ცხელი ჭრის სამუშაოების შესრულებისას

ქარხანაში ელექტრო-აირ შედუღებისა და ცხელი ჭრის სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირები (სამშრომლის ხელმძღვანელები და ცვლის უფროსები) ვალდებული არიან:

- უზრუნველყონ მომეტებული საშიშროების ზონაში (ნახშირის საამქრო; ნახშირის ღია და დახურული საწყობი; დახურული სივრცე; სათავსოები; ელ.მართვის ოთახები; საკომპერსორები; საწვავის რეზერვუარებთან 20მ და ნაკლები სიანლოვექვესადგურები; საკაბელო ესტაკადები) სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულება.

9. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხნის სათავსოებისათვის

- ყველა ტექნიკური-საინჟინრო და სასაწყობო დანიშნულების სათავსოსათვის უნდა იყოს განსაზღვრული აფეთქებადხანძარ და ხანძარსაშიშროების კატეგორიები, აგრეთვე ზონის კლასი („ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ მიხედვით), რომლებიც უნდა იყოს აღნიშნული სათავსოს კარებზე.
- ქარხნის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და დანადგარები (მათი არსებობის შემთხვევაში) მუდმივად უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში.
- საევაკუაციო კარების თვითჩამკეტი მოწყობილობა უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში. დაუშვებელია რაიმე სამარჯვის დაყენება, რომელიც ხელს შეუშლის ხანძარსაწინააღმდეგო ან კვამლსაწინააღმდეგო კარების (მოწყობილობის) ნორმალურ დაკეტვას.
- ხანძრის თავიდან აცილების მიზნით დაუშვებელია სამუშაოების ჩატარება გაუმართავ მოწყობილობებზე, დანადგარებსა და აგრეგატებზე, აგრეთვე, გამართულ საკონტროლო ხელსაწყოებსა და ტექნოლოგიურ ავტომატიკაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ტემპერატურის, წნევის და სხვა პარამეტრების უსაფრთხოების პირობით რეგლამენტირებული მოცემული რეჟიმების კონტროლს.

ქარხნის სათავსოებში აკრძალულია:

- ტექნიკური სათავსოების სხვა დანიშნულებით გამოყენება, მათი შორის მოწყობილობების, ავეჯის და სხვა საგნების შესანახად;
- დერეფნებიდან, ჰოლებიდან და კიბის უჯრედიდან საევაკუაციო გასასვლელების პროექტით გათვალისწინებული კარების, საევაკუაციო გზებზე ხანძრის საშიში ფაქტორების გავრცელების შემაკავებელი სხვა კარების მოხსნა. მოცულობითი-გეგმარებითი გადაწყვეტილების შეცვლა, რომლებიც იწვევენ ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის პირობის გაუარესებას, ზღუდავენ ცეცხლმაქრებთან და სახანძრო უსაფრთხოების სხვა საშუალებებთან მისვლას;
- 50 და მეტი ადამიანის თავშეყრა იმ სათავსოებში, რომლებსაც მხოლოდ ერთი საევაკუაციო გასასვლელი აქვთ;

- სათავსოების დალაგება ბენზინის, ნავთის და სხვა ადვილადაალებადი და წვადი ნივთიერებების გამოყენებით.

10. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ლაბორატორიის სათავსებისათვის

- ადვილადაალებადი და წვადი სითხეების და წვადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ საცავებში (საკნები)
- ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, უწყ კარადებში. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები უნდა იყოს წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით: „ხანძარსაშიში“, „ფეთქებადხანძარსაშიში“, „შხამიანი“, „ქიმიურად აქტიური“. ლაბორატორიის სათავსებში ადვილადაალებადი და წვადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და მსხვრევისგან დაცულ ტარაში.
- ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადებში.
- გამწოვ კარადებში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის ზედა და ქვედა გაწოვა, თუ ჩატარებულ სამუშაოებს თან ახლავს ხანძარფეთქებადსაშიში ორთქლისა და აირების გამოყოფა.
- ლაბორატორიის მაგიდები და გამწოვი კარადები, რომლებიც განკუთვნილია ადვილადაალებადი და წვად სითხეებსა და წვად აირებთან, აგრეთვე ხანძარფეთქებადსაშიშის ნივთიერებებთან სამუშაოდ, უნდა იყოს შესრულებული უწყვი მასალისგან.
- ხანძარსაშიშ სათავსებსა და ხანძარფეთქებადსაშიშ მოწყობილობებზე უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები.
- ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და ხანძარსაშიში თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით.
- აზოტის და გოგირდმჟავას შენახვისას უნდა იყოს მიღებული ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მათ შეხებას ხის მასალებსა და სხვა ორგანული წარმოშობის ნივთიერებებთან.
- ლაბორატორიის სათავსებში აკრძალულია:

- ადვილად ალერგიული და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა;
- მუფელის ღუმელების უმეტესად მცურეოდ დატოვება ჩართულ მდგომარეობაში.

11. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხნის საევაკუაციო გზებისადმი

- საევაკუაციო გზებზე გამავალი ყველა კარი უნდა იღებოდეს თავისუფლად გასვლის მიმართულებით, გარდა კარებისა, რომელთა გაღება არ არის ნორმირებული სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებით. საევაკუაციო გასასვლელების კარებზე არსებული საკეტები თავისუფლად უნდა იღებოდეს შიგნიდან, გასაღების გარეშე.
- საევაკუაციო გზების და გასასვლელები ექსპლუატაციისას აკრძალულია:
 - ✓ საევაკუაციო გზების და გასასვლელების (დერეფნის, კიბის ბაქნების, კიბის საფეხურების, კარების) სხვადასხვა მასალით, ნაკეთობით, მოწყობილობებით, საწარმოო ნარჩენებით, ნაგვით და სხვა საგნებით ჩახერგვა, აგრეთვე საევაკუაციო გასასვლელის აჭედვა;
 - ✓ საევაკუაციო გზებზე ზღურბლების (გარდა კარების ღიობების ზღურბლებისა), ტურნიკეტების, გასაწევი, ასაწევი და მბრუნავი კარების და ადამიანთა თავისუფალი ევაკუაციის
 - ✓ სხვა დამაბრკოლებლების მოწყობა;
 - ✓ საევაკუაციო გზებზე კედლებისა და ჭერის, აგრეთვე კიბის საფეხურებისა და ბაქნების;
 - ✓ გასაწყობად, მოსაპირკეთებლად და შესაღებად წვადი მასალების გამოყენება;
 - ✓ კიბის უჯრედების, დერეფნის და ჰოლისა თვითჩამკეტი კარების ღია მდგომარეობაში;
 - ✓ ფიქსირება, აგრეთვე მათი მოხსნა;
 - ✓ ადამიანთა მასობრივი თავშეყრის სათავსებში ხალიჩები და იატაკის სხვა საფენები;
 - ✓ საიბედოდ უნდა იყოს დამაგრებული იატაკზე.

12. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხნის ელექტროდანადგარებისათვის

ელექტროდანადგარების, და ელექტროქსელების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან:

- უზრუნველყონ ელექტრომოწყობილობების, დამცავი აპარატურის და ელექტროქსელების პროფილაქტიკური დათვალიერების და გეგმიურ-გამაფრთხილებელი შეკეთების დროული ჩატარება და იმ დარღვევების დროული აღმოფხვრა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი;
- სისტემატიურად გააკონტროლონ დაცვის აპარატების მდგომარეობა მოკლე ჩართვების, გადატვირთვების, დიდი გარდამავალი წინააღმდეგობისა და შიდა ატმოსფერული გადამეტაძვებისაგან;
- ელექტროქსელების იზოლაციის წინააღმდეგობის გაზომვა უნდა განხორციელდეს სამ წელიწადში ერთხელ ნორმალური გარემოს მქონე სათავსებში;
- სხვადასხვა დენმიმღებების ახალი შეერთებები უნდა განხორციელდეს ელექტრომეურნეობის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირის ნებართვით და ელექტროქსელის გამტარუნარიანობის გათვალისწინებით;
- ელექტროქსელების, ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ნაკვეთობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათ ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი უნდა განხორციელდეს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების თანახმად;
- ქარხნის სათავსებში, რომლებშიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ არ იმყოფებიან ადამიანები, ელექტროდანადგარები და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები უნდა იყოს გაუდენურებული (მორიგე განათების, ხანძრის აღმოჩენის სისტემის გარდა). სხვა ელექტროდანადგარები და ელექტროტექნიკური ნაკვეთობები შეიძლება იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ, თუ ეს განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია ექსპლუატაციის შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნებით.

ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის დროს აკრძალულია:

- ელექტრომიმღების ისეთ პირობებში გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება დამამზადებელი საწარმოების რეკომენდაციებს (ინსტრუქციებს), ან აქვთ გაუმართაობები, რომლებმაც ინსტრუქციების შესაბამისად ექსპლუატაციისას შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი. აგრეთვე დაზიანებული ან იზოლაციის დამცავი თვისებადაკარგული სადენებისა და კაბელების ექსპლუატაცია;
- დაზიანებული როზეტების, გამთიშველების და სხვა ელექტრონაწარმის გამოყენება;
- ელექტროლამპებზე და სანათებზე ქარალდის, ქსოვილის და სხვა მასალის შემოხვევა, აგრეთვე მათი ექსპლუატაცია მოხსნილი ხუფებით. ელექტროუთოების, ელექტროღუმელების, ელექტროჩაიდნების და სხვა ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენება უწყვი თბომამოხორციელებელი მასალისაგან დამზადებული ქვესადგამების გარეშე;
- არასტანდარტული (თვითნაკეთი) ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენება, გადატვირთვებისაგან და მოკლე ჩართვებისაგან დამცავი არაკალიბრირებული დნობადი ჩასადგმელების ან სხვა თვითნაკეთი აპარატების ხმარება;

- ელექტროფარებთან, ელექტროძრავებთან და გამშვებ აპარატურასთან ან მათზე წვადი მასალებისა და ნივთიერებების დაწყოფა დამაგრება.
- ელექტროგამაცხელებელი მოწყობილობების ექსპლუატაცია კონსტრუქციით გათვალისწინებული თერმორეგულატორის გარეშე ან მათი დაზიანების შემთხვევაში.

13. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხნის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ქსელებისათვის, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებისათვის

- სახანძრო ჰიდრანტები უნდა იყოს გამართული, ხოლო ზამთრის პერიოდში დათბუნებული და იწმინდებოდეს საწარმოო ნარჩენების, თოვლის და ყინულისაგან. ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროებთან გზები და მისასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს მათთან სახანძრო ტექნიკის მისვლას წელიწადის ნებისმიერ დროს.
- დასაცავ სათავსში ცეცხლმაქრების ტიპის შერჩევა და საჭირო რაოდენობის გამოთვლა უნდა განხორციელდეს მათი ცეცხლმაქრი თვისებების, სათავსოს ზღვრული ფართობის გათვალისწინებით, აგრეთვე, წვადი ნივთიერებებისა და მასალების ხანძრის კლასიდან გამომდინარე.
- ქარხანაში განთავსებულ თითოეულ ცეცხლმაქრს უნდა ქონდეს დამლა, რომელზეც აღინიშნება ცეცხლმაქრის ნომერი, მისი მარკა, დატუმბვის ან დაყენების თარიღი, შემდგომი შემოწმების თარიღი.
- ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსება დერეფნებში, გასასვლელებში არ უნდა აფერხებდეს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციას. ისინი უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილებზე სათავსებიდან გასასვლელების სიახლოვეს, არაუმეტეს 1.5მ სიმაღლეზე.

ცეცხლმაქრების ყოველთვიურ შემოწმებას ახორციელებს სახანძრო ზედამხედველი ყოველი კალენდარული თვის 10 რიცხვამდე. შემოწმებისას ყურადღება ექცევა შემდეგ კრიტერიუმებს:

- ცეცხლმაქრის საკიდის გამართულობა;
- ცეცხლმაქრის ბალონის ვადა;
- გადამუხტვის ვადა;
- წნევა;
- ცეცხლმაქრის ხელმისაწვდომობა;
- შლანგის მთლიანობა;
- ჩამკეტისა და სახელურის მთლიანობა.

14. ქარხნის სახანძრო ავტომატიკის მოვლა-პატრონობა

სახანძრო ავტომატიკის ქარხანა-დამამზადებლების ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე, ქარხანაში ამ დანადგარების მომსახურე პირისათვის (ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ინჟინერი/სახანძრო ზედამხედველი) უნდა იქნეს შემუშავებული ინსტრუქცია მათი ექსპლუატაციის შესახებ.

თუ დანადგარის ტექნიკური მომსახურების განხორციელება საკუთარი ძალებით შეუძლებელია, უნდა დაიდოს ხელშეკრულება გეგმიური ტექნიკური მომსახურების შესახებ სპეციალიზირებულ ორგანიზაციებთან,

დანადგარების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს:

- დანადგარების მუშაუნარიანობის შენარჩუნება ტექნიკური მომსახურებისა და გეგმიური-გამაფრთხილებელი სამუშაოების დროული ჩატარების ორგანიზებით;
- დანადგარების ექსპლუატაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის შეკრება-განახლება.

ტექნიკური მომსახურების ან სარემონტო სამუშაოების შესრულების პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია დანადგარების (ცალკეული ხაზების, მაუწყებლების) გამორთვასთან, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები შენობის, სათავსების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ხანძრისაგან დასაცავად. სახანძრო ავტომატიკის დანადგარები უნდა იყოს გამართული, მუდმივ მზადყოფნაში და შეესაბამებოდეს დაპროექტების დოკუმენტაციას. დაუშვებელია დანადგარის გადაყვანა ავტომატური რეჟიმიდან ხელით გაშვების რეჟიმზე, გარდა ნორმებით და წესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ქარხნის ავტოგასამართი სადგურის მიმართ

ავტოგასამართ სადგურზე უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრის ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა;
- უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების აღნიშვნით;
- ავტოგასამართი სადგურიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის გეგმა;
- ავტოგასამართი სადგურის მეხამრიდი სისტემაზე ჩატარებული სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი.

ავტოგასამართი სადგურის საწვავის რეზერვუარის საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მისი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს.

ავტოგასამართი სადგურის ძირითად და დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სტატიკური ელექტროობისაგან. რეზერვუარების საწვავით შევსების დროს ავტოციტერნები უნდა იყოს მიერთებული დამიწების მოწყობილობასთან. მოქნილი დამიწების სადენი მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ავტოციტერნასტან და გააჩნდეს დამიწების მოწყობილობასტან შემაერთებელი ჭახრაკი ან ჭანჭიკის ბუნიკი.

ავტოგასამართ სადგურზე საჭირო სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა:

- დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს სორბენტით. სორბენტი და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთებში და შევსებისტანავე გატანილ იქნეს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;

- o მანძილი გასამართ ავტომობილსა/მექანიკურ სატრანსპორტო საშუალების და მის უკან მდგომი ავტომობილს/მექანიკურის სატრანსპორტო საშუალება შორის უნდა იძლეოდეს უსაფრთხო მანევრირების და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობას.

ავტოგასამართ სადგურზე აკრძალულია:

ძრავჩართული სატრანსპორტო საშუალების გამართვა;

- ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარის საწვავით შევსება და მომხმარებელზე გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;
- საწვავ-სარიგებელი სვეტიდან გამართვა, თუ მათთან ტექნოლოგიური მილსადენებით დაკავშირებულ რეზერვუარში ხორციელდება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციები;
- საწვავის გადასხმა გამართვის დროს;
- არასამუშაო საათებში ავტოგასამართი სადგურის ელექტრომოწყობილობი, რომელიც არ გამოიყენება უსაფრთხოების სისტემებში, უნდა გაუდენურდეს ელექტროენერჯის ძირითადი ამომრთველების გათიშვით.

16. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ნახშირის ფევილის მოსამზადებელი სისტემების ექსპლუატაციის მიმართ

- მართვის ოთახში დამონტაჟებული უნდა იყოს სამართავი პულტი, რომლის მონიტორზე ვიზუალურად გამოყვანილ იქნება შემდეგი მაჩვენებლები: ტემპერატურა; ppm; ჟანგბადი.
- აფეთქების საწინააღმდეგო დეტექტორები, უნდა აფიქსირებდეს ხანძარს მთელ დასაცავ ზონაში. გაზოანალიზატორები უნდა ახორციელებდნენ CO₂ შემცველობის გაზომვას მტვრისებრი ნახშირის ბუნკერის ზედა ნაწილში და სახელოიანი ფილტრის გამოსასვლელ ზვრელში. თუ CO₂ რაოდენობა აღემატება განსაზღვრულ სტანდარტს, გაზოანალიზატორმა უნდა გადასცეს სიგნალი სასიგნალო პანელზე, რის შემდეგაც ნახშირის წისქვილის ოპერატორმა უნდა მიიღოს შესაბამის ზომები და აამუშავოს ელექტრონული ან მექანიკური რეჟიმში CO₂-ის საწინააღმდეგო სისტემა, რომელიც მიაწვდის CO₂-ს სახელო ფილტრს, ნახშირის წისქვილს და დაფქვილი ნახშირის სილოსს.
- ხანზარსაწინააღმდეგო სისტემის საკონტროლო მეთოდებიდან უნდა მუშაობდეს ელექტრონული და მექანიკური. ნახშირის წისქვილის ოპერატორი უნდა მუშაობდეს ელექტრონული მეთოდით. ელექტრონული და მექანიკური მეთოდების გარდაქმნა შესაძლებელი უნდა იყოს საჭერვალო (საშტურვალო) სისტემის მართვის საშუალებით.
- ხანზარსაწინააღმდეგო სისტემის CO₂-ის გაფრქვევამდე დასაცავი ტერიტორიის სავენტილაციო სისტემები უნდა იყოს გათიშული. ცეცხლსაშიში და ფეთქებადი აირები უნდა იმყოფებოდნენ დახურულ მდგომარეობაში და ყველა დანადგარი, რაც შეაფერხებს ხანძრის ქრობას გაჩერებული მანამ, სანამ არ მოხდება CO₂-ის გაფრქვევა.

- დროული ცეცხლის ჩაქრობისა და ცეცხლის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ყველა სართული და მათ შორის ნახშირის დახურული საწყობი აღჭურვილი უნდა იყოს ცეცხლსაქრობითა და ცეცხლსაწინააღმდეგო სხვა მოწყობილობებით (წყლის ჰიდრანტები; ცეცხლმაქრები).
- სისუფთავის დაცვის მიზნით მოწყობილობები უნდა იწმინდებოდეს ნახშირის მტვრისაგან წყლით დანამვით ან მტვერსასრუტის გამოყენებით გარკვეულ ტერიტორიებზე (ნახშირის დახურული საწყობი; ცეცხლცამქრობი სადგური).

17. ქმედებები ხანძრის შემთხვევაში

ქარხანში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში თითოეული თანამშრომელი ვალდებულია:

- შეწყვიტონ სამუშაო, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაუგდებლად დაიწყოს ხანძრის კერის ქრობა, თუ მას გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება და იცის ცეცხლმაქრების მოხმარების წესები;
- იმ შემთხვევაში თუ არ აქვთ გავლილი სახანძრო სწავლება ან ხანძრის კერა არის არაკონტროლირებადი, გააქტიურონ სახანძრო ღილაკი და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურს (ტელეფონით ნომერზე 112) და ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს (ტელეფონით ნომერზე 577 53 08 80) (ამასთან აუცილებელია დაასახელოს სახელი გვარი, ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, ხანძრის გაჩენის არეალში ადამიანთა რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხანძრის სავარაუდო კლასი);
- გათიშონ დენის წყაროდან სათავსში არსებული, მათზე განპიროვნებული ელექტროდანადგარები და ხელსაწყოები;
- ორგანიზებულად დატოვონ შენობა-ნაგებობები კიბის უჯრედებისა და გასასვლელების გავლით;
- გამოცხადდნენ საამქროების მიხედვით წინასწარ დადგენილ შეკრების ადგილებზე.

ქარხანში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის და ევაკუაციის შემთხვევაში აკრძალულია:

- პირადი ნივთების ძებნა;
- დაუსრულებელი სამუშაოს დასრულება;
- ლიფტებზე სარგებლობა (ციკლონური თბომცველი)
- კიბეებზე გადაადგილებისას სირბილი;
- შეკრების ადგილის დატოვება.

17.1. შეკრების ადგილები

კასპის ცემენტის ქარხანაში შეკრების ადგილად განსაზღვრულია 4 ლოკაცია რომელიც გადანაწილებულია საამქროებზე.

სამუშაო უბანი	შეკრების ადგილი
ადმინისტრაცია	N1
ცენტრალური ლაბორატორია	N 1
სასადილო	N 1
ტექნიკური საწყობი	N 2
მექანიკური საამქრო	N 2
ელექტრო საამქრო	N 2.
ნედლეულის საამქრო	N 2
ნახშირის საამქრო	N 2
საამქროს ლაბორატორია	N 2
ცემენტის დაფქვამ	N 2
ცემენტის დაფასოება დატვირთვა	N 2
მთავარი დამწვევი ქვესადგური	N 2
გამოწვის საამქრო	N 3
ცენტრალური მართვის ოფისი	N 4
გამოწვის საამქრო-მშრალი წარმოება	N 4
ნედლეული საამქრო-მშრალი წარმოება	N 4

17.2. შეკრების ადგილზე თანამშრომლების გადათვლა გადამოწმება

შეკრების ადგილზე თანამშრომლეთა გადათვლა გადამოწმებას ახორციელებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შიდა სამსახურის წარმომადგენელი დაცვის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად.

პიროვნების არყოფნის შემთხვევაში სავალდებულოა სამაშველო სამსახურს მიეწოდოს ინფორმაცია მისი შესაძლო ადგილსამყოფელის შესახებ (სამუშაო პროფესიიდან გამომდინარე)

დაუშვებელია შეკრების ადგილის თვითნებურად მიტოვება, სანამ ამის უფლებას არ გასცემს საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენელი ან უფლებამოსილი პირი.

17.3. ხანძრის შემთხვევაში ქარხნიდან შენობა-ნაგებობებიდან თანამშრომლების ევაკუაციის პრაქტიკული ვარჯიშების ორგანიზება

ხანძრის შემთხვევაში ქარხნის თანამშრომლების ევაკუაციის პრაქტიკული ვარჯიშების (შემდგომი - ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშები) ჩატარების ამოცანებია: თანამშრომლების მზადყოფნის შემოწმება ევაკუაციასა და ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ჩასატარებლად;

ხანძარზე დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის წესებისა და დაცვითი ინდივიდუალური საშუალებების გამოყენების სწავლება.

ხანძრის გაჩენისას შექმნილ ვითარებაში დამოუკიდებელი და სწრაფი ორიენტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ქარხანაში დგება ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშების ჩატარების წლიური გარფიკი, სადაც აღინიშნება ვარჯიშის ჩატარების თვე, მისი სახეობა, ვარჯიშში მონაწილეები და ვარჯიშის ხელმძღვანელი.

არსებობს სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშები:

- საობიექტო ქარხნის თანამშრომლების, ერთობლივი (გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურების მონაწილეობით) და ინდივიდუალური;
- საობიექტო - ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკულ ვარჯიშში ჩართულია ქარხნის სამუშაო ცვლაში მყოფი თანამშრომელი საამქროების მიხედვით;
- ერთობლივი - ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშებში მონაწილეობს ქარხნის სამუშაო ცვლაში მყოფი თანამშრომლები, ასევე გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის პირადი შემადგენლობა;
- ინდივიდუალური - ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშები ტარდება ახლად მიღებული თანამშრომლებისათვის.

თითოეული ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშისათვის დგება ჩატარები გეგმა, რომელშიც აისახება ვარჯიშის თემა, მისი მიზნები, მონაწილეთა შემადგენლობა, ჩატარების ადგილი და დრო, პასუხისმგებელი შემსრულებლები.

ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშის ჩატარებისას პირობითი ხანძრის ვითარების იმიტაცია იქმნება შემდეგი საშუალებებით:

- ხანძრის კერა - წითელი აშით;
- დაკვამლიანების ზონა - ლურჯი ალშით;
- ტოქსიკური აირების, რადიოაქტიურობის, მავნე ორთქლების გამოყოფის ზონა - ყვითელი ალშით.

ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშების ორგანიზებისა და ჩატარების ხელმძღვანელობა ეკისრება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს ქარხნის ადმინისტრაციის ხელსუფლებით.

ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშის დასრულების შემდეგ, დგება შესაბამისი ანგარიში სადაც განხილულია სწავლებისას დაფიქსირებული ხარვეზები და გაწერილია სამოქმედო გეგმა ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

18. ევაკუაციის ინსტრუქცია

№	მოქმედებების დასახელება	მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა	შემსრულებელი
1	შეტყობინება ხანძრის შესახებ	<ul style="list-style-type: none"> - ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის გამოძახება ტელეფონით „112“ - ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს გამოძახება ტელეფონით „577 53 08 80“ - ქარხნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის გამოძახება ტელეფონით 	<ul style="list-style-type: none"> - თანამშრომელი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ხანძარი
2	მაუწყებლობა ხანძრის შესახებ	<ul style="list-style-type: none"> - ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ქარხანაში მყოფი ადამიანებისათვის სახანძრო ღილაკის გააქტიურებით - ძირითადი და სათადარიგო გასასვლელებისა და ტურნიკეტების გაღება 	<ul style="list-style-type: none"> - თანამშრომელი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ხანძარი - დაცვის სამსახური
3	ადამიანთა ევაკუაცია ქარხნიდან და ცალკეული საამქროებიდან	<ul style="list-style-type: none"> - ხანძრის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ადამიანების ორგანიზებული გაყვანა დერეფნების, კიბის უჯრედებისა და გასასვლელების გავლით შეკრების ადგილებზე 	<ul style="list-style-type: none"> - ქარხნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი - დაცვის სამსახური
4	ევაკუირებული ადამიანების ფაქტიური რაოდენობის შედარება სიით არსებულ რაოდენობასთან	<ul style="list-style-type: none"> - ადამიანთა თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ ადგილებზე - ყველა ევაკუირებულის აღრიცხვა და შედარება სიით არსებულ რაოდენობასთან - თავმოყრის ადგილზე ადამიანთა სრული შემადგენლობის არყოფნის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივი მიწოდება 	<ul style="list-style-type: none"> - დაცვის სამსახური - ქარხნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი

5	გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მოსვლამდე	-ხანძრის ჩაქრობის ორგანიზება: მისი აღმოჩენის მომენტიდან, ცეცხლმაქრებით, სახანძრო ონკანების გამოყენებით	- ქარხნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი -თანამშრომლები რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამის სწავლება და არ მონაწილეობენ ევაკუაციაში
6	მოსული საგანგებო სიტუაციების სამსახურის დანაყოფების დახვედრა	-საგანგებო სიტუაციების სამსახურის დანაყოფების დახვედრა - ადგილზე გამოცხადებული საგანგებო სიტუაციების სამსახურის დანაყოფის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება - სად რა იწვის, ემუქრება თუ არა ადამიანებს საფრთხე, ტერიტორიაზე წყლის წყაროების არსებობა, სართულების ევაკუაციის გეგმების გადაცემა	- ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური - დაცვის სამსახური - ქარხნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი

დანართი 1- სახანძრო ინსტრუქციის ჟურნალის ნიმუში.

თარიღი	პირი რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქცია	დაბადების თარიღი	ინსტრუქციის სახე	ინსტრუქტორი (სახელი გვარი თანამდებობა)	ხელმოწერები	
					თანამშრომელი / კონტრაქტორი/ მესამე მხარე	ინსტრუქტორი

დანართი 2- ცეცხლმაქრის შემოწმების დამლის ნიმუში

ცეცხლმაქრის შემოწმება

წელი: _____

შემოწმის თარიღი: _____ ხელმოწერა: _____

იანვარი	
თებერვალი	
მარტი	
აპრილი	
მაისი	
ივნისი	
ივლისი	
აგვისტო	
სექტემბერი	
ოქტომბერი	
ნოემბერი	
დეკემბერი	

დანართი 4.3

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელო

მოქმედების სფერო
შედგენის თარიღი
დამტკიცებულია

შედგენილია
ვერსია

ყველა სამუშაო ობიექტი
12.2021
ოლივერ პაჩი (გენერალური დირექტორი)

გიორგი კობახიძე (H&S კოორდინატორი)
04

შინაარსი

1.	შესავალი	3
2.	მოქმედების სფერო.....	3
3.	ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის ციკლის განმარტებები	4
4.	ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურა	5
5.	ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.....	5
6.	ლიდერობა და შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება ორგანიზაციაში.	10
7.	თანამშრომლების ჩართულობა და კონსულტაცია.....	11
8.	საფრთხეების იდენტიფიცირება.....	12
9.	რისკების შეფასება.....	12
10.	საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები	13
11.	მიზნები და ამოცანები	14
12.	მონიტორინგი, ანალიზი და წარმატების შეფასება	15
13.	რესურსები შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.....	16
14.	როლი და პასუხისმგებლობები კომპანიაში	16
15.	სწავლებები და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	17
15.1.	ინსტრუქტაჟები სამუშაო ადგილზე.....	18
15.2.	პერსონალის ცოდნისა და კომპეტენციის შემოწმება.....	19
16.	კომუნიკაციის ფორმა და მეთოდები ორგანიზაციაში	19
17.	დოკუმენტაციის მართვა	20
18.	შრომის უსაფრთხოების პროცედურები.....	20
19.	სამუშაო ინსტრუქციები	21
20.	ანგარიშები და შემოწმების შედეგები	22
21.	სამუშაო ნებართვები და ინსპექტირების ჩეკლისტები.....	22
22.	სამუშაო პროცესების მართვა.....	23
23.	ცვლილებების მართვა და შესაძლებლობების ანალიზი.....	24
24.	ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების მოკვლევა	24
25.	პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებები.....	25
26.	კონტრაქტორი ორგანიზაციები, აუტსორსინგი და სტუმრები კომპანიის სამუშაო ობიექტზე ...	26
27.	მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებზე.....	27
28.	შიდა აუდიტი	28
29.	ხარვეზებისა და შეუსაბამობების ანალიზი.....	28
30.	მიმდინარე და წარჩენი მაჩვენებლების ანალიზი და განხილვა	29
31.	ჯანმრთელობის შემოწმება	30
32.	დაინტერესებული მხარეები.....	30
33.	ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სისტემის ანალიზი და მმართველი გუნდის მიმოხილვა.....	31
34.	დანართები.....	32

1. შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასათვის“ და ის ასახავს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემას ISO-45001-ს და ის სავალდებულოა კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ყველა სამუშაო ობიექტზე.

ცემენტის და ბეტონის წარმოება, რომელიც დაკავშირებულია მრავალი სახის საფრთხეებთან, მათი კონტროლისა და მართვისათვის საჭიროა სისტემური მიდგომა, რისი საფუძვლებიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში.

2. მოქმედების სფერო


კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტ სისტემის მოქმედების არეალია კომპანიის ორივე ბიზნეს მიმართულება:

- ცემენტის წარმოება;
- ბეტონის წარმოება.
- ინერტული მასალების წარმოება

მენეჯმენტ სისტემა ფარავს კომპანიის ორივე ბიზნეს მიმართულებისა და წარმოების (ცემენტის/ბეტონის) სრულ ციკლს

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის მოკლე აღწერა და განმარტებები


კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ მართვის ციკლს- დაგეგმარება, განხორციელება, შემოწმება და ქმედება და ის სრულად იზიარებს ISO-45001 სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



3. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის ციკლის განმარტებები

დაგეგმარება	<ul style="list-style-type: none"> ▪ ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სრული ციკლის მოქმედების არეალის განსაზღვრა ▪ ლიდერობა ▪ პერსონალის ჩართულობა და კონსულტაცია ▪ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა ▪ საფრთხეების იდენტიფიკაცია ▪ რისკების შეფასება ▪ საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა ▪ მიზნები და ამოცანების განსაზღვრა ▪ შეფასების კრიტერიუმები-მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების განსაზღვრა
განხორციელება	<ul style="list-style-type: none"> ▪ რესურსების განსაზღვრა ▪ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა ▪ ტრენინგები და პერსონალის კომპეტენციის ამაღლება ▪ კომუნიკაციის მეთოდების განსაზღვრა ▪ დოკუმენტაციის მართვა ▪ პროცესების მართვა ▪ ცვლილებების მართვა ▪ ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების მოკვლევა და ანალიზი ▪ შესყიდვები ▪ კონტრაქტორები ▪ აუტსორსინგი ▪ მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებზე
შემოწმება	<ul style="list-style-type: none"> ▪ შიდა აუდიტი ▪ მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების ანალიზი და განხილვა ხელმძღვანელობასთან
ქმედება	<ul style="list-style-type: none"> ▪ მაკორექტირებელი ზომების განსაზღვრა მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად
H&S	<ul style="list-style-type: none"> ▪ ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება

4. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურა



5. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრულია კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის მიერ. პოლიტიკას გამოსცემს და ამტკიცებს ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

ჰაიდელბერგცემენტში ჩვენ ვიზიარებთ სოციალურ პასუხისმგებლობას და დარწმუნებულნი ვართ, რომ თანამშრომლებზე და დასაქმებულთა ინტერესებზე ორიენტირებული კორპორატიული კულტურა კომპანიის წარმატების საწინდარია. ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება კომპანიის ძირითადი ღირებულება და ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

მას შემდგომ, რაც დავრწმუნდით, რომ შრომით გამოწვეული ტრამვებისა და პროფესიული დაავადებების პრევენცია შესაძლებელია, ჩვენ მუდმივად ვიღწევით, რომ შევამციროთ რისკების ზეგავლენა თანამშრომლებზე, კონტრაქტორებსა და მესამე მხარეზე და ამით ვუზრუნველყოთ უსაფრთხო სამუშაო გარემო ინციდენტებისა და უბედური შემთხვევის გარეშე.

კომპეტენცია

აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის მართვისა და კონტროლის ქვეშ მყოფ ყველა საწარმოსა და ლოკაციაზე.



ვალდებულებები

იმისათვის, რომ მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობა, ჩვენ შევიძუშავეთ ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემები, რომლის ძირითადი ელემენტებია:

- მკაფიო მიზნების დასახვა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება
- უსაფრთხო სამუშაო გარემოს, უსაფრთხო მოწყობილობა აღჭურვილობისა და უსაფრთხო სამუშაო პროცესების უზრუნველყოფა, რისკების რეგულარული შეფასებით
- თანამშრომლების გადამზადებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში, რაც უზრუნველყოფს მათი კომპეტენციის ამაღლებას და სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებას
- სამუშაო ადგილების რეგულარული შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ მათ შესაბამისობაში საკანონმდებლო და ჯგუფის მოთხოვნებთან მიმართებაში

- ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა, მონიტორინგი და ანალიზი
- მითითებებისა და ინსტრუქციების მიცემა ჩვენი პროდუქციის გამოყენების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით

ჰაიდელბერგცემენტი საქმიანობას ეწევა ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით და იცავს კომპანიის შიქნით არსებულ სტანდარტებსა და პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან. ჩვენ ასევე ვმუშაობთ თანამშრომლებთან, კონტრაქტორებთან და მესამე მხარის პირებთან, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევები და მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ფარგლებში ჩვენი საქმიანობის შესახებ.

წესები

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და მესამე მხარის უსაფრთხოება, სავალდებულო ჰაიდელბერგცემენტის ყველა სამუშაო ობიექტზე გამოვიყენოთ შემდეგი სახის ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა

- დამცავი ჩაფხუტი
- დამცავი სათვალე
- სპეც. ფეხსაცმელი
- მაღალი გარჩევადობის სპეც ტანსაცმელი

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჯგუფის სახელმძღვანელოებსა და შიდა სამუშაო პროცედურებში დაუშვებელია არსებული წესების დარღვევა ან უგულვებელყოფა

ასევე ყველა თანამშრომელი და კონტრაქტორი, ვინც მუშაობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სამუშაო ობიექტზე, ვალდებულია დაიცვას ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ძირითადი წესები:

- ყველა სახის ინდივიდუალური დაცვის საშუალება სათანადოდ უნდა იყოს შერჩეული და გამოყენებული კონკრეტული სამუშაოსათვის. ეს განსაკუთრების ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:
 - ავტო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას ღვედის გამოყენება
 - სიმაღლეზე მუშაობისას ვარდნის შემაკავებელი საშუალებების გამოყენება
- ყველა მოწყობილობა დანადგარი უნდა იყოს შესაბამისი წესით იზოლირებული ყველა სახის ენერჯის წყაროსაგან, რათა არ მოხდეს მისი უნელიე ჩართვა და ამომრავება სამუშაოს შესრულებისას
- მოწყობილობის ჩართვამდე უნდა მოხდეს ყველა სახის დამცავი საფარის დაყენება

- დახურულ სივრცეში შესვლა ნებადართულია მხოლოდ სამუშაო ნებართვის საფუძველზე მხოლოდ კომპეტენტური პირებისათვის ზედამხედველობის ქვეშ
- ავტო ტრანსპორტის მართვა უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობისა და კომპანიის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- ყველა სახის ინციდენტი და უბედური შემთხვევა უნდა იყოს გამოძიებული, უნდა დადგინდეს ინციდენტის გამომწვევი პირდაპირი და ძირეული მიზეზები და მხოლოდ მათი ანალიზის საფუძველზე გატარებულ იქნას პრევენციული ზომები.



ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების წესების შესახებ დანარჩენი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ჯგუფის სახელმძღვანელოებსა და სამუშაო პროცედურებში, რომელთა განახლება ხდება რეგულარულად.

დაუშვებელია არსებული წესების შეუსრულებლობა და უგულვებელყოფა

1. ადგილობრივმა მენეჯმენტმა რისკების შეფასების საფუძველზე უნდა განსაზღვროს გამონაკლისები და პროდუქციის მახასიათებლები;
2. რისკების შეფასების საფუძველზე უნდა განისაზღვროს ის დახურული სივრცეები, რომლებიც არ საჭიროებენ ნებართვას.



ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ჰაიდელბერგცემენტში მმართველობის ყველა რგოლი არის პასუხისმგებელი ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებაზე. ამავდროულად, გვინდა ხაზი გაუსვათ, რომ კომპანიის ყველა თანამშრომელს, კონტრაქტორს თუ მესამე მხარეს აქვთ პირდაპირი ვალდებულება, დაიცვან ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პროცედურები, რაც არის, როგორც მათი, ასევე გარშემომყოფთა უსაფრთხოების საწინდარი.

„ჩემთვის ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს და ამასვე მოველი თქვენგან. ჩვენ მხოლოდ ერთად მივაღწევთ მიზანს- სამუშაო გარემო ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების გარეშე. საკონტაქტო ინფორმაცია კლაუს ჰორმანი
ჰაიდელბერგცემენტი
ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
Klaus.hormann@heidelbergcement.com

HEIDELBERGCEMENT

ჰაიდელბერგი 01.03.2015
ბერნარდ შაიფელე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია საკუთარი თანამშრომლების, კონტრაქტორების, სტუმრებისა და მესამე მხარის უზრუნველსაყოფად მოქმედებს კომპანია ჰაიდელბერგცემენტის პოლიტიკის, ადგილობრივი კანონმდებლობის და შიდა რეგულაციების გათვალისწინებით.



კომპანიის გამოწვევები

აღნიშნულ თავში გაანალიზებულია ის შიდა და გარე გამოწვევები და პრობლემები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ნეგატიური გავლენა მოახდინონ კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე.

კომპანია ჰაიდელბერგცემენტი წარმოადგენს ერთ ერთ უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციას საქართველოში, ყოველივე ამის გათვალისწინებით არსებობს შიდა და გარე მოლოდინები იმისათვის, რომ ორგანიზაცია იყოს ერთ ერთი წარმატებული არა მარტო პროდუქციის წარმოებაში არამედ შრომის უსაფრთხოების კუთხითაც.

აღნიშნული გამოწვევები პირობითად დაყოფილია შიდა და გარე ფაქტორებად.

შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი

კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად წლის დასასრულს ახორციელებს იმ შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს და შეფასებას რომლებსაც შეუძლიათ ნეგატიური გავლენა იქონიონ კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებაზე.

შიდა ფაქტორების ანალიზისათვის დგება ფორმა (იხილეთ დანართი 4) და მისი განხილვა ხდება კომპანიის გენერალურ დირექტორთან ერთად.

შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი ასევე სავალდებულოა განხულებილი იყოს შრომის უსაფრთხოების მართვის მიმოხილვაში, რომელსაც ტარდება კვარტალში ერთხელ გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით.

6. ლიდერობა და შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება ორგანიზაციაში.

ბოლო წლებში მომხდარი ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები იყო თანამშრომლების მხრიდან შრომის უსაფრთხოების წესებისა და ინსტრუქციების დარღვევა და უგულვებელყოფა, რაც მიგვანიშნებს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის არასასურველ დონეზე.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამოსწორება შესალებელია მხოლოდ და მხოლოდ ლიდერობის გაძლიერებით, მართვის რგოლის მხრიდან და თანამშრომლების უფრო მეტი ჩართულობით შრომის უსაფრთხოების საკითხებში.

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაში ლიდერობის გაუმჯობესების კუთხით მოქმედებს პროგრამა „გასაუბრება უსაფრთხოებაზე“. სამუშაო ობიექტზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი ზომები დაფიქსირებულ საფრთხის შემცველ ქმედებებზე და შეადგინონ შესაბამისი ანგარიში, როგორც წერილობით ასევე განახორციელონ შესაბამისი ანგარიშგება AID სისტემაში. ყოველი საფრთხის შემცველი ქმედება თანამშრომლის, კონტრაქტორის და მესამე მხარის მიერ უნდა იყოს შეჩერებული. დამრღვევს უნდა მიეცეს განმარტება საფრთხის შემცველ ქმედებასა და შესაძლო ნეგატიურ შედეგზე, ისე რომ მან გაათვითცნობიეროს საკუთარი ქმედების შინაარსი და შესაძლო შედეგი. საფრთხის შემცველ ქმედებასთან ერთად ასევე წახალისებული და შექცეული უნდა იყოს სანიმუშო პრაქტიკის მაგალითები, ხელმძღვანელი პირების მხრიდან, რათა მათი კარგი ქცევა და საქმისადმი დამოკიდებულება არ დარჩეს შეუმჩნეველი.

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ყოველწლიურად, უსაფრთხოების კვირეულზე აჯილდოვებს პირებს, რომლებმაც წლის განმავლობაში გამოავლინეს საკუთარი თავი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვითა და სანიმუშო ქცევით. წამახალისებელი ღონისძიების შინაარსს კი განსაზღვრავს კომპანიის HR/H&S დირექტორი გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით.

წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ სხვა დამატებით გადაწყვეტილებას ლეზულობს კომპანიის HR/H&S დირექტორი, გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით.

7. თანამშრომლების ჩართულობა და კონსულტაცია

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასათვის მნიშვნელოვანია საკუთარი თანამშრომლების აზრი და შეხედულება სამუშაო ობიექტზე არსებულ შრომის უსაფრთხოების საკითხებთან და პროცესებთან მიმართებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ობიექტზე განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი ყუთი, თანამშრომელთა აზრებისა და იდეების შეგროვებისათვის, რომლის განხილვაც უნდა მოხდეს მინიმუმ თვეში ერთხელ და შესაბამისი უკუკავშირი დამყარებული იქნას ამათუ იმ იდეის ავტორთან, გადაწყვეტილების მიღების შემდგომ. (იხილეთ დანართი 1- შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესების იდეებისა და მოსაზრებების ფორმა) აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია კომპანიის შრომის უსაფრთხოებს კოორდინატორი, რომელიც კრებს და განიხილავს თანამშრომლების იდეებსა და მოსაზრებებს დეპარტამენტის ყოველთვიურ თათბირზე.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის მეტი ჩართულობისათვის სამუშაო ობიექტებზე ყოველთვიურ კომიტეტის თათბირებზე, ასევე უნდა დაესწრონ შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლები, რომლებიც იქნებიან დამაკავშირებელი რგოლი პერსონალსა და მართვის ზედა რგოლს შორის.

შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლების მხრიდან დაყენებულ საკითხზე უკუკავშირის დამყარება სავალდებულოა მაქსიმუმ შემდგომი ჩანიშნული თათბირის პერიოდამდე.

P.S დასავლეთ საქართველოში არსებულ სამუშაო ობიექტებზე პერსონალთან შეხვედრებს ახორციელებს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი მინიმუმ კვარტალში ერთხელ.

8. საფრთხეების იდენტიფიცირება

საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის კომპანიაში დანერგილია ინსპექტირების პროცესები, რომლებიც დაყოფილია შემდეგ სახეებად:

გეგმიური ინსპექტირება-რომელსაც ატარებს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით;

რუტინული ინსპექტირება რომელსაც ატარებენ შრომის უსაფრთხოების მრჩეველები და ახორციელებენ ყოველკვირეულ ანგარიშს შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტში ყოველი კვირის ბოლოს (იხილეთ დანართი 2- ინსპექტირების ფორმა). შემოწმების მიზანია მინიმუმ ერთი საამქროს ინსპექტირება კვირის პერიოდში.

ნორმატიული ინსპექტირება- შემოწმებები, რომლებიც ტარდება საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე შესაბამისი აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ.

გამოყენებამდე შემწმება- ინსპექტირება, რომელსაც ახორციელებს პერსონალი კონკრეტული მექანიზმის, მოწყობილობის ტრანსპორტის და ა.შ. გამოყენებამდე.

გეგმიური და რუტინული ინსპექტირების ანგარიშები სავალდებულოა ატვირთული იყოს AID სისტემაში.

P.S. გამოყენებამდე ინსპექტირების პროცესი, სახეები და პასუხისმგებლობები გაწერილია შესაბამის სახელმძღვანელოებსა და ინსტრუქციებში.

9. რისკების შეფასება

სამუშაო ობიექტზე საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და საკონტროლო ზომებს განსაზღვრა/გატარება წარმოადგენს ერთ ერთ მთავარ პრიორიტეტს კომპანიისათვის. ყველა სახის სამუშაოსთვის, შეფასებული უნდა იყოს რისკების და დადგენილი უნდა იყოს შესაბამისი კონტროლის ზომები.

იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასებისათვის, ასევე შრომისა და ჯანმრთელობის მენეჯმენტ სისტემის მუდმივი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით კომპანიაში გამოიყენება 4 დონიანი შეფასების სისტემა. კომპანიაში რისკების შეფასების პრინციპები

ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს და ის ხორციელდება შემდეგი საფეხურების გავლით:

- საფრთხის იდენტიფიცირება;
- საფრთხის ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა
- რისკის შეფასება და საკონტროლო ზომების განსაზღვრა
- რისკების შეფასების დოკუმენტირება
- გადახედვა და განახლება

რისკების შეფასების ფორმა

საფრთხე	ვინ შეიძლება დაზარალდეს	სიწვარი, შეიძლება მოხდეს როგორ	რა და	საფრთხის კონტროლი	არსებული რისკი			კონტროლის ზომები	პასუხისმგებელი	ნარჩენი რისკი		
					ა	ს	რ			ა	ს	რ

რისკების შეფასება კომპანიაში წარიმართება ჯგუფის სახელმძღვანელოს „რისკების მართვის“ და შიდა პროცედურის „რისკების შეფასების“ მოთხოვნების გათვალისწინებით გათვალისწინებით.

10. საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ვალდებულია განსაზღვროს, ის საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან და განახორციელოს მათ შესრულებაზე კონტროლი. სხვა მოთხოვნებში იგულისხმება მოთხოვნები და წინადადებები შემდეგი სუბიექტებისაგან:

- საზედამხედველო ორგანოები;
- სასერტიფიკაციო ორგანოები;
- პროფკავშირები;
- კონტრაქტორები და კლიენტები;
- მოსახლეობა და ა.შ.

შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები და მასთან დაკავშირებული ცვლილებები ვალდებულია აკონტროლოს კომპანიის იურიდიულმა სამსახურმა და დროულად მიაწოდოს შესაბამისი განახლებული, შეცვლილი თუ ახლად მიღებული საკანონმდებლო დოკუმენტაცია კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახურსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს (კომპანიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს). კომპანიის იურიდიული სამსახური, ასევე ვალდებულია კვარტალში ერთხელ გადაამოწმოს



საკანონმდებლო ბაზა და მიღებულ და ძალაში შესულ საკანონმდებლო ცვლილებებზე (დადგენილებები, საკანონმდებლო აქტები და სხვა) შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს შრომის უსაფრთხოების სამსახურს კვარტალურად. შრომის უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია შეადგინოს საკანონმდებლო მოთხოვნათა რეესტრი და შედარება კომპანიის მიერ მის შესრულებაზე. (იხილეთ დანართი 3-საკანონმდებლო მოთხოვნების ანალიზის ფორმა)

შედარებითი დოკუმენტის გადახედვა და განახლება ხდება საჭიროებისამებრ საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნების შეცვლის შემთხვევაში.

საკანონმდებლო მოთხოვნების ანალიზი კეთდება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1. წელიწადში ერთხელ (კალენდარული წლის ბოლო კვარტალი)
2. საკანონმდებლო რეგულაციის ცვლილება/განახლებისას
3. ახალი საკანონმდებლო რეგულაციის დამტკიცებისას

საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეფასებას აკეთებს კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი ყოველი კალენდარული წლის ბოლო კვარტალში, და ათანხმებს მას კომპანიის გენ დირექტორთან ან იურიდიულ დირექტორთან ახალი შეუსაბამობის დაფიქსირების შემთხვევაში

11. მიზნები და ამოცანები

კომპანია საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს განსაზღვრავს და ადგენს ყოველწლიურად.

კომპანიის მიზნები და მოცანები იყოფა ორ კატეგორიად:

1. ჯგუფის ძირითადი მიზნები და ამოცანები;
2. კომპანიის ადგილობრივი მიზნები და ამოცანები.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტ სისტემის მუდმივი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით კომპანიის ადგილობრივი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა ხდება ყოველი წლის დასაწყისში HR/H&S დირექტორისა და H&S კოორდინატორის მიერ და თანხმდება შესაბამის დირექტორთან ბიზნეს მიმართულების შესაბამისად. ადგილობრივი მიზნები და ამოცანები მომდინარეობს და თანხვედრაშია კომპანიის (შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების ყოველწლიურ სამოქმედო გეგმასთან, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას გენერალური დირექტორი.

კომპანიის ადგილობრივი მიზნების განსაზღვრაში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპანიისათვის მნიშვნელოვანი ან ყველაზე მეტად კრიტიკული საკითხები, რომელთა შესრულებაც არის რეალისტური.

მიზნების დასახვის ძირითადი პრინციპები განხილულია გაიდლაინში „მართვა მიზნების საშუალებით“ („Management by Objectives“).

12. მონიტორინგი, ანალიზი და წარმატების შეფასება

მონიტორინგი

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგი მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების მონიტორინგს და ანალიზს:

- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ინციდენტების სიხშირისა და სიმძიმის მაჩვენებლები;
- Ner Hit-ბის მაჩვენებლები;
- მონაცემები გასაუბრებებზე;
- მონაცემები საკანონმდებლო რეგულაციებთან შეუსაბამობაზე;
- მონაცემები მაღალი რისკის შემცველ ფაქტორებსა და სამუშაო პროცესებზე;
- მონაცემები პროფ. დაავადებებზე.
- მონაცემები სამოქმედო გეგმის შესრულებაზე.

არსებული მონაცემების ანალიზი ხდება ყოველ კვარტალში ერთხელ. (ერთი კალენდარული წლის ყოველი კვარტალის ბოლო კვირაში) გენერალური დირექტორის, კომპანია ჰაიდელბერგცემენტის დირექტორატის, სამუშაო ობიექტების (ცემენტისა და ბეტონის ქარხნები) მენეჯერებისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ.

კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის საბოლოო წარმატების შესაფასებლად გამოიყენება ისეთი ნარჩენი მაჩვენებლები, როგორებიცაა:

- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სიხშირისა და სიმძიმის მაჩვენებლები (შედარება წინა წლის მაჩვენებლებთან)
- სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი.
- ფატალური შემთხვევის აჩვენებლები (შედარება წინა წლის მაჩვენებელთან)

13. რესურსები შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

შრომის უსაფრთხოების საკითხების მხარდაჭერისათვის და სისტემის შეუფერხებელი მუშაობისათვის, ასევე მუდმივი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით ორგანიზაცია განსაზღვრავს შესაბამის ბიუჯეტს, რომელსაც ყოველწლიურად ადგენს H&S კოორდინატორი HR/H&S დირექტორთან შეთანხმებით და ამტკიცებს კომპანიის გენერალური დირექტორი.

14. როლი და პასუხისმგებლობები კომპანიაში

დირექტორები და უფროსი რგოლის მენეჯერები ვალდებული არიან უზრუნველყონ შესაბამისი რესურსების მოძიება, კანონთან შესაბამისობა და კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრა. მათ უნდა უზრუნველყონ შრომისა და ჯანმრთელობის სწორი პოლიტიკის მიმდინარეობა, სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა, კომპეტენტური პერსონალის შერჩევა, როლებსა და პასუხისმგებლობების სწორად, ნათლად გაწერა;

ცემენტისა და ბეტონის ქარხნის მენეჯერები ვალდებულნი არიან დანერგონ და პრაქტიკაში გაატარონ კომპანიაში არსებული შრომის უსაფრთხოების პროცედურები, სახელმძღვანელოები და ამ დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების პროცესები საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ სამუშაო უბნებზე. ცემენტისა და ბეტონის ქარხნის მენეჯერები, როგორც უფროსი და შუა რგოლის მენეჯერები, ასევე პასუხისმგებელი არიან შესაბამისი რგოლისათვის გაწერილ ვალდებულებებზე (გთხოვთ იხილოთ მე-14 თავის შესაბამისი რგოლისათვის გაწერილი ფუნქცია მოვალეობები).

შუა და ქვედა რგოლის მენეჯერები- საამქროს ხელმძღვანელობა და ცვლის უფროსები პასუხისმგებელნი არიან უშუალოდ გაატარონ, განხორციელონ და გააკონტროლონ არსებული უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა და შესრულება საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ სამუშაო უბნებზე. ისინი პასუხისმგებლები არიან საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში, არსებული საწარმოო ტექნიკისა და პროცესების გამართულ მდგომარეობასა და განხორციელებაზე / მიმდინარეობაზე, ასევე თავიანთ დაქვემდებარებაში მომუშავე თანამშრომელების და ორგანიზაციულ სტრუქტურაში მისი სუბორდინაციის ქვეშ არსებული სხვა ქვედა რგოლის პირების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

მუშა-პერსონალი- ვალდებულია დაიცვას და დაემორჩილოს კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე არსებულ და მოქმედ შრომის უსაფრთხოების წესებსა და რეგულაციებს. იზრუნონ საკუთარ და კოლეგების ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებაზე, რაზეც გავლენას ახდენს მათი შესრულებული სამუშაო (ქმედებები) და შეუსრულებელი სამუშაო (უმოქმედობა); ამ მიზნით იმუშაონ უსაფრთხოების წესების დაცვით და სწორად გამოიყენონ

არსებული ტექნიკა და აღჭურვილობა, რათა საფრთხე არ შეუქმნან საკუთარ თავსა და კოლეგებს; მიაწოდონ ინფორმაცია კომპანიის წარმომადგენლებს საწარმოო შემთხვევების შესახებ და მონაწილეობა მიიღონ შრომის უსაფრთხოების საკითხების გაუმჯობესებაში (კონსულტაცია). დაესწრონ შრომის უსაფრთხოების სწავლებებს და გამოიყენონ მიღებული ცოდნა სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისათვის

კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს HR/H&S დირექტორი, შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან ერთად განსაზღვრავს კომპანიის პოლიტიკასა და მიმართულებას შრომის უსაფრთხოების კუთხით. ასევე პოზიტიური შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების კულტურის დანერგვას, ტრენინგ საჭიროებების განსაზღვრას და სწორი რჩევების მიცემას შრომის უსაფრთხოების კუთხით, რათა ორგანიზაციამ შეასრულოს თავისი სამართლებრივი ვალდებულებები და პოლიტიკის მიერ დასახული მიზნები.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მრჩევლები ცემენტის ქარხნებში ახორციელებენ კონტროლს, რათა დაცული იყოს კომპანიის პოლიტიკით, სამუშაო პროცედურებითა და საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ბეტონის ქარხნებში აღნიშნული საკითხებზე პასუხისმგებელი არიან ბეტონის ქარხნის მენეჯერები.

კონტრაქტორი და სტუმარი ვალდებულია დაიცვას და დაემორჩილოს კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე არსებულ და მოქმედ შრომის უსაფრთხოების წესებსა და რეგულაციებს. შეათანხმოს და ინფორმაცია მიაწოდოს კომპანიას იმ საქმიანობათა რისკებზე და საფრთხეებზე, რომელიც წარმოიშვება გაფორმებული ხელშეკრულებით.

ზოგადად პერსონალის პასუხისმგებლობები და ვალდებულებები დეტალურად არის გაწერილი მათივე სამუშაო აღწერილობაში, რომელიც წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ხელმისაწვდომია თავად თანამშრომლისა და კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში.

15. სწავლებები და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

სამუშაო ადგილზე ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების პრევენციის ერთ ერთი წინაპირობაა კომპეტენტური თანამშრომლები. კომპანია ჰაიდელბერგცემენტი უზრუნველყოფ საკუთარი თანამშრომლების გადამზადებას როგორც პროფესიული კუთხით ასევე შიდა სწავლებებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებისა და ცოდნის შემოწმების ხარჯზე.

ყოველწლიური სწავლებები და ცოდნის შემოწმება ტარდება შესაბამისი სასწავლო გეგმის მიერ, რომელსაც ადგენს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი და ამტკიცებს HR/H&S დირექტორი. სასწავლო გეგმის შედგენა ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- კომპანია ჰაიდელბერგცემენტის მინიმალური მოთხოვნები ყოველწლიურ სწავლებებთან დაკავშირებით
- საკანონმდებლო მოთხოვნები პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით;
- ინდივიდუალური ტრენინგ პროგრამის განსაზღვრა ერთი კონკრეტული პირისათვის ან პირთა ჯგუფისათვის რაც დაკავშირებულია მის/მათ სამუშაო სპეციფიკასთან ან კომპეტენციისა და ცოდნის ამაღლებასთან.

სწავლებები უნდა წარიმართოს მინიმუმ შემდეგი წესების დაცვით:

- სასწავლო პროგრამისა და სასწავლო მასალების შედგენა;
- სწავლებაზე დასწრების აღრიცხვა;
- მიღებული ცოდნის შემოწმება.

ცოდნის შემოწმება შესაძლოა მოხდეს როგორც გასაუბრებით ასევე წერილობით შესაბამისი ტესტის ჩაბარების გზით. ტესტირების შედეგად მიღებულ საბოლოო რეზულტატზე (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში) შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის H&S დეპარტამენტი.

ტრენინგის ჩატარების პრინციპები აღწერილი გაიდლაინში „training guideline“

15.1. ინსტრუქტაჟები სამუშაო ადგილზე

ორგანიზაციაში ინსტრუქტაჟების ჩატარება ხდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

შესავალი ინსტრუქტაჟი-ატარებს უსაფრთხოების ინჟინერი ცემენტის ქარხნებში, ქარხნის მენეჯერი კი ბეტონის ქარხნებში;

ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილას- ატარებს საამქროს მენეჯერი ცემენტის ქარხნებში.

ყოველკვარტალური ინსტრუქტაჟი-ატარებს კვარტალში ერთხელ საამქროს მენეჯერი ცემენტის ქარხნებში, ხოლო ქარხნის მენეჯერი ბეტონის ქარხნებში.

Tool Box-ატარებს უსაფრთხოების ინჟინერი ცემენტის ქარხნებში ხოლო ქარხნის მენეჯერი ბეტონის ქარხნებში-პროცესი დეტალურად არის გაწერილი შესაბამის დოკუმენტში „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟისა და თანამშრომლებთან შეხვედრა გასაუბრების პოლიტიკა“

სამუშაო წინა ინსტრუქტაჟს ატარებს სამუშაო ნებართვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე უფლებამოსილი პირი სამუშაოს დაწყებამდე.

15.2. პერსონალის ცოდნისა და კომპეტენციის შემოწმება

კომპანია ჰაიდელბერგცემენტი უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლებას შრომის უსაფრთხოების კუთხით. ასევე კომპანია უზრუნველყოფს მოახდინოს და განახორციელოს ყველა იმ პირის ინფორმირება და შემოწმება შრომის უსაფრთხოების კუთხით, რომლებიც შემოდიან ან გარკვეულ სამუშაოებს ახორციელებენ კომპანიის ტერიტორიაზე (ვიზიტორები, კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები და ა.შ.)

საკუთარი თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლების კუთხით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის სამუშაოებს:

- თანამშრომლების სწავლებები და ცოდნის შემოწმება/ამაღლება (ტრენინგი);
- შესავალი ინსტრუქტაჟი.
- ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე.
- ყოველკვარტალური ინსტრუქტაჟები;
- პერიოდული და არაგეგმიური ინსტრუქტაჟები და საუბრები შრომის უსაფრთხოებაზე ე.წ Tool Box
- სამუშაოს წინა ინსტრუქტაჟი

ცოდნის შემოწმება ორგანიზაციაში ხდება შესაბამისი ტესტირებების საფუძველზე. ტესტირების გეგმას და სამიზნე ჯგუფს განსაზღვრავს კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური მიმდინარე და ნარჩენი ინდიკატორების საფუძველზე.

16. კომუნიკაციის ფორმა და მეთოდები ორგანიზაციაში

- კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კუთხით (მათ შრომის საფრთხეების კომუნიკაციისათვის) პერსონალთან და მართვის სხვადასხვა რგოლთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი სახის საშუალებები:
- ელექტრონული ფოსტა;
- ინსტრუქტაჟები და Tool Box-ები
- კომიტეტის თათბირები;
- მაუწყებლობითი სისტემები;
- უსაფრთხოების კუთხეები
- საინფორმაციო, ამკრძალავი, სავალდებულო და გამაფრთხილებელი ნიშნები.
- ცვლის გადაბარება
- ციფრული მაუწყებლობითი სისტემები

17. დოკუმენტაციის მართვა

კომპანიაში შრომის უსაფრთხოების ძირითად საბაზისო დოკუმენტაციას წარმოადგენს:

- კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შრომის უსაფრთხოების ძირითადი წესები;
- ჯგუფის შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელოები;
- შიდა პროცედურები;
- სამუშაო ინსტრუქციები;
- რისკების შეფასებები;
- საფრთხის შეტყობინების ანგარიშები;
- ობიექტის ინსპექტირების ანგარიშები;
- პერიოდული შემოწმების ანგარიშები (ჩვეულებები)
- სამუშაო ნებართვები;
- აუდიტის ანგარიშები.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის, ძირითადი წესებისა და სახელმძღვანელოების წარმოება და მართვა ხდება ჯგუფის მიერ, ისინი ხელმისაწვდომია კომპანიის ყველა სამუშაო ობიექტზე. პოლიტიკა და ძირითადი წესები განთავსებულია ყველა სამუშაო ობიექტის შესასვლელებსა და საამქროებში, ხოლო სახელმძღვანელოები, ბეჭდური სახით ხელმისაწვდომია შრომის უსაფრთხოების სამსახურში, საამქროებსა და ქარხნის მენეჯმენტთან.

18. შრომის უსაფრთხოების პროცედურები

შრომის უსაფრთხოების პროცედურებს ადგენს კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური და ხელმოწერით ან შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს კომპანიის გენერალური დირექტორი. პროცედურების გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, როგორებიცაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების შეცვლა;
- რისკების შეფასებისას გამოვლენილი საჭიროებები;
- ინციდენტი ან უბედური შემთხვევები;
- აუდიტის შედეგები
- ასევე ისეთი ხარვეზის დაფიქსირების შედეგად, როდესაც პროცედურით გათვალისწინებული მოთხოვნები ვერ იქნება თანხვედრაში არსებულ რეალურ მდგომარეობასთან.

პროცედურების იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ და მხოლოდ მათი სათაურის მიხედვით.

პროცედურა უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- დასახელება;
- შედგენის თარიღი;
- ავტორი;
- ინფორმაცია მისი შეთანხმებისა და დამტკიცების შესახებ.
- ვერსიის №
- მიზანი,
- მოქმედების სფერო;
- პასუხისმგებლობები და ვალდებულებები

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას სამუშაო პროცედურების ან სახელმძღვანელოების დამტკიცება ხდება კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ. სამუშაო პროცედურები შესაძლებელია შედგენილი და დამტკიცებული იყოს ადგილობრივად (სამუშაო ობიექტების მიხედვით) სამუშაო ობიექტის მენეჯერის მიერ.

19. სამუშაო ინსტრუქციები

სამუშაო ინსტრუქციები ასახავს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების ხერხებსა და მეთოდებს საჭიროების შემთხვევაში სამუშაოს ინსტრუქციებს შრომის უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებით აღგენენ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები:

- ქარხნის მენეჯერი;
- მთავარი ენერგეტიკი;
- რემონტების დეპარტამენტის მენეჯერი;
- საამქროს მენეჯერები/უფროსები.

სამუშაო ინსტრუქციების შედგენა ხდება რისკის შემცველ საქმიანობებზე, რომელიც გამოვლენილია რისკების შეფასების ან აუდიტის შედეგად.

სამუშაო ინსტრუქციების იდენტიფიცირება ხდება, როგორც მისი დასახელებით ასევე ნუმერაციით.

სამუშაო ინსტრუქციები თანხმდება შრომის უსაფრთხოების სამსახურთან და მტკიცდება ქარხნის მენეჯერის მიერ.

სამუშაო ინსტრუქციის განახლება ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საკანონმდებლო მოთხოვნების შეცვლა;
- რისკების შეფასებისას გამოვლენილი საჭიროებები;
- ინციდენტი ან უბედური შემთხვევები;
- აუდიტის შედეგები

ასევე ისეთი ხარვეზის დაფიქსირების შედეგად, როდესაც ინსტრუქცია არ ითვალისწინებს ან არ არის გათვალისწინებული სამუშაო პროცესში დაფიქსირებული სხვა დამატებითი ხარვეზი ან შეუსაბამობა ამაც შესაძლოა ნეგატიური შედეგი გამოიღოს.

სამუშაო ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს მინიმუმ:

- დასახელება;
- ნომერი;
- ინფორმაცია ინსტრუქციის შეთანხმებაზე და დამტკიცებაზე
- დამტკიცების თარიღი
- ვერსიის №
- მოქმედების სფერო, სადაც გამოყენებული უნდა იყოს არსებული ინსტრუქცია.

ინსტრუქციის განახლებისას ორგანიზაციაში არსებულ ყველა ძველ ასლზე, წინა ყდაზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი წითელი ფერის წარწერა „გაუქმებულია“.

20. ანგარიშები და შემოწმების შედეგები

აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება შრომის უსაფრთხოების სამსახურში, ადრესატ საამქროებსა და უფლებამოსილ პირებთან.

დოკუმენტაციის შენახვის ვადებია:

1. რისკების შეფასება-უვალო
2. საფრთხის შეტყობინების ანგარიში-უვალო
3. ობიექტის ინსპექტირების ანგარიში-უვალო.
4. სტოპ ბარათები-2 წელი

21. სამუშაო ნებართვები და ინსპექტირების ჩეკლისტები

ორგანიზაციაში სამუშაო ნებართვები სავალდებულოა შემდეგი სახის სამუშაოებზე:

- სიმალლეზე მუშაობა

- დახურულ სივრცეში შესვლა და მუშაობა
- ცხელი სამუშაოები
- სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებს მოწყობილობის ენერგო იზოალციას

სამუშაო ნებართვების წარმოება და მართვა ხდება შესაბამისი პროცედურის **„სამუშაო ნებართვების პროცედურა“** საფუძველზე.

პერიოდული შემოწმების ჩეკ-ლისტების შენახვა ხდება პასუხისმგებელ პირთან (პირი რომელიც აწარმოებს შემოწმებას) მინიმუმ 1 კალენდარული წლის მანძილზე.

22. სამუშაო პროცესების მართვა

კომპანიაში სამუშაო პროცესების მართვა, ხდება შესაბამისი სამუშაო ინსტრუქციებისა და პროცედურების გათვალისწინებით.

საფრთხის შემცველი სამუშაო პროცესები, რომლებიც გამოვლენილია ან გამოვლინდება რისკების შეფასებისა და აუდიტის საფუძველზე, შექმნილია ან უნდა შეიქმნას შესაბამისი სამუშაო ინსტრუქციები. სამუშაო ინსტრუქციის შექმნაზე პასუხისმგებელი არიან სამუშაო ობიექტის მენეჯმენტი (ქარხნის მენეჯერი, საამქროების მენეჯერები, ინჟინერ ტექნიკური პერსონალი). ყველა სამუშაო ინსტრუქცია თანხმდება შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან და HR/H&S დირექტორთან.

სამუშაო პროცესების თანხვედრა უსაფრთხოების არსებულ პროცედურებთან და სამუშაო ინსტრუქციებთან მოწმდება შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ხარვეზების ანალიზის საფუძველზე მინიმუმ წელიწადში ერთხელ (ყოველი კალენდარული წლის ბოლოს) ხოლო ახლად მიღებული და დანერგილი პროცედურისა თუ ინსტრუქციის შემთხვევაში, დოკუმენტის დამტკიცებიდან მინიმუმ 3 თვეში.

ხარვეზების ანალიზისას დაფიქსირებულ შეუსაბამობაზე სავალდებულოა შედგეს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად უნდა იყოს გაწერილი შეუსაბამობის მიზეზები და მათი აღმოფხვრის ღონისძიებები, ასევე აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

კომპანიის შესყიდვების სამსახური ვალდებულია შეათანხმოს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურთან შესასყიდი პროდუქცია ან მოწყობილობა. ორგანიზაციაში ახლად შესყიდულ პროდუქციაზე თუ მოწყობილობაზე სავალდებულოა მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაციის არსებობა- MSDS და საოპერაციო დოკუმენტაცია, სადაც აღწერილი იქნება კონკრეტული მოწყობილობის გამოყენების უსაფრთხოების წესები, მათ შორის საავარიო და სარემონტო რეკომენდაციები.

კონტრაქტორ ორგანიზაციებთან და სტუმრებთან ურთიერთობა დეტალურად არის გაწერილი შემდეგ დოკუმენტაციებში-

1. „სტუმრებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება“- ჯგუფის სახელმძღვანელო
2. „სტუმრებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოების პროცედურა“- შიდა პროცედურა

23. ცვლილებების მართვა და შესაძლებლობების ანალიზი

კომპანია ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიაში ნებისმიერი ცვლილება, რაც დაკავშირებულია პერსონალის, სამუშაო პროცესის, მოწყობილობა დანადგარის და საკანონმდებლო ცვლილებასთან საჭიროა განხორცილდეს შიდა პროცედურის „ცვლილებების მართვის“ შესაბამისად. პროცესი ითვალისწინებს, როგორც ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების იდენტიფიცირებას ასევე იმ შესაძლებლობებისა და ბენეფიტების ანალიზს რომელიც დაკავშირებული იქნება ცვლილებასთან.

პროცესი დეტალურად არის აღწერილი შესაბამის პროცედურაში „ცვლილებების მართვა“.

24. ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების მოკვლევა

კომპანიის ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი სტუმარი და ყველა ის პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს კომპანია ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიას სამუშაო ობიექტზე ან ასრულებს სამუშაოს სამუშაო ტერიტორიის გარეთ კომპანიის სახელით ვალდებულია შეატყობინოს პირად მენეჯერს და შრომის უსაფრთხოების სამსახურს ნებისმიერი სახის ინციდენტი და უბედური შემთხვევა.

ყველა სახის ინციდენტი ექვემდებარება მოკვლევას.

კომპანიაში ინციდენტების მოკვლევა ხდება შემდეგი სახის შემთხვევებზე

- Fatality- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლი
- LTI- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია ერთ დღეზე მეტი სამუშაო საათების გაცდენა
- MTI- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის ჰოსპიტალიზაცია, მაგრამ არ გამოიწვია ერთ დღეზე მეტი სამუშაო საათების გაცდენა
- FA-ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანება

- Near Miss (PFI/Severe) - ინციდენტი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა

ორგანიზაციაში ინციდენტების მოკვლევაზე პასუხისმგებელია არის შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი.

ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლი სავალდებულოა მოკვლეული იქნას შესაბამისი კომისიის მიერ რომელსაც განსაზღვრავს კომპანიის გენერალური დირექტორი.

ინციდენტების მოკვლევის ანგარიში დგება, როგორც წერილობითი ფორმით ასევე პროგრამულად, კომპანია ჰაიდელბერგცემენტის სპეციალურ პროგრამაში-AID- Accident Information Database.

ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების ანგარიშგება განსაზღვრულია ჯგუფის სახელმძღვანელოთი **„Reporting H&S Data“**

აღნიშნულ ლინკზე იხილეთ ინციდენტის რეპორტირების ელექტრონული გვერდი

<https://aid.heidelbergcement.com/IntelexLogin/Intelex/Application/Home>

25. პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებები

პრევენციული ან მაკორექტირებელი ღონისძიებები წარმოადგენს სავალდებულო შემადგენელ ელემენტს შემდეგი სახის დოკუმენტაციისათვის:

- რისკების შეფასება;
- შეტყობინება საფრთხის შესახებ;
- ობიექტის ინსპექტირების ანგარიში;
- შიდა აუდიტის ანგარიში.
- ინციდენტის მოკვლევა

პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების ადგენს შრომის უსაფრთხოების სამსახური ან ადრესატი მხარე შრომის უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებით. ყოველ შეთანხმებულ ქმედებაზე გაწერილია კონკრეტული პასუხისმგებელი პირი ან პირთა წრე და შესრულების გონივრული ვადები. დაუშვებელია კრიტიკულად მნიშვნელოვანი მაკორექტირებელი ღონისძიებების გადავადება ხანგრძლივი ვადით. არასაკმარისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, თუ ეს არის მიზეზი კრიტიკული საკითხის გადავადებისა, ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნას შესაბამისი ხელმძღვანელი პირებისთვის ზედა მენეჯერულ რგოლზე, რათა მოხდეს სათანადო რესურსების გამოყოფა. კრიტიკული

საკითხის მოგვარებამდე უნდა განხორციელდეს მისი იზოლირება, რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხე.

ადრესატ მზარესთან შეუთანხმებლობის ან კრიტიკული საფრთხის არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ ითვალისწინებს ექსპერტულ ან სპეციფიკურ დარგობრივ ჩარევასა და ანალიზს, შრომის უსაფრთხოების სამსახურს შეუძლია დამოუკიდებლად, ადრესატ მზარესთან შეთანხმების გარეშე განსაზღვროს მაკორექტირებელი ან პრევენციული ღონისძიებები და შესრულების ვადები.

დამოუკიდებლად დაგეგმილი ზომები უნდა იყოს რეალისტური და შესრულებადი გონივრულ ვადებში.

ყველა სახის ანგარიშზე საბოლოოდ შეთანხმებული მაკორექტირებელი და პრევენციული ზომების კონტროლი ხორციელდება ელექტრონულად შრომის უსაფრთხოების კოორდინატორისა და H&S მრჩეველების მიერ.

26. კონტრაქტორი ორგანიზაციები, აუტსორსინგი და სტუმრები კომპანიის სამუშაო ობიექტზე

კონტრაქტორი ორგანიზაციები და სხვა დანარჩენი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს გარკვეული სახის სამუშაოს (მუდმივად კომპანიის ტერიტორიაზე ან გარკვეული დროის მონაკვეთში) ვალდებული არიან იმოქმედონ კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაში არსებული შრომის უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების მკაცრი დაცვით.

ძირითადი პრინციპები კონტრაქტორ ორგანიზაციებთან მიმართებაში:

- კონტრაქტორის შერჩევა
- კონტრაქტორის შეფასება
- შეფასების საფუძველზე სამუშაო ობიექტზე დაშვება
- სამუშაო ობიექტზე სწავლებისა და ინსტრუქტაჟის გავლა
- მონიტორინგი სამუშაოს შესრულების პერიოდში
- საბოლოო შეფასება

კომპანიის სამუშაო ობიექტზე შემოსული ყველა სტუმარი ვალდებულია გაიაროს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი. სტუმარს ეკრძალება სამუშაო ობიექტზე დამოუკიდებლად გააადგილებს.

ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე პასუხისმგებელია:

- სამუშაო ობიექტის ხელმძღვანელობა

- შრომის უსაფრთხოების სამსახური
- იმ საამქროს ხელმძღვანელი სადაც ვიზიტად იმყოფება ესა თუ ის პირი

სტუმრებისა და კონტრაქტორების შესახებ დეტალური რეგულაციების განსაზღვრულია ჯგუფის სახელმძღვანელოთი და შიდა პროცედურით „სტუმრებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება“

კომუნიკაცია კონტრაქტორ ორგანიზაციებთან და უკუკავშირი

კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური, სამუშაო ობიექტების მენეჯმენტთან ერთად უზრუნველყოს სრულ განაკვეთზე მყოფ კონტრაქტორ ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრებს კვარტალში ერთხელ. სამუშაო შეხვედრების ძირითადი მიზანია განხილული იქნას მიმდინარე შრომის უსაფრთხოების საკითხები რაც დაკავშირებულია როგორც კონტრაქტორ ორგანიზაციასთან ასევე კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასთან.

შეხვედრების განრიგი დგება ყოველი კალენდარული წლის იანვრის თვის ბოლოს შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ.

კონტრაქტორ ორგანიზაციებთან საკონტაქტო პირებად განსაზღვრულია:

- შესყიდვების დეპარტამენტი (კონტრაქტ მენეჯერი)
- შრომის უსაფრთხოების მრჩეველი სამუშაო ობიექტზე ან მიზნეს მიმართულებაზე (RMC/AGG ბიზნეს მიმართულების შემთხვევაში)

27. მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებზე

საგანგებო სიტუაციების მართვისათვის კომპანიის სამუშაო ობიექტებზე (ცემენტის ქარხნები, ბეტონის სტაციონალური ქარხნები) დაყენებულია შესაბამისი შეტყობინებისა და საჯარო ინფორმირების სისტემები.

ყველა სამუშაო ობიექტზე ტარდება პრაქტიკული და თეორიული სწავლება საგანგებო სიტუაციებზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით (პრაქტიკული წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ, თეორიული კვარტალში ერთხელ)

ცემენტის ქარხნებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის შექმნილია შესაბამისი ჯგუფი და მათი ქმედებები და ვალდებულებები გაწერილია შესაბამის პროცედურაში „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის სამუშაო პროცედურა“.

ბეტონის ქარხნებში საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებლები არიან ცვლაში ქარხნის ოპერატორები და დაცვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ კონკრეტული ობიექტისათვის შექმნილი საავარიო ინსტრუქციის ფარგლებში.

ფოტის წისქვილში საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელია ქარხნის მორიგე ცვლის უფროსი და დაცვის სამსახური.

კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური უშუალოდ გეგმავს და მონიტორინგს უწევს დაგეგმილ პრაქტიკულ სწავლებებსა და საავარიო სიმულაციებს.

28. შიდა აუდიტი

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტი წარმოადგენს კომპანიისათვის ერთ ერთ საშუალებას შეამოწმოს სტანდარტებისა და პროცესების შესაბამისობა კომპანია ჰაიდელბერგცემენტის, კონონმდებლობითა და მენეჯმენტ სისტემა ISO 45001 ის მოთხოვნებთან მიმართებაში.

შიდა აუდიტის ტარდება შესაბამისი გეგმის საფუძველზე რომელსაც წლის დასაწყისში ადგენს კომპანიის შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი და ამტკიცებს HR/H&S დირექტორი აუდიტის ცატარების წესი და პირობები დეტალურად არის განხილული შესაბამის პროცედურაში „ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების შიდა აუდიტი“

29. ხარვეზებისა და შეუსაბამობების ანალიზი

ხარვეზების ანალიზი ტარდება შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელოების იმპლემენტაციის შესამოწმებლად, ხარვეზების დასადგენად და მათი გამოსწორების გზების დასადგენად. ხარვეზების ანალიზი ტარდება შემდეგი სახის ჯგუფის სახელმძღვანელოებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების შესამოწმებლად და შრომისა და ჯანმრთელობის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით;

- სიმაღლეზე მუშაობა;
- ენერგო იზოლაცია;
- ა/ტრანსპორტის უსაფრთხოება;
- დახურული სივრცეები;
- კონტრაქტორებისა და სტუმრების უსაფრთხოება;
- მოძრავი მექანიზმების უსაფრთხოება.

ცემენტის ქარხნებში ხარვეზების ანალიზს ატარებს სამუშაო ობიექტის მენეჯერი შრომის უსაფრთხოების ინჟინერთან ერთად, ხოლო ბეტონის ქარხნებში- ქარხნის მენეჯერი შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან ერთად. ანალიზი ტარდება წელიწადში ერთხელ, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, ჯგუფის მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარების მეშვეობით. სახელმძღვანელოს განახლების შემთხვევაში კი ხარვეზების ანალიზი ხდება სამი კალენდარული თვის მანძილზე.

პროცესის დასრულების შემდგომ, შეუსაბამობების დაფიქსირების შემთხვევაში, სავალდებულოა შედგეს სამოქმედო გეგმა, გაიწეროს შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები და განისაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირები.

30. მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების ანალიზი და განხილვა

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მიმდინარე მაჩვენებლებად აღებული აქვს:

- მონაცემები სამუშაო ობიექტის ინსპექტირებებზე
- მონაცემები ჩატარებულ აუდიტებზე
- მონაცემები ჩატარებულ გასაუბრებებზე
- რისკების შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები
- პერსონალის კონსულტაცია ჩართულობით მიღებული მონაცემები

ნარჩენი მაჩვენებლებია:

- ინციდენტების რაოდენობა;
- ინციდენტების სიხშირის და სიმძიმის მაჩვენებლები;
- ჯარიმები და სანქციები;
- მონაცემები პროფესიულ დაავადებებზე.
- მონაცემები Near Hit-ბზე

აღნიშნული მაჩვენებლების განხილვა უნდა მოხდეს სამუშაო ობიექტებზე კომიტეტის თათბირებზე შრომის უსაფრთხოების კოორდინატორის მხრიდან.

ზემოთ აღნიშნულ მაჩვენებლებთან ერთად, ასევე ანალიზს და განხილვას ექვემდებარება:

- მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების შესრულების სტატუსები;
- ვადაგადაცილებული ღონისძიებები
- საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების სტატუსებს;
- მიზნებისა და ამოცანების შესრულების სტატუსებს;

- ჯგუფის მოთხოვნების ადგილობრივ დონეზე იმპლემენტაციის სტატუსები;

31. ჯანმრთელობის შემოწმება

ორგანიზაცია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს პერსონალის ჯანმრთელობის შემოწმებას.

სავალდებულოა სრულმა პერსონალმა 2 წელიწადში ერთხელ გაიაროს სრული სამედიცინო შემოწმება

ჯანმრთელობის შემოწმება ხორციელდება კონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულების მხრიდან.

პერსონალის ჯანმრთელობის შემოწმება ხდება ინდივიდუალურად, მათი სამუშაო დატვირთვიდან გამომდინარე.

პერსონალის ჯანმრთელობის შემოწმების პროცესი სრულად არის ასახული დოკუმენტში „პერსონალის ჯანმრთელობის შემოწმების პროცესი“

32. დაინტერესებული მხარეები

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია საკუთარი საქმიანობით ზეგავლენას ახდენს იმ დასახლებულ პუნქტებზე და მოსახლეობაზე სადაც ის ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. სამუშაო ლოკაციებიდან გამომდინარე ესეთ ობიექტად იტვლება კასპის ცემენტის ქარხანა. ქარხნის მენეჯერი და შრომის უსაფრთხოების ადგილობრივი მრჩეველი ვალდებულია მინიმუმ წელიწადში ერთხელ მოაწყოს შეხვედრა მოსახლეობის წარმომადგენელთან მათი მოლოდინებისა და პრობლემების გაზიარების კუთხით.

შეხვედრების ძირითად მიზან წარმოადგენს ანალიზი იმისა თუ რა საფრთხეს უქმნის კომპანიის საქმიანობა ადგილობრივ მოსახლეობას.

მონაცემები სავალდებულოა განხილული იყოს შრომის უსაფრთხოების კომიტეტის თათბირზე გენერალური დირექტორის ჩართულობით.

33. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სისტემის ანალიზი და მმართველი გუნდის მიმოხილვა

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის ანალიზს ახორციელებს კომპანიის შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას HR/H&S დირექტორსა და გენერალურ დირექტორთან ერთად.

მართვის სისტემის ანალიზი ხორციელდება ყოველი კალენდარული წლის ბოლო თვეს. ანალიზში სავალდებულოა განხილული იყოს მინიმუმ შემდგომი საკითხები:

- ინციდენტები და უბედური შემთხვევები
- გასაუბრებები უსაფრთხოებაზე
- პრევენციული/მაკორექტირებელი ღონისძიებები
- სამოქმედო გეგმა
- საკანონმდებლო და სახვა მოთხოვნები
- საფრთხეები და შესაძლებლობები
- მონიტორინგისა და გაზომვების შედეგები
- შიდა აუდიტები და ინსპექტირებები
- პერსონალის ჩართულობა
- კონტრაქტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები

გარდა წლიური ანალიზისა სავალდებულოა დირექტორთა საბჭოს მიერ მიმოხილვა გაკეთდეს ყოველთვიურად. ყოველთვიურ განხილვაში სავალდებულოა განხილული იყოს შემდეგი მინიმუმ მონაცემები

- ინფორმაციის ინციდენტების შესახებ ყველა ბიზნეს მიმართულებით
- ინფორმაცია გასაუბრებების შესახებ ყველა ბიზნეს მიმართულებით
- წლის სამოქმედო გეგმის სტატუსი და პროგნოზი შესრულებაზე

სხვა ყველა დანარჩენი თემატიკა შესაძლებელია განხილული იყოს საჭიროებისამებრ, მათი აუცილებლობისა და კონკრეტული დროისათვის მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით.

34. დანართები
დანართი 1 (პერსონალის იდებებისა და მოსაზრებების საეგისტრაციო ფორმა)

<p><i>სახელი/გვარი</i> (ნი ბაჭყალიძე)</p>	
<p><i>თარიღი</i></p>	
<p><i>აღწერეთ პრობლემის შინაარსი</i></p>	
<p><i>მოსაზრებები და იდეები გაუმჯობესებაზე</i></p>	

დანართი 2 ობიექტის ინსპექტირების ფორმა

ინსპექტირების თარიღი					
სამუშაო ობიექტი					
სამუშაო/ლოკაცია					
ბიზნეს მიმართულება		CEM <input type="checkbox"/> RMC <input type="checkbox"/> AGG <input type="checkbox"/>			
პასუხისმგებელი პირი					
სამუშაო პროცესი					
მიმდინარე სამუშაოს მოკლე აღწერა					
იდენტიფიცირებული საფრთხეები					
ენერგო იზოლაცია	<input type="checkbox"/>	ტრანსპორტი, მძიმე ტექნიკა	<input type="checkbox"/>	წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლები	<input type="checkbox"/>
დამცავი საფარები	<input type="checkbox"/>	სიმაღლეზე მუშაობა	<input type="checkbox"/>	ბურღვა/აფეთქება	<input type="checkbox"/>
დახურული სივრცე	<input type="checkbox"/>	ვარდნილი საგნები	<input type="checkbox"/>	დაღაცება	<input type="checkbox"/>
ფეხის ასრიალება, წამოკვრა, დაღემა	<input type="checkbox"/>	არასწორი განლაგება/პოზიცია	<input type="checkbox"/>	კონსტრუქციული მდგრადობა	<input type="checkbox"/>
ცხელი საბუშაოები	<input type="checkbox"/>	სამოძრაო გზები	<input type="checkbox"/>	ამწე საბუშაოები და მექანიზმები	<input type="checkbox"/>
მბრუნავი მექანიზმები	<input type="checkbox"/>	ხანძარი/აფეთქება	<input type="checkbox"/>	პიგიენა/სანიტარია	<input type="checkbox"/>
ელექტროობა	<input type="checkbox"/>	კომპეტენცია	<input type="checkbox"/>	დაგეგმარება	<input type="checkbox"/>
პროცედურები და ინსტრუქციები	<input type="checkbox"/>	სამუშაო ნებართვები	<input type="checkbox"/>	რისკების შეფასება	<input type="checkbox"/>
კონტროლი/ზედამხედველობა	<input type="checkbox"/>	ერგონომიკა	<input type="checkbox"/>	მეტეოროლოგიური პირობები	<input type="checkbox"/>
სხვა	<input type="checkbox"/>				
ანგარიში დაკავშირებულია					
HCG	<input type="checkbox"/>	კონტრაქტორი	<input type="checkbox"/>	მესამე მხარე	<input type="checkbox"/>
ინსპექტირების შედეგი					
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
HC Protect reference number					
ინსპექტირება ჩაატარა					
სახელი გვარი					
სამუშაო პოზიცია					

დანართი 3- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზის ფორმა

#	საკანონმდებლო მოთხოვნა	შესრულება	შეუსრულებლობის მიზეზი	შესრულებაზე პასუხისმგებელი	ვადა
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					

დანართი 4- შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის ფორმა)

საფრთხე	საფრთხის ანალიზი	შესაძლო შედეგი	შეფასება	საკონტროლო ზომები

დანართი 4.4

2022 წელს კასპის ცემენტის ქარხნის თანამშრომლების პროფესიული სწავლებები		
მონაწილე	რიცხვი	ტრენინგის თემატიკა
შოთა ბიჭიკაშვილი	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
გიორგი ოთარაშვილი	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
მერაბ მერებაშვილი	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
ტატო მეშველაშვილი	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
ელენე გაბოძე	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
ბექა ილურიძე	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
ვალერი ნადარაია	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
კახა გოჩიტაშვილი	28_29.04.22	დროისა და ცვლილების მენეჯმენტი
ალექსანდრე კობრიშვილი	18.01-10.02.22	შედულება
კობა ბურდული	18.01-10.02.22	შედულება
გიორგი გურასპაშვილი	19.03-30.04.22	პროექტის მენეჯმენტი 2.0
კახა გოჩიტაშვილი	05.04-30.04.22	MS პროექტი
ზაზა ადუაშვილი	05.04-30.04.22	MS პროექტი
ტატო მეშველაშვილი	05.04-30.04.22	MS პროექტი
ვახტანგ ჩხეიძე	05.04-30.04.22	MS პროექტი
ივანე ჯავახიშვილი	05.04-30.04.22	MS პროექტი
დათო ჩაბრაძე	05.04-30.04.22	MS პროექტი
გიორგი ოთარაშვილი	05.04-30.04.22	MS პროექტი
ვახტანგ ჩხეიძე	29.03-21.04.22	გენერალური მენეჯმენტი
გიორგი გურასპაშვილი	29.03-21.04.22	გენერალური მენეჯმენტი
მიხეილ კიტრიაშვილი	29.03-21.04.22	გენერალური მენეჯმენტი
არჩილ ჩუთლაშვილი	10.12.21-25.02.22	Excel (სპეციალური კოუსი)
ტატო მეშველაშვილი	01.12.21-27.01.22	Excel (შუალედური)
შოთა ბიჭიკაშვილი	01.12.21-27.01.22	Excel (შუალედური)
გიორგი გელაშვილი	01.12.21-27.01.22	Excel (შუალედური)
გიორგი ოთარაშვილი	01.12.21-27.01.22	Excel (შუალედური)
მერაბ მერებაშვილი	01.12.21-27.01.22	Excel (შუალედური)
არჩილ ჩუთლაშვილი	17.01-30.05.22	NEBOSH გამოცდის მომზადება
ნინო ოყროშიძე	23-25.06.2022	პროექტის მენეჯმენტი
ივანე ჯავახიშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გურამ მერებაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
თამაზ სტოლბოვი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
შალვა გურასპაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში

ნინი ოყროშიძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ნინო ბითაძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
თამაზი ცხენოსანიძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ივანე ტყემალაძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ლევანი თათანაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ბექა ილურიძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გიორგი ბუთხუზი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ანზორი ღვალაძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გიორგი ბაცანკალაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გიგა თავგიაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გურამი პარკაძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
შალვა კასრაძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ბესიკი თათრიშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ოთარ ბეჟიტაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გიორგი რომაშკო	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გიორგი როსებაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
იასონი ილურიძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ნათია პავლიაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გელა გელიაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
ნოდარ შეშაბერიძე	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
დიმიტრი ქურთაული	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
მამუკა მაჭარაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში
გიორგი გელაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერგიაში

გიორგი ოთარაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერჯიაში
ნიკოლოზ ფირცხალავა	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერჯიაში
ნიკა მიქუტაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერჯიაში
რატი აბუაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერჯიაში
სოსო ქარქუსაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერჯიაში
გიორგი ოთარაშვილი	08.22-09.22	პროფესიული ტრენინგი ელექტროენერჯიაში
ტატო მეშველაშვილი	12.09-10.11.22	საქმიანი ინგლისური (ლაპარაკი)
ტატო მეშველაშვილი	26.09-11.11.22	□ექანიკური ინჟინერია
მერაბ მერებაშვილი	26.09-11.11.22	□ექანიკური ინჟინერია
შოთა ბიჭიკაშვილი	26.09-11.11.22	□ექანიკური ინჟინერია
თამაზ მცურავიშვილი	26.09-11.11.22	□ექანიკური ინჟინერია
ლევან გურგენიძე	26.09-11.11.22	□ექანიკური ინჟინერია
პაატა მაღლაფერიძე	26.09-11.11.22	□ექანიკური ინჟინერია
ვასილ ილურიძე	26.09-11.11.22	□ექანიკური ინჟინერია
ელენე გაბოძე	24.10.- 9.12.22	Excel (შუალედური)
კლერტიაშვილი ლაშა	7.10.-8.10.22	ეფექტური კომუნიკაციისა და უკუკავშირის კულტურა
ოთარაშვილი გიორგი	7.10.-8.10.22	ეფექტური კომუნიკაციისა და უკუკავშირის კულტურა
გაბოძე ელენე	14.10.- 15.10.22	ეფექტური კომუნიკაციისა და უკუკავშირის კულტურა
გელაშვილი გიორგი	14.10.- 15.10.22	ეფექტური კომუნიკაციისა და უკუკავშირის კულტურა
ილურიძე ბექა	14.10.- 15.10.22	ეფექტური კომუნიკაციისა და უკუკავშირის კულტურა
ადუაშვილი ზაქარია	24-26.11.2022	ეფექტური კომუნიკაცია, მმართველი გუნდები, უკუკავშირის კულტურა, ორგ. კულტურა
გაბოძე ვაჟა	24-26.11.2022	ეფექტური კომუნიკაცია, მმართველი გუნდები, უკუკავშირის კულტურა, ორგ. კულტურა
მეშველაშვილი ტატო	24-26.11.2022	ეფექტური კომუნიკაცია, მმართველი გუნდები, უკუკავშირის კულტურა, ორგ. კულტურა

კიტრიაშვილი მიხეილი	7-9.12.22	ეფექტური კომუნიკაცია, მმართველი გუნდები, უკუკავშირის კულტურა, ორგ. კულტურა
ჩხეიძე ვახტანგ	7-9.12.22	ეფექტური კომუნიკაცია, მმართველი გუნდები, უკუკავშირის კულტურა, ორგ. კულტურა
გოჩიაშვილი კახაბერ	7-9.12.22	ეფექტური კომუნიკაცია, მმართველი გუნდები, უკუკავშირის კულტურა, ორგ. კულტურა
კრავჩენკო ევგენი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
სამხარაძე ჯაბა	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
მაჩაბლიშვილი ზურა	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ჩოფიკაშვილი ზურაბი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ხუციშვილი ალექსანდრე	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
პოპიაშვილი ზურაბი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
შანშაშვილი ირაკლი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
უძილაური გიორგი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
გია ლეკაშვილი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ქავთარაძე ელგუჯა	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ბეგიაშვილი გიორგი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ყოჩიაშვილი ვასილი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
დავით ქადაგიძე	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ბოსტოლანაშვილი ზვიადი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ჯოჯიკაშვილი ზვიადი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
გურაშვილი გელა	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ჯანყარაშვილი მამუკა	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ჯანიაშვილი ზურაბი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ყაზაროვი გურამი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება

ყორიაშვილი ბიჭიკო	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ალექსი ბაუმ	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
მადოიანი სამველ	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ზირაქიშვილი თემური	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ლაპიაშვილი ირაკლი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
გელა ბიკაშვილი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება
ვიაჩესლავ პოჟიდაევი	22-09.12.2022	მემონტაჟე-შემკეთებელთა ტექნიკური მომზადება

დანართი 4.5



საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის სამუშაო პროცედურა

მოქმედების სფერო
შედგენის თარიღი
შედგენილია

შეთანხმებულია
დამტკიცებულია
ვერსია

რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები
06.2018
გიორგი კობახიძე

ეკატერინე ვაშაკიძე *HR/H&S დირექტორი*
მიხაილ ჰამპელი *გენერალური დირექტორი*
01

სარჩევი

1. შესავალი	3
2. მოქმედების სფერო	3
3. მიზანი	3
4. ჯგუფის მიზნები და ამოცანები	3
5. სავალდებულო სწავლებები	4
6. საგანგებო სიტუაციები	4
7. რუსთავისა და ქართულის ცემენტის ქარხნების სამაშველო ჯგუფი	4
8. კომუნიკაცია	5
9. ცვლის გადაბარება	5
10. ქმედება საგანგებო სიტუაციისას	6
11. ინვენტარის შემოწმება	6

1. შესავალი

წინამდებარე პროცედურა აღწერს კომპანია ჰაიდელბერგცემენტის საკუთრებაში მყოფ ცემენტის ქარხნებში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის (სამაშველო ჯგუფის) პასუხისმგებლობებს ზემოთ აღნიშნულ ობიექტებზე დამდგარი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში.

განმარტება: საგანგებო სიტუაცია- დაუგეგმავი, წინასწარ გაუთვალისწინებელი (ან უკვე დამდგარი) გარემოება, რა დროსაც საფრთხე ექმნება ან უკვე შეექმნას ადამინის ან ადამინთა ჯგუფის ჯანმრთელობას, ორგანიზაციის მატერიალურ ქონებას ან გარემოს და რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კომპეტენტური პირების მხრიდან რეაგირებას სიტუაციის განმუხტვის ან ზიანის სიმძიმის შემცირებისათვის.

2. მოქმედების სფერო

წინამდებარე დოკუმენტის მოქმედების სფეროა ჰაიდელბერგცემენტის რუსთავისა და ქართული ცემენტის ქარხნები. საგანგებო სიტუაციებისას დასაცავი წესები სავალდებულოა როგორც კომპანიის თანამშრომლებისათვის ასევე კონტრაქტორებისა და სტუმრებისათვის.

3. მიზანი

ცემენტის წარმოება დაკავშირებული მრავალი სახის საფრთხეებთან. ორგანიზაციაში გარკვეული სახის სამუშაოები, როგორებიცაა: დახურულ სივრცეში შესვლა, სიმაღლეზე მუშაობა, ცხელი სამუშაოები და ა.შ. დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკებთან, რომელთა წინასწარმეტყველება და გთვლა შესაძლოა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი იყოს. მიუხედავად მკაცრად კონტროლირებადი სამუშაო პროცესისა, შესალოა დადგეს სიტუაცია, როდესაც საჭირო იქნება კარგად ორგანიზებული და მომზადებული ჯგუფის ჩარევა სამუშაო პროცესში წარმოშობილ საგანგებო მდგომარეობის შედეგად. ყოველივე ამის გათვალისწინებით კომპანია იღებს ვალდებულებას შექმნას, მოამზადოს და სრულ მზადყოფნაში იყოს საგანგებო სიტუაციების ჯგუფი.

4. ჯგუფის მიზნები და ამოცანები

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს ავარიულ სიტუაციებში დაზარალებული პირების იმობილიზაცია და პირველადი დახმარების აღმოჩენა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე, საფრთხის ქვეშ მყოფი პირების გამოყვანა საფრთხის ზონიდან, რეაგირება სამუშაო ობიექტზე გაჩენილი ხანძრის შემთხვევაში და პერსონალის ევაკუაციის ორგანიზება (როგორც სრული ასევე ნაწილობრივი-საამქროების მიხედვით).

5. სავალდებულო სწავლებები

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის წევრებმა, სავალდებულოა გაიარონ შემდეგი სახის ყოველწლიური სწავლებები და ცოდნის შემოწმება შემდეგ დისციპლინებში:

1. პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. სიმაღლეზე მუშაობა;
3. დახურულ სივრცეში შესვლა;
4. სახანძრო უსაფრთხოება.

შრომის უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია ჩაატაროს იმპროვიზირებული სწავლებები სამაშველო ჯგუფის მზადყოფნისა და უნარ ჩვევების შესამოწმებლად წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით, რომელსაც ადგენს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი და ამტკიცებს HR/H&S დირექტორი.

6. საგანგებო სიტუაციები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე შესაძლოა დადგეს შემდეგი საავარიო სიტუაციები:

- ხანძარი;
- ნგრევა
- სიმალიდან ვარდნა;
- დახურულ სივრცეში სტრუქტურული ნგრევა ან პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- ა/საგზაო შემთხვევა;
- აფეთქება;

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი ვალდებულია მყისიერი რეაგირება მოახდინოს ზემოთ აღნიშნული გარემოებების დადგომის შემთხვევაში და გაატაროს შესაბამისი სამაშველო ღონისძიებები დაზარალებულების აღმოსაჩენად და გადასარჩენად.

7. ცემენტის ქარხნების სამაშველო ჯგუფი

- სამაშველო ჯგუფის წევრების ვინაობას არსებული შტატიდან განსაზღვრავს ქარხნის მენეჯერი და შრომის უსაფრთხოების ინჟინერი;
- სამაშველო ჯგუფის წევრთა რაოდენობა სამუშაო ცვლაში არის 5 პიროვნება, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრი გადის კუთვნილ შვებულებაში სავალდებულოა ეს პიროვნება ჩანაცვლდეს რეზერვით;
- დაუშვებელია ყველა წევრის ერთდროულად გასვლა კუთვნილ შვებულებაში;
- სამაშველო ჯგუფს ყველა ცვლაში ხელმძღვანელობს სამაშველო ჯგუფის უფროსი რომელიც იმყოფება შრომის უსაფრთხოების ინჟინერის კოორდინაციის ქვეშ.

- საგანგებო სიტუაციის დადგომისას კი სამაშველო ჯგუფის უფროსი იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას სამაშველო საქმიანობის ჩატარების მეთოდებზე, და ადგილზე განსაზღვრავს სამაშველო ჯგუფის სხვა წევრების ფუნქციებს და მოვალეობებს კონკრეტული ღონისძიების შესრულების პროცესში.
- საგანგებო სიტუაციის დადგომისას ცვლის უფროსი ვალდებულია განახორციელოს ზარი 112 ში ასევე დაუყოვნებლის საქმის კურსში ჩააყენოს სამუშაო ობიექტის შრომის უსაფრთხოების ინჟინერი.

8. კომუნიკაცია

- საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საკონტაქტო ნომერი სავალდებულოა გამოიკრას ქარხნის მთელ ტერიტორიაზე
- საკონტაქტო მობილური ტელეფონი ინახება სამაშველო ჯგუფის უფროსთან;
- სამაშველო ჯგუფს შორის, საავარიო სიტუაციების დადგომისას კომუნიკაცია მყარდება პორტატული რადიოს მეშვეობით, რომლითაც აღჭურვილია ჯგუფის ყველა წევრი სამუშაო ცვლაში.
- სავალდებულოა საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ჯგუფის წევრების შესახებ განთავსებული იქნას ქარხნის შესასვლელებში და ყველა საამქროში თვალსაჩინო ადგილზე
- სტუმრებისა და კონტრაქტორებისათვის გათვალისწინებული ინსტრუქტაჟი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სამაშველო ჯგუფის საკონტაქტო ნომერზე.

9. ცვლის გადაბარება

ყოველი სამუშაო ცვლის დასრულება/დაწყებისას უნდა მოხდეს სამაშველო ჯგუფის ცვლის გადაბარებაც. ცვლის გადაბარება ხდება სამაშველო ჯგუფის ბაზაზე, რომელიც განთავსებულია ქართული ცემენტის ნედლეულის საამქროს ტერიტორიაზე. ცვლის გადაბარებისას სამაშველო ჯგუფის უფროსი უნდა დარწმუნდეს შემდგომში:

- ცვლაში არსებული ჯგუფის ყველა წევრი ადგილზეა;
- დარწმუნდეს რომ ჯგუფის ყველა წევრი არის აღჭურვილი რადიო საკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც არის გამართული და ელემენტი დამუხტული;
- დარწმუნდეს, რომ საკონტაქტო მობილური ტელეფონი გამართულია და ელემენტი დამუხტული;
- შეამოწმოს სამაშველო ინვენტარის არსებობა რაოდენობრივად.

- ყოველი კვირის ბოლოს შეამოწმოს სამაშველო ინვენტარის გამართულობა შესაბამისი ჩანაწერების წარმოებით.

შენიშვნა: დაუშვებელია საკონტაქტო მობილური ტელეფონის გამოყენება პირადი ან სხვა მიზნებისათვის.

შენიშვნა: მუდმივი კონტაქტის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა ბაზაზე არსებობდეს სათადარიგო ელემენტები თავისი დასამუხტი მოწყობილობით, როგორც მობილური ტელეფონისათვის ასევე რადიო საკომუნიკაციო საშუალებებისათვის.

10. ქმედება საგანგებო სიტუაციისას

იმისათვის, რომ სწორად დაიგეგმოს ღონისძიება, ინფორმაციის მიღებისას სამაშველო ჯგუფის უფროსი ვალდებულია შემტყობინებისაგან მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- შემთხვევის ზუსტი ადგილ-მდებარეობა;
- შემთხვევის სახე-რა მოხდა;
- შესაძლო დაზარალებულთა რაოდენობა

ინფორმაციის მიღების შემდგომ ჯგუფის უფროსი პორტატული რადიო საკომუნიკაციო საშუალებით უკავშირდება ჯგუფის წევრებს, აცნობს მიღებულ ინფორმაციას და აცხადებს სრულ მზადყოფნას. თავის მხრივ ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მუშაობა და ჩაერთონ საგანგებო ზომების განხორციელებაში.

ინფორმაციის მიღებისას ჯგუფის წევრები (3 დან 5წუთის ფარგლებში) ვალდებულნი არიან შეიკრიბონ ბაზაზე, სადაც ხდება შესაბამისი აღჭურვილობის შერჩევა და გასვლა შემთხვევის ადგილზე.

იმ შემთხვევაში თუ ხდება საწარმოს სრული ან ნაწილობრივი ევაკუაცია, ესეთ შემთხვევაში ჯგუფის უფროსი განსაზღვრავს შეკრების ადგილს, განისაზღვრავს შესაბამის ტერიტორიებს ჯგუფის წევრებისათვის, რომლებიც ვალდებულნი არიან შეამოწმონ არსებული ტერიტორიები რათა დარწმუნდნენ, რომ პერსონალმა დატოვა ტერიტორია.

11. ინვენტარის შემოწმება

- სამაშველო ჯგუფის ცვლის უფროსი ვალდებულია ყოველი კვირის პარსკევს შეამოწმოს არსებული ინვენტარის გამართულობა მწარმოებლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- სავალდებულოა მოხდეს შემოწმების დოკუმენტირება შესაბამის ჟურნალში;

- შრომის უსაფრთხოების ინჟინერი სამაშველო ჯგუფის ცვლის უფროსებთან ერთად ადგენს შესაბამის ფორმებსა და ჟურნალებს თითოეულ ინვენტარზე;
- დაფიქსირებული წუნის ან ხარვეზის შემთხვევაში მოწყობილობა ან აღჭურვილობა უნდა იყოს ამოღებული ხმარებიდან და მოხდეს მისი ახლის ჩანაცვლება.

დანართი 4.6


HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

გენერალური დირექტორი

HR & H&S დირექტორი

თარიღი:

დამტკიცებულია:


მიხაელ ჰამბული


ეკატერინე ვაშაკიძე

02.09.2014.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევისა და გამოყენების პროცედურა

შინაარსი

1. შესავალი 3

2. განმარტებები: 3

3. პასუხისმგებლობები 3

3.1 ობიექტის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების (H&S) ინჟინერი 3

3.2 კომპანიის H&S კოორდინატორი 4

3.3 ცვლის უფროსები და სუპერვაიზერები 4

3.4 მუშა პერსონალი 5

3.5 კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები 5

4. ძირითადი მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიმართ 5

5. თავის დაცვის საშუალება 6

5.1 უსაფრთხო ჩაფხუტი 6

6. მხედველობის დაცვის საშუალებები 6

6.1 უსაფრთხო სტანდარტული სათვალე 7

6.2 მფარავი სათვალე (Goggles) 7

6.3 მთლიანი სახის მასკა 7

7. ხელის დაცვა 8

7.1 ქიმიური ნივთიერებებისაგან დაცვა 8

7.2 ელექტრო ენერჯისაგან დაცვა 8

7.3 შედუღება და ცხელი ჭრა 8

8. ფეხის დაცვა 8

9. სმენის დაცვა 9

10. სასუნთქი გზების დაცვა 9

10.1 რესპირატორის მოვლა და შეცვლა 10

10.1.1 ერთჯერადი რესპირატორი 10

10.1.2 ნახევარ სახის რესპირატორი შესაცვლელი ფილტრებით 10

10.1.3 რესპირატორის გაწმენდა 11

11. სიმალიდან ვარდნის დამცავი საშუალებები 11

12.	მოთხოვნები ვიზიტორების მიმართ	12
13.	ინდუსტრიული სტანდარტები	12
14.	ინდ. დაცვის საშუალებების სავალდებულო ნიშნები	19

1. შესავალი

წინამდებარე პროცედურა სავალდებულოა კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ“-ის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ ყველა ობიექტზე, ასევე კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორებისათვის, რომლების ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს კომპანიის საკუთრებაში მყოფ ობიექტებზე (ცემენტის ქარხნები, ბეტონის ქარხნები, კარიერები)

წინამდებარე პროცედურის მიზანია განსაზღვროს მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიმართ, ისეთი როგორცაა:

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ხარისხი;
- სწორი გამოყენება;
- მოვლა და შეცვლა.

2. განმარტებები:

H&S-ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება;

PPE-ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

EN-ევროპული ნორმა

კომპანია: ჰეიდელბერგცემენტ ჯორჯია

3. პასუხისმგებლობები

3.1 ობიექტის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების (H&S) ინჟინერი

H&S ინჟინერი ვალდებულია:

- დარწმუნდეს, რომ ყველა თანამშრომელი აღჭურვილია შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

- დარწმუნდეს, რომ თანამშრომლები, რომლებიც ვალდებულნი არიან გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა მათი სწორი გამოყენების, შენახვისა და მოვლის შესახებ;
- დარწმუნდეს, რომ ყველა კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორი და ვიზიტორი აღჭურვილია წინამდებარე პროცედურით განსაზღვრული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- დარწმუნდეს რომ ყველა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შენახული და დასაწყობებულია მწარმოებლის მიერ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- შეაჩეროს სამუშაო თუ ის სრულდება სავალდებულო ინდ. დაცვის საშუალების გარეშე, ან თუ ინდ. დაცვის საშუალება არის დაზიანებული ან გამოიყენება არასწორად.

3.2 კომპანიის H&S კოორდინატორი

- პერიოდულად განახორციელოს რისკების შეფასება ინდ. დაცვის საშუალებების შესახებ;
- უზრუნველყოს სწორი ინდ.დაცვის საშუალებების შერჩევა ობიექტებისათვის;
- განახორციელოს პერიოდული ჰიგიენური მონიტორინგი (ხმაურისა და მტვერის დონის გაზომვები) H&S ინჟინერთან ერთად და განსაზღვროს შესაბამისი ინდ.დაცვის საშუალებების გამოყენება ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე.

3.3 ცვლის უფროსები და სუპერვაიზერები

- ვალდებულნი არიან დარწმუნდნენ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლები აღჭურვილნი არიან სწორი და გამართული ინდ.დაცვის საშუალებებით.

3.4 მუშა პერსონალი

- დარწმუნდნენ რომ ინდ დაცვის საშუალებები არის გამართული, არ აღენიშნებათ დეფექტი და დაზიანებები (ესეთ შემთხვევაში ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მოახსენონ ფაქტი პირად ხელმძღვანელსა და ობიექტის H&S ინჟინერს)
- გამოიყენონ ინდ დაცვის საშუალებები მხოლოდ და მხოლოდ დანიშნულებისამებრ;
- შეამოწმონ ინდ. დაცვის საშალებები სამუშაოს დაწყებამდე;
- მოახსენონ ნებისმიერი სახის პრობლემა პირად ხელმძღვანელსა და ობიექტის H&S ინჟინერს, რაც დაკავშირებული იქნება ინდ. დაცვის საშუალებებთან.

3.5 კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები

კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებული არიან უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლები შესაბამისი ინდ.დაცვის საშუალებებით;

დარწმუნდნენ, რომ ინდ. დაცვის საშუალებები აკმაყოფილებს წინამდებარე პროცედურით გათვალისწინებულ ნორმებსა და მოთხოვნებს.

4. ძირითადი მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიმართ

შემდეგი ძირითადი სახის ინდ. დაცვის საშუალებები გამოიყენება კომპანიის მიერ:

- თავის დაცვის საშუალებები;
- ხელის დაცვის საშუალებები;
- მხედველობის დაცვის საშუალებები;
- სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები;
- სმენის დაცვის საშუალებები;
- მთლიანი სხეულის დაცვის საშუალებები;
- ვარდნისაგან დამცავი საშუალებები.

5. თავის დაცვის საშუალება

5.1 უსაფრთხო ჩაფხუტი

ჩაფხუტის ტარება სავალდებულოა კომპანიის საკუთრებაში არსებული ობიექტების მთელ ტერიტორიაზე. ასევე კომპანიის თანამშრომლები, კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები, სამუშაო საათებში ვალდებული არიან გამოიყენონ ჩაფხუტი ობიექტის ტერიტორიის გარე ტერიტორიაზე, იქ სადაც არსებობს მაღლიდან ვარდნილი ნივთების საფრთხე (სამშენებლო ობიექტები, სადაც მიმდინარეობს სამშენებლო, ნგრევითი, გათხრითი და ა.შ. სამუშაოები) ასევე ტერიტორიებზე სადაც ინდ. დაცვის საშუალებების გამოყენება აუცილებელია.

კომპანიაში გამოყენებული ჩაფხუტი უნდა აკმაყოფილებდეს EN-397 სტანდარტის მოთხოვნებს.

მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებლის მიერ დამზადებული და რეკომენდირებული აქსესუარები უნდა იქნეს გამოყენებული ჩაფხუტზე. დაუშვებელია ჩაფხუტის მოდერნიზაცია (გახვრეტა, გარკვეული ნაწილების ჩამოჭრა და ა.შ) რას ასუსტებს მის მედეგობას, დაუშვებელია ჩაფხუტის შეღებვა (საღებავში არსებული ქიმიური ნივთიერებები აზიანებს ჩაფხუტს). სამუშაოს დასრულების შემდეგ ჩაფხუტი უნდა იქნას გრილი (სასურველია საპნიანი წლით) წყლით გარეცხილი.

ჩაფხუტის შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებლის მიერ მითითებულ ვადაში. კომპანიაში გამოყენებული ჩაფხუტების ვადებია: ჩაფხუტი კორპუსით ABS-გამოყენების ვადა 5 წელი. ჩაფხუტი კორპუსით HDPI-მოხმარების ვადა 3 წელი. ჩაფხუტი დაუყოვნებლივ უნდა იქნას შეიცვალოს დაზიანების შემთხვევაში.

შენიშვნა:კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებული არიან გამოიყენონ ანალოგიური სტანდარტის ყვითელი ფერის ჩაფხუტები.

6. მხედველობის დაცვის საშუალებები

სამუშაოდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის უსაფრთხოების სათვალეები უნდა იქნას გამოყენებული სამუშაო ობიექტებზე. ყველა სახის უსაფრთხოების სათვალე უნდა აკმაყოფილებდეს EN-166 სტანდარტის მოთხოვნებს. მხედველობის დაცვის საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ სრულყოფილი მხედველობა როგორც შენობებში ასევე გარე ტერიტორიაზე. იმის გათვალისწინებით, რომ თანამშრომლებს უწევთ გარე ტერიტორიაზე მუშაობა, სავალდებულო კომპანიამ უზრუნველყოს მზისგან დამცავი სათვალეებით საკუთარი თანამშრომლები.

კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები, ვალდებული არიან უზრუნველყონ საკუთარი თანამშრომლები წინამდებარე პროცედურის გათვალისწინებული სათვალეებით.

6.1 უსაფრთხო სტანდარტული სათვალე

სტანდარტული უსაფრთხოების სათვალე, გვერდითი ფარით, უნდა იყოს გამოყენებული, როგორც მხედველობის მინიმალური დაცვის საშუალება კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე. თანამშრომლებს რომლებსაც აღენიშნებათ მხედველობის პრობლემები და ხმარობენ სამკურნალო ან მხედველობის გასაუმჯობესებელ სათვალეებს, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი უსაფრთხოების სათვალეებით.

6.2 მფარავი სათვალე (Goggles)

მფარავი სათვალე გამოყენებული უნდა იქნას როგორც თვალისა და თვალის გარშემო არსებული კანის დასაცავად შემდეგი სახის საქმიანობისას:

- საღებავის, ჟანგის და ა.შ. აცლის შემთხვევაში;
- ცემენტთან ან არაქიმიური სახის ფხვნილებთან შეხებისას(გადატანა, შეფუთვა და ა.შ.);
- პულივიზატორით ღებვისას;
- ჰაერის წნევის საშუალებით მტვერზე ან სხვა სახის ნივთიერებზე ზემოქმედებისას;
- ქიმიურ ნივთიერებებთან კონტაქტისას.

6.3 მთლიანი სახის მასკა

მთლიანი სახის მასკამ უნდა უზრუნველყოს თვალისა და სახის დაცვა სხვადასხვა სახის ნაპერწკლებისაგან, მდნარი ლითონისაგან და ნებისმიერი სახის გამოტყორცნილი ნაწილაკებისაგან.

სახის მასკის გამოყენება სავალდებულოა შემდეგი სახის საქმიანობისას:

- ცხელი ჭრა;
- ცივი ჭრა;
- შედუღება;
- პნევმატური იარაღით მუშაობა.

სახის მასკა ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას თანამშრომლების მიერ ქიმიურ ნივთიერებებთან, მაგრამ ის არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მფარავი სათვალის (goggles) შემცველი საშუალება.

სახის მასკა გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლით, მისი შეცვლა სავალდებულოა მწარმოებლის მიერ მითითებულ ვადებში ან დაზიანების შემთხვევაში.

7. ხელის დაცვა

ხელის დაცვის საშუალებები (ხელთათმანები) უნდა აკმაყოფილებდეს EN388, EN420-ის სტანდარტის მოთხოვნებს. სტანდარტული ხელთათმანები გამოყენებული უნდა იქნას ხელის გაჭრის, გახეხვის და ა.შ დაცვისათვის.

სცპეციალური ხელთათმანები თანამშრომლის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს როდესაც უწევს შეხება:

- ქიმიურ ნივთიერებებთან;
- ელექტროობასთან;
- შედუღება ან ცხელი ჭრა

7.1 ქიმიური ნივთიერებებისაგან დაცვა

იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელს შეხება უწევს სახვადასხვა სახის ქიმიურ ნივთიერებებთან სავალდებულოა შესაბამისი ქიმიური ხელთათმანების გამოყენება.

7.2 ელექტრო ენერჯიისაგან დაცვა

ნებისმიერი სამუშაო, რომელიც კი დაკავშირებულია ელექტრო ენერჯიასთან სავალდებულოა შესაბამისი დიელექტრიული ხელთათმანების გამოყენება.

7.3 შედუღება და ცხელი ჭრა

ცეცხლგამძლე ხელთათმანების გამოყენება სავალდებულოა როდესაც მიმდინარეობს შედუღებითი და ცხელი ჭრის სამუშაოები. ცეცხლგამძლე ხელთათმანები უნდა აკმაყოფილებდეს EN407, 2004 სტანდარტის მოთხოვნებს.

ხელთათმანების დაუყოვნებლივი შეცვლა უნდა მოხდეს მათი დაზიანების შემთხვევაში.

8. ფეხის დაცვა

ფეხის დაცვის საშუალებები-უსაფრთხო ბათინკები უნდა აკმაყოფილებდეს EN 20345 სტანდარტის მოთხოვნას. ძირითადი მოთხოვნა უსაფრთხო ბათინკების მიმართ:

- რკინის დამცავი ფეხის თითებზე;

- რკინის დამცავი ქუსლებზე;
- ძნელად ასრიალებადი ძირი;
- მაღალყელიანი.

დაუშვებელია კომპანიის ტერიტორიაზე გადაადილება და სამუშაოს განხორციელება უსაფრთხო ბათინკების გარეშე.

სამუშაოს დასრულების შემდგომ უნდა მოხდეს ბათინკების გასუფთავება, მათი შეცვლა სავალდებულოა დაზიანების შემთხვევაში.

9. სმენის დაცვა

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო ობიექტებისათვის დამახასიათებელია მომატებული ხმაურის დონე. იმისათვის, რომ თანამშრომლები კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები დაცულნი იყვნენ მაღალი ხმაურის ზეგავლენისაგან საჭიროა გამოყენებულ იქნას სმენის დაცვის ერთმაგი ან ორმაგი დაცვის საშუალებები.

სმენის დაცვის ერთმაგი საშუალება: იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი, კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორი ან ვიზიტორი იმყოფება ან ახორციელებს სამუშაოს სადაც ხმაურის დონე აღმატება 80 დბ-ს სავალდებულოა სმენის ერთმაგი დაცვის საშუალების (ე.წ. ყურსაცავის) გამოყენება

სმენის ორმაგი დაცვის საშუალება: იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელი, კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორი ან ვიზიტორი იმყოფება ან ახორციელებს სამუშაოს ზონაში, სადაც ხმაურის დონე 105დბ-ს აღემატება, სავალდებულოა სმენის დამცავი ორმაგი საშუალების გამოყენება (ყურსაცავი და ე.წ. Ear muff)

სმენის დაცვის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს EN352 სტანდარტის მოთხოვნებს

თანამშრომლები ვალდებული არიან არიან გამოიყენონ სმენის დამცავი ერთმაგი ან ორმაგი დაცვის საშუალებები ხმაურის დონის შესაბამისად (ხმაურის დონის გაზომვას განახორციელებს ობიექტის H&S ინჟინერი ორჯერ კვირის განმავლობაში) იმ ადგილებში სადაც შესაბამისი საინფორმაციო/გამაფრთხილებელი ნიშნები იქნება განთავსებული.

10. სასუნთქი გზების დაცვა

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია შეარჩიოს სწორი სასუნთქი გზების დამცავის საშუალებები, რომელიც დამოკიდებული იქნება დამტვერიანობისა და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციასა და მათი ზეგავლენის ხანგრძლივობაზე ინდივიდუალური თანამშრომლის

მიმართ. იმისათვის რომ სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები სწორად იქნას შერჩეული საჭიროა:

- გამოვლენილ იქნას რესპირატორული საფრთხე, მაგალითად: მტვერის, გაზის, გამონახოლქვი და ა.შ.
- გამოვლენილი საფრთხის კონცენტრაცია და მათი ზეგავლენა ადამიანებზე.

თანამშრომლები ვალდებულნი არიან გამოიყენონ სასუნთქი გზების დამცავი საშუალებები იმ ადგილებში რომლების განსაზღვრული იქნება როგორც საფრთხის ზონა და განთავსებული იქნება შესაბამისი ნიშნულები.

საფრთხის ზონისა და დაცვის საშუალებების სახეობის გამოყენებაზე გადაწყვეტილებას დებულობს ობიექტის H&Sინჟინერი შესაბამისი გაზომვითი სამუშაოების ჩატარების შემდგომ.

სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები სხვადასხვა სახეობების მიხედვით უნდა აკმაოფილებდეს EN149 სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომპანიაში გამოყენებული სასუნთქი გზების დამცავი საშუალებებია:

- ერთჯერადი რესპირატორი ფილტრის გარეშე;
- ერთჯერადი რესპირატორი ფილტრით;
- ნახევარ სახის რესპირატორი შესაცვლელი ფილტრებით.

10.1 რესპირატორის მოვლა და შეცვლა

10.1.1 ერთჯერადი რესპირატორი

- შეცვალეთ დაუყოვნებლივ თუ რესპირატორი დაბინძურდა;
- შეცვალეთ თუ სუნთქვა გაძნელებულია;
- შეცვალეთ თუ რესპირატორი დაზიანდა;
- შეცვალეთ თუ რეზინის ზონარი დაზიანდა.

10.1.2 ნახევარ სახის რესპირატორი შესაცვლელი ფილტრებით

- შეცვალეთ ფილტრი თუ სუნთქვა გაძნელებულია;
- შეცვალეთ ფილტრები თუ ისინი დასველდა (ქიმიური ნივთიერებების სითხეების ჩათვლით);
- შეცვალეთ რესპირატორი თუ მისი რომელიმე ნაწილი დაზიანდა

- დარწმუნდით, რომ რეზინის ზონარები უზრუნველყოფენ მის სრულ მორგებას სახეზე.

10.1.3 რესპირატორის გაწმენდა

- მოხსენით ფილტრი
- გარეცხეთ მასკა თბილი საპნიანი წყლით;
- გაავლეთ სუფთა წყალში
- გააშრეთ.

11. სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებები

სამუშაო, რომელიც სრულდება მიწის, იატაკის და ა.შ. დონიდან 2მ და მეტი, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ვარდნა და სხეულის დაზიანება, სავალდებულოა ვარდნის შემაკავებელი საშუალებების გამოყენება. კომპანიის ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი ვალდებულია გამოიყენოს სიმაღლიდან ვარდნის შემაკავებელი საშუალებები შემდეგი საქმიანობისას:

- სამუშაო რომელიც სრულდება მიწის, იატაკის და ა.შ. დონიდან 2მ-ზე და მეტ სიმაღლეზე, სადაც ვარდნისა და სხეულის დაზიანების ალბათობა არსებობს;
- შენობის, კონსტრუქციისა და ა.შ. დაუცავ ნაპირებთან;
- ღია ბუნკერებისა და სილოსებზე
- დახურულ სივრცეში

კომპანიის მიერ გამოყენებული სიმაღლიდან ვარდნის შემაკავებელი საშუალებებია:

- ამოსაცმელი ქამარი;
- დამჭერი ბაგირი;
- ვარდნის ავტომატურად შემაკავებელი მოწყობილობა
- ვარდნის ავტომატურად შემაკავებელი მოწყობილობა რკინის ბაგირით
- კარაბინები.

ამოსაცმელი ქამარი უნდა აკმაყოფილებდეს EN361 სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ყველა სახის სიმაღლეზე მუშაობისათვის გათვალისწინებული აღჭურვილობა მოწყობილობები დეტალურად უნდა იქნეს შემოწმებული გამოყენებამდე.

ვარდნის შემაკავებელი საშუალებების შეცვლა უნდა მოხდეს მწარმოებლის მიერ მითითებულ ვადებში ან დაზიანების შემთხვევაში.

12. მოთხოვნები ვიზიტორების მიმართ

ნებისმიერი პიროვნება, რომელიც იმყოფება სტუმრად კომპანიის საკუთრებაში მყოფ ობიექტზე ვალდებულია გაითვალისწინოს ამ პროცედურით გათვალისწინებული მოთხოვნები ინდ. დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით.

ყველა ვიზიტორი ვალდებულია გამოიყენოს შემდეგი ინდ.დაცვის საშუალებები (არა ლიმიტირებული);

- ჩაფხუტი (ლურჯი ფერის);
- ბათინკები;
- შუქამრეკლი ჟილეტი
- სათვალეები
- ხელთათმანები
- რესპირატორი
- სმენის დაცვის საშუალებები.

კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ვიზიტორები შესაბამისი ინდ. დაცვის საშუალებებით

13. ინდუსტრიული სტანდარტები

თავის დაცვა



მწვანე ჩაფხუტები მუშა პერსონალისათვის, ABS კორპუსით, 5 მოხმარების ვადა. HDPY კორპუსით 3წელი მოხმარების ვადა. EN 397 სტანდარტით
თეთრი ფერის ჩაფხუტი მენეჯმენტისათვის



სტანდარტული ხელთათმანები EN-388
2.1.4.2 სტანდარტი



ნეილონის შავი ხელთათმანები,
უზრუნველყოფს მყარ მოჭიდებას. EN-420
სტანდარტი



შედულებისა და ცხელი ჭრისათვის
განკუთვნილი ხელთათმანები EN-388
EN-407 სტანდარტი



PVS ქიმიური ნივთიერებებისაგან
დამცავი ხელთათმანები EN-388 4.1.2.1
სტანდარტი



დieleქტრული ხელთათმანები
სახიფათო მარკასთან მუშაობისას: EN
60903 სტანდარტი

ფეხის დაცვა



უსაფრთხოების ბათინკები თითებსა და
ქუსლებზე რკინის დამცავით EN ISO
20345 სტანდარტი

სასუნთქი გზების დაცვა



ნახევარ სახის რესპირატორი
შესაცვლელი ფილტრებით EN 149 2001
სტანდარტი



ერთჯერადი რესპირატორი ფილტრით
EN149 სტანდარტი



ერთჯერადი რესპირატორი ფილტრის
გარეშე EN149 სტანდარტი

მხედველობის დაცვა



მფარავი სათვალე, მსუბუქი, ძნელად
დასაკაწრი ზედაპირით EN166-1B-349
სტანდარტი



ძირითადი უსაფრთხო სათვალე,
ვენტილირებადი, გვერდითი ფართი,
ძნელად დასაკაწრი ზედაპირით EN166-

სტანდარტი



ათვალე, ადვილად
ვენტილირებადი, რბილი თვალების
მფარავებით



ღია ფერის მთლიანი სახის მასკა EN 166
სტანდარტი



სახისა და თვალებისა და თავის დაცვის
ნიღბები შედურებისას EN 175 EN166
სტანდარტი

სმენის დაცვა



ყურსაცავები, რბილი კომფორტული,
უზრუნველყოფს ხმაურის შემცირებას
30დბ. ფარგლებში EN352სტანდარტი.



High performing general purpose ე.წ. ear
muff უზრუნველყოფს ხმაურის
შემცირებას 15-20დბ-ს ფარგლებში
EN352სტანდარტი



ჩაფხუტზე დასამაგრებელი ear muff-ი
EN352



ამოსაცმელი ვარდნისაგან დამცავი
ქამარი – EN 361სტანდარტი



ვარდნის შემაკავებელი თოკი– EN 358
სტანდარტი



ვარდნის ავტომატურად შემაკავებელი
მოწყობილობა რკინის ზაგირით EN360
სტანდარტი



ვარდნის ავტომატურად შემაკავებელი
მექანიზმი კარაზინით, EN
360სტანდარტი

14. ინდ. დაცვის საშუალებების სავალდებულო ნიშნები




დანართი 4.7

HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

გენერალური დირექტორი

დამტკიცებულია:



მიხეილ ჰუმბული

HR & H&S დირექტორი



ეკატერინე ვაშაკიძე

თარიღი: 25.03.2015.

სტუმრებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

2015

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. განმარტებები.....	3
3. სტუმრის უსაფრთხოება სამუშაო ობიექტზე.....	4
4. კონტრაქტორების უსაფრთხოება.....	5
5. კონტრაქტორის წინასწარი შეფასება	7
6. ხელშეკრულების გაფორმება	8
7. კონტრაქტორის დაშვება სამუშაო ობიექტზე	8
8. კონტრაქტორზე საშვის გაცემის პროცედურა.....	10
9. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელი	11
10. კონტროლი კონტრაქტორის საქმიანობაზე.....	11
11. კონტრაქტორის საბოლოო შეფასება.....	11
12. კონტრაქტორის სწავლება.....	12
13. რისკების შეფასება	13
14. დანართი A (წინასწარი შეფასება სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო და ა.შ.საქმიანობისას) 14	
15. დანართი B (საამფეთქებლო სამუშაოები).....	17
16. დანართი C (ა/სატრანსპორტო კომპანიის წინასწარი შეფასება)	19
17. დანართი D (კონტრაქტორი მძღოლის პირველადი შეფასება).....	21
18. დანართი E (კონტრაქტორის საბოლოო შეფასება).....	23
19. დანართი F (საშვის ავტორიზაციის ფორმა).....	25
20. დანართი G (კონტრაქტორის პერიოდული შემოწმების ფორმა)	26

1. შესავალი

წინამდებარე პროცედურა მიზნად ისახავს ჰაიდელბერგემენტის (შემდგომში კომპანია) საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე სტუმრების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიმართ უსაფრთხოების ნორმებისა და წესების განსაზღვრას, რათა დაცულნი იყვნენ ისინი კომპანიის სამუშაო ობიექტზე ყოფნისას ინციდენტებისა და უბედური შემთხვევებისაგან.

პროცედურის მიზანია:

1. მოხდეს სტუმრების ინფორმირება ობიექტის უსაფრთხოების წესებისა და რისკ ფაქტორების შესახებ, რათა დაცული იყოს მათი ჯანმრთელობა ობიექტზე სტუმრობის პერიოდში;
2. მოხდეს კონტრაქტორების საქმიანობაზე კონტროლი პროცედურით გათვალისწინებული პირობებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ინციდენტები და უბედური შემთხვევები კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის მიერ კომპანიის ტერიტორიაზე კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პერიოდში.

წინამდებარე პროცედურის მოქმედების სფეროა კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა სამუშაო ობიექტი.

2. განმარტებები

სტუმარი: პიროვნება, რომელის უშუალო სამუშაო ადგილი არ მდებარეობს კონკრეტულ ობიექტზე, არ წარმოადგენს კონტრაქტორს ან ქვეკონტრაქტორს, მაგრამ გარკვეული მიზნით შემოდის კომპანიის ტერიტორიაზე;

კონტრაქტორი: ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს გარკვეული სახის სამუშაოებს (შენობა ნაგებობების ნგრევა, შენება, რეკონსტრუქცია, და ა.შ.) კომპანიის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე;

ქვეკონტრაქტორი: კონტრაქტორთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს კომპანიის სასარგებლოდ, კონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში

H&S: ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება;

PPE: ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

3. სტუმრის უსაფრთხოება სამუშაო ობიექტზე

კომპანიის სამუშაო ობიექტებზე დაუშვებელია არაავტორიზებული პირების შეშვება. შესაბამისი საინფორმაციო ნიშნები განთავსებული უნდა იყოს სამუშაო ობიექტის ყველა შესასვლელში. სტუმრების ობიექტზე დაშვების პროცესი კონტროლირებულია კომპანიის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურების მიერ.

პირი ან პირთა წრე, რომელიც ტერიტორიაზე შედის სტუმრის სტატუსით, სავალდებულოა ობიექტზე შესვლამდე ჩაუტარდეს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი. უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე პასუხისმგებელი არიან სამუშაო ობიექტის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ინჟინერი, მისი არყოფნის შემთხვევაში კი ის ხელმძღვანელი პირი (ქარხნის მენეჯერი, საამქროს უფროსები) რომელსაც პასუხისმგებლობის სფეროშიდაც ხდება სტუმრის ვიზიტი ობიექტზე.

სტუმრის ინსტრუქტაჟი სამუშაო ობიექტზე უნდა ჩატარდეს ან პრეზენტაციის ან საინფორმაციო ბროშურების გაცნობისა და შესაბამისი გასაუბრების საფუძველზე. ინსტრუქტაჟის ჩატარება დაფიქსირებული უნდა ინსტრუქტორისა და სტუმრის ხელმოწერით შესაბამის ყურნალში.

სამუშაო ობიექტის შესასვლელებში განთავსებული უნდა იყოს ობიექტის ძირითადი უსაფრთხოების მოთხოვნების ამსახველი საინფორმაციო ნიშნები და ტექსტური ინფორმაცია. ინფორმაციის განახლება უნდა მოხდეს სამუშაო ობიექტზე არსებული უსაფრთხოების ნორმებისა და მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად.

სტუმრის ინსტრუქტაჟი უნდა მოიცავდეს არა ნაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ობიექტის ძირითადი უსაფრთხოების წესები, მოთხოვნები და რეგულაციები;
- ინფორმაცია ობიექტის საგზაო უსაფრთხოების შესახებ;
- ინფორმაცია სავალდებულო PPE-ს შესახებ;
- ინფორმაცია ავარიულ სიტუაციებში ქმედებების შესახებ;
- ინფორმაცია ავარიულ სიტუაციებში საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.

დაუშვებელია სტუმარი მარტო გადაადგილდებოდეს სამუშაო ტერიტორიაზე. სტუმრის უნდა ახლდეს ის პირი ვისთანაც იმყოფება იგი.

P.S. სამუშაო ობიექტზე პასუხისმგებელი პირები (ქარხნის მენეჯერი მენეჯერი, საამქროს უფროსები, სუპერვაიზორები) ვალდებული არიან გააფრთხილოს შრომის უსაფრთხოების სამსახური ობიექტზე დაგეგმილი სტუმრის ვიზიტის შესახებ.

სტუმრების კატეგორიას განეკუთვნებიან:

- კომპანიის თანამშრომელი, რომლის მუდმივ სამუშაო ადგილს არ წარმოადგენს აღნიშნული სამუშაო ობიექტი;
- კლიენტები, რომლებიც შემოდიან ობიექტზე პროდუქციის წასაღებად, მაგრამ მანამდე კომპანიას არ ჰქონია მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობა.
- მომწოდებლები, რომლებიც შემოდიან სამუშაო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის პროდუქციის მოწოდების მიზნით, მაგრამ მანამდე კომპანიას არ ქონია მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობა.
- პირები, რომლებიც შემოდიან სამუშაო ობიექტზე დასათვალიერებლად, სამუშაო პროცესის სანახავად და ა.შ.
- ყველა სხვა მესამე მხარე, რომელიც შემოდის სამუშაო ობიექტზე კომპანიის მენეჯმენტის თანხმობის საფუძველზე.

4. კონტრაქტორების უსაფრთხოება

სამუშაო ობიექტზე კონტრაქტორის უსაფრთხოებაზე მონიტორინგს ახორციელებს H&S და დაცვის სამსახური სამუშაო ობიექტის ხელმძღვანელობასთან ერთად.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთობა კონტრაქტორის მიმართ შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:

- კონტრაქტორის წინასწარი შეფასება;
- კონტრაქტორის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი სამუშაო ობიექტზე
- კონტრაქტორის მონიტორინგი კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პერიოდში;
- კონტრაქტორის საბოლოო შეფასება;
- კონტრაქტორის ყოველწლიური სწავლება და აკრედიტაცია;

კონტრაქტორი ვალდებულია სამუშაოს შესრულებისას დაიცვას კანონმდებლობითა და კომპანიის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმები. ძირითადი და საკვანძო მოთხოვნები კონტრაქტორის მიმართ:

- კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების შესავალი ინსტრუქტაჟი სამუშაო ობიექტზე
- კონტრაქტორი ახორციელებს თანამშრომლების ყოველდღიურ ინსტრუქტაჟს და ახდენს ყოველივე ამის რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალში;
- კონტრაქტორის მიერ გამოყენებული ელექტრო და მექანიკური ხელსაწყოები არის გამართული ხდება მათი ყოველდღიური შემოწმება და რეგისტრაცია;
- ა/სატარანსპორტო მანქანების მძღოლებსა და მძიმე ტექნიკის ოპერატორებს გააჩნიათ შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და ლიცენზია;
- თანამშრომლებს გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება სამუშაოს შესასრულებლად;
- ინდ.დაცვის საშუალებების გამოყენება კომპანიის შიდა მოთხოვნების შესაბამისად;
- ავტო და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა;
- ობიექტზე არსებული უსაფრთხოების წესების დაცვა მათ შორის საგზაო უსაფრთხოების;
- სიმაღლეზე მუშაობის შიდა ნორმების დაცვა;
- ენერგო იზოლაციის შიდა ნორმების დაცვა;
- ელექტრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- შედუღებისა და ცხელი ჭრის უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- ამწე სამუშაოების უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- დახურულ სივრცეში მუშაობის უსაფრთხოების შიდა ნორმების დაცვა;
- სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვა;
- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების ანგარიში კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახურთან;
- კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმირება სამუშაო ადგილზე საფრთხის შემცველი გარემოებების შესახებ;
- სისუფთავის დაცვა სამუშაო ადგილზე;
- სამუშაოს დასრულების შემდგომ ტერიტორიის მოწესრიგება.
- კომპანიისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება თუ ის გამოწვეული იქნება კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის ბრალეულობით.

ასევე უსაფრთხოების სხვა დანარჩენი წესებისა და რეგულაციების დაცვა რაც დაკავშირებული იქნება კონკრეტული სამუშაოს შესრულების სპეციფიკასთან.

5. კონტრაქტორის წინასწარი შეფასება

კონტრაქტორის წინასწარი შეფასება ხდება ხელშეკრულების გაფორმებამდე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ. დაუშვებელია ხელშეკრულების გაფორმება თუ არ არსებობს H&S სამსახურის მიერ შეფასება და შესაბამისი ავტორიზაცია.

კომპანიის შესყიდვების დეპარტამენტი ვალდებულია ტენდერის, სარემონტო სამონტაჟო ან ნებისმიერი სახის აქტივობის დაგეგმვამდე (ორგანიზაციის მოძიება, კონტრაქტის მომზადება და ა.შ) რაც ითვალისწინებს კონტრაქტორის შემოსვლას და საქმიანობას კომპანიის სამუშაო ობიექტზე, საქმის კურსში ჩააყენოს H&S სამსახური და მიაწოდოს მას ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოსა და მუშა პერსონალის (რაოდენობა, სახელი, გვარი პოზიცია) შესახებ.

წინასწარი შეფასება ხდება შესაბამისი კითხვარის საფუძველზე, რომელიც ეგზავნება კონტრაქტორს შესყიდვების დეპარტამენტის მიერ, კონტრაქტის გაფორმებამდე.

შეფასებას ახორციელებს HR/H&S დირექტორი ან კოორდინატორი;

უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, თუ შემფასებელი თვლის, რომ კონტრაქტორი ვერ აკმაყოფილებს კომპანიის შიდა მოთხოვნებს ან მისი შემდგომი აქტივობა ობიექტზე წარმოადგენს საფრთხეს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, HR/H&S დირექტორი ან კოორდინატორი:

1. გასცემს რეკომენდაციებს დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რაც უნდა გაატაროს კონტრაქტორმა. მას შემდეგ რაც კონტრაქტორი გაითვალისწინებს და შეასრულებს ყველა რეკომენდაციას და წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ მასალებს მოხდება მისი დამატებითი შეფასება;
2. გასცემს დასაბუთებულ რეკომენდაციას სამუშაო/მომსახურების განსახორციელებლად ობიექტზე დაშვებაზე უარის შესახებ.

კონტრაქტორის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე კითხვარის ფორმები არის სხვა და სხვა სახის. H&S და შესყიდვების სამსახური ხელმძღვანელობს წინასწარ შედგენილი შეფასებების ფორმების მიხედვით.

- **დანართი A**-კონტრაქტორის წინასწარი შეფასების ფორმა სარემონტო, სამშენებლო, სამონტაჟო და ა.შ. სამუშაოებისათვის, აღნიშნული ფორმა ასევე გამოიყენება ახალი კონტრაქტორი ორგანიზაციის პირველადი შეფასებისათვის.

- დანართი B-კონტრაქტორის შეფასება აფეთებითი სამუშაოებისათვის,
- დანართი C-ა/სატრანსპორტო კომპანიის წინასწარი შეფასება,
- დანართი D-კონტრაქტორი მძღოლის წინასწარი შეფასება.

შენიშვნა: შეფასების ფორმები დანართის სახით არ წარმოადგენს უცვლელ სტანდარტს და ის შეიძლება შეიცვალოს კონტრაქტორის საქმიანობიდან ან სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური უფლებამოსლია დამოუკიდებლად შეიმუშაოს ან შეცვლოს (დაამატოს ან ამოიღოს ცალკეული კითხვები) ფორმა სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე.

6. ხელშეკრულების გაფორმება

კომპანიასა და კონტრაქტორს შორის დასადები ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს დათქმას კონტრაქტორის ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებაზე. აღნიშნული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა ხდება H&S დირექტორის ან კოორდინატორის მიერ სამუშაოს ან მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე. კონტრაქტში ასევე ასახული უნდა იყოს კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლები და ასევე სანქციები უსაფრთხოების ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით.


სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე (იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის საქმიანობა არის მაღალი რისკის შემცველი, რომლის შეფასებაც ხდება კომპანიის H&S სამსახურისა და კონტრაქტორი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის მიერ) შესაძლოა შემუშავებული იქნას უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტის სახით), რომელიც უნდა იყოს ძირითადი კონტრაქტის დანართი. დამოუკიდებელი დოკუმენტის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის HR/H&S დირექტორი ან კოორდინატორი სამუშაოსათვის დამახასიათებელი რისკის დონის მიხედვით

7. კონტრაქტორის დაშვება სამუშაო ობიექტზე

კომპანიის სამუშაო ობიექტზე დაიშვება მხოლოდ შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ავტორიზებული ორგანიზაციები და პირები რომლებზედაც გაცემული იქნება შესაბამისი დაშვების ბარათები

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს შესრულებისას ხდება რომელიმე თანამშრომლის ჩანაცვლება ან დამატება, სავალდებულოა ახლად აყვანილმა პირმა გაიაროს ყველა ის საფეხური რაც გათვალისწინებულია წინამდებარე პროცედურის 7 პუნქტის მიხედვით.

კონტრაქტორი პირების ავტორიზაციისა და სამუშაო ობიექტზე დაშვების ყველა საფეხური ასახულია წინამდებარე ბლოკ სქემაში



კონტრაქტორის დაშვება და საშვის გაცემა ხდება კონტრაქტორის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კერძოდ:

- მუდმივ კონტრაქტორებზე პასუხისმგებელი პირები: გაიცემა ერთ წლიანი საშვი შესაბამისი სწავლებისა და ტესტირების გავლის შემთხვევაში;
- იმ კონტრაქტორებზე პასუხისმგებელი პირები რომლებიც არ არიან მუდმივი კონტრაქტორები მაგრამ ხშირად ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს კომპანიის სამუშაო ობიექტებზე, მათზე გაიცემა ერთ წლიანი საშვი შესაბამისი სწავლებისა და ტესტირების გავლის შემთხვევაში;
- მუდმივი კონტრაქტორის მუშა პერსონალი, რომელიც მუდმივად იმყოფება კომპანიის სამუშაო ობიექტზე კონტრაქტის ფარგლებში: გაიცემა ერთწლიანი საშვი სწავლებისა და ტესტირების გავლის შემთხვევაში;
- დროებითი კონტრაქტორის მუშა პერსონალი: იმ შემთხვევაში თუ შესასრულებელი სამუშაო არის ერთ დღეზე ნაკლები მოცულობის, ესეთ შემთხვევაში საშვი გაიცემა მხოლოდ ინსტრუქტაჟის შემთხვევაში;
- იმ შემთხვევაში თუ სამუშაო არის ერთ დღეზე მეტი მოცულობის ასეთ შემთხვევაში საშვი გაიცემა წინასწარ შედგენილი მოკლე სასწავლო კურსისა და ინსტრუქციის გავლის შემთხვევაში.

8. კონტრაქტორზე საშვის გაცემის პროცედურა

საშვის გაცემა მოხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის მიერ დაკმაყოფილებული იქნება მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

შრომის უსაფრთხოების სწავლების, ტესტირების ან ინსტრუქტაჟის გავლის შემთხვევაში შრომის უსაფრთხოების ინჟინერის მიერ გაიცემა საშვზე ავტორიზაციის ფორმა (**დანართი E**), სადაც მითითებულია კონტრაქტორის სახელი გვარი, ორგანიზაციის დასახელება, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების ინჟინერის ხელმოწერა, დასტურად იმისა რომ კონტრაქტორმა გაიარა შესაბამისი სწავლება, ტესტირება ან ინსტრუქტაჟი. აღნიშნული საბუთი კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს დაცვის სამსახურს რომელიც გასცემს შესაბამისი კონტრაქტორის საშვს.

9. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელი

კონტრაქტორი ვალდებულია კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს პერიოდში დანიშნოს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შრომის უსაფრთხოების ნორმების, წესებისა და კომპანიის მოთხოვნების დაცვაზე და ასევე იქნება საკონტაქტო პირი კომპანიის უსაფრთხოების სამსახურისათვის.

იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორს მიერ არ მოხდება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, არ მოხდება კონტრაქტორის დაშვება ობიექტზე.

სავალდებულოა აღნიშნულმა პირმა გაიაროს შესაბამისი სწავლება და ტესტირება სამუშაო ობიექტზე.

10. კონტროლი კონტრაქტორის საქმიანობაზე

პირდაპირ კონტროლს კონტრაქტორის საქმიანობაზე ახორციელებს კომპანიის H&S სამსახური, კერძოდ უსაფრთხოების ინჟინრები და კოორდინატორი.

კონტრაქტორის გეგმიური/ოფიციალური შემოწმება ობიექტზე ხდება მინიმუმ კვირაში ორჯერ. შემოწმების შედეგად გამოიყენება შესაბამისი ფორმა, რომელიც ივსება უსაფრთხოების ინჟინერის ან კოორდინატორის მიერ (იხილეთ დანართი-F).

გარდა გეგმიური შემოწმებისა კონტრაქტორის საქმიანობის ინსპექტირება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად.

იმ შემთხვევაში თუ შემოწმების შედეგად დაფიქსირდა დარღვევა, უსაფრთხოების ინჟინერი ან კოორდინატორი ვალდებულია შეაჩეროს სამუშაო პროცესი მანამ, სანამ დარღვევა არ იქნება გამოსწორებული.

11. კონტრაქტორის საბოლოო შეფასება

კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შემდგომ სავალდებულოა კონტრაქტორის საბოლოო შეფასება. საბოლოო შეფასებას ახორციელებს ობიექტის უსაფრთხოების ინჟინერი ან შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი.

საბოლოო შეფასება ხორციელდება შესაბამისი ფორმის საფუძველზე (იხილეთ დანართი G)

შეფასება ხდება 10 პარამეტრის საფუძველზე. შეფასებისას გამოიყენება ქულები 1 დან 5.მდე. 1ქულა-ძალიან ცუდი 5-ი ქულა ძალიან კარგი. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი საბოლოო შეფასებისას დააგროვებს 25ქულას ან ნაკლებს ეს განხილული იქნება როგორც უარყოფითი შედეგი და უსაფრთხოების სამსახური აღარ მისცემს ავტორიზაციას შემდგომში არსებულ კონტრაქტორს. 26 დან 35 ქ-მდე შედეგი არის საშუალო, ასეთ შემთხვევაში კონტრაქტორს მიეწოდება რეკომენდაციები შემდგომში მდგომარეობის გამოსწორების კუთხით ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. 36ქულაზე ზემოთ შედეგი განიხილება დადებით შედეგად.

12. კონტრაქტორის სწავლება

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში უსაფრთხოების კუთხით სწავლებების არარსებობასთან დაკავშირებით, კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს კონტრაქტორების სწავლებას შრომის უსაფრთხოების კუთხით სამუშაო ობიექტზე.

სწავლება ტარდება ორი მიმართულებით:

1. სწავლება/ტესტირება კონტრაქტორი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირებისათვის
2. სწავლება/ტესტირება კონტრაქტორი ორგანიზაციის მუდმივი და დროებითი თანამშრომლებისათვის.

იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის მიერ მოხდება დროებითი თანამშრომლის ხელმეორედ აყვანა სამუშაოზე, რომელსაც გავლილი აქვს შიდა სწავლება და ტესტირება ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში სწავლებისა და ტესტირების ჩატარება აუცილებელი არ არის.

P.S. კონტრაქტორის მიერ გავლილი სწავლება და ტესტირება არ ანაცვლებს შესავალ და ყოველდღიურ ინსტრუქტაჟს სამუშაო ადგილზე.

სწავლების მიზანია, რომ კონტრაქტორი დეტალურად გაეცნოს კომპანიის შიდა მოთხოვნებს, უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს.

სასწავლო პროგრამას ადგენს უსაფრთხოების კოორდინატორი და მას ამტკიცებს HR/H&S დირექტორი და გენერალური დირექტორი.

სასწავლო პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

- ობიექტის უსაფრთხოების წესები;

- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების პრევენცია;
- სახანძრო უსაფრთხოება;
- რისკების შეფასება;
- ავტო ტრანსპორტის უსაფრთხოება;
- სიმაღლეზე მუშაობა;
- ენერგო იზოლაცია;
- მოძრავი ნაწილების უსაფრთხოება;
- შედუღება და ცხელი ჭრა
- ამწე სამუშაოები
- დახურულ სივრცეში შესვლა

ტესტებს ადგენს უსაფრთხოების კოორდინატორი. ტესტი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი უპასუხებს კითხვების საერთო რაოდენობის 80%.

უსაფრთხოების კოორდინატორი ვალდებულია შეიმუშაოს მონაცემთა ბაზა კონტრაქტორი თანამშრომლების თაობაზე, (სახელი გვარი, ტესტირების შედეგი, ტესტირების ვადა შემდეგი ტესტირების ვადა) რომლებმაც წარმატებით გადალახეს ტესტირება.

13. რისკების შეფასება

კონტრაქტორი კომპანია ვალდებულია განახორციელოს სამუშაოს დაწყებამდე რისკების შეფასება და ანალიზი მის მიერ კომპანიის ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით (სამუშაოს დაწყებამდე) რისკების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

1. სამუშაოსათან დაკავშირებულ საფრთხეების განსაზღვრა;
2. რისკის დონის დადგენა
3. რისკის კონტროლის საშუალებების დადგენა

კონტრაქტორი ვალდებულია ასევე შეადგინოს საგანგებო სიტუაციის გეგმა მის მიერ განხორციელებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. საგანგებო სიტუაციის გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს H&S ინჟინერთან ან კოორდინატორთან.

P.S. მას შემდეგ რაც პასუხისმგებელი პირები გაივლიან სწავლებას, შემდგომი სამუშაოების ავტორიზაციისათვის სავალდებულო იქნება პროექტის რისკების შეფასების ჩატარება.

14. დანართი A (წინასწარი შეფასება სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო და ა.შ.საქმიანობისას)

კონტრაქტორი კომპანია/ორგანიზაციის დასახელება:	
სამუშაოს სავარაუდო დაწყების თარიღი:	
სამუშაოს ობიექტის ადგილმდებარეობა	
კონტრაქტორი კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა სამუშაო პერიოდში	
მოგვაწოდეთ ინფორმაცია სამუშაო ობიექტზე დასაშვები მუშა პერსონალის შესახებ (სახელი/გვარი)	
ვინ არის პასუხისმგებელი კომპანიაში შრომის უსაფრთხოებაზე? გთხოვთ წარმოადგინოთ პიროვნების სახელი/გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია ელ. ფოსტის ჩათვლით	
ვინ იქნება პასუხისმგებელი შრომის უსაფრთხოებაზე ობიექტზე? გთხოვთ წარმოადგინოთ პიროვნების სახელი/გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია ელ. ფოსტის ჩათვლით	
გაქვთ თუ არა სამუშაოს რისკების შეფასება ჩატარებული. არსებობის შემთხვევაში გთხოვთ წარმოადგინოთ ასლი. კი <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>	
აწარმოებთ თუ არა ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების აღრიცხვიანობასა და ანალიზს.	
მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენს ორგანიზაციაში ბოლო 5 წლის მანძილზე მომხდარი ინციდენტების ან უბედური	

შემთხვევების შესახებ.		
მოგვაწოდეთ ინფორმაცია ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზების შესახებ.		
მოგვაწოდეთ სია იმ ხელსაწყოების იარაღებისა და მოწყობილობების, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტის მიმდინარეობისას.		
გამოყენებული იქნება თუ არა ა/სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა. არსებობის შემთხვევაში მოგვაწოდეთ ჩამონათვალი.		
მონიშნეთ აქტივობა, რომელიც განხორციელდება თქვენი კომპანიის მიერ სამუშაოს პერიოდში		
ცხელი ჭრა		ნგრევა
ცივი ჭრა		სიმაღლეზე მუშაობა
ამწე სამუშაოები		შშენებლობა
ხელით შრომა		შედულება
ძიმე ტექნიკა		მიწის თხრა
მაღალი ან დაბალი ტემპერატურის პირობებში მუშაობა		დახუულ სივრცეში მუშაობა
აფეთქებითი სამუშაოები		სხვა: დასუფთავება
გაქვთ თუ არა შესაბამისი სამუშაოების უსაფრთხოედ შესრულების ინსტრუქციები მონიშნულ სამუშაოებზე? არსებობის შემთხვევაში გთხოვთ წარმოადგინოთ ასლები		
აქვთ თუ არა თანამშრომლებს გავლილი შესაბამისი სწავლება/ტრენინგი მონიშნული სამუშაოების შესახებ. არსებობის შემთხვევაში გთხოვთ წარმოადგინოთ სერთიფიკატები		

ახორციელებთ თუ არა თანამშრომელთა ყოველდღიურ ინსტრუქტაჟს ობიექტზე და ხდება თუ არა ყოველივე ამის რეგისტრაცია?	
ახორციელებთ თუ არა ელექტრო და მექანიკური ხელსაწყოების ყოველდღიურ დათვალიერებას ობიექტზე და ხდება თუ არა ყოველივე ამის რეგისტრაცია?	
ახორციელებთ თუ არა ავტოტრანსპორტისა და მძიმე ტექნიკის ყოველდღიურ შემოწმებას და ხდება თუ არა ყოველივე ამის რეგისტრაცია.	
წარმოადგინეთ სია იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა, რომლებიც გამოყენებული იქნება თქვენი თანამშრომლების მიერ სამუშაო პერიოდში.	
ხდება თუ არა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შემოწმება სამუშაოს დაწყებამდე?	

შრომის უსაფრთხოების სამსახურის ავტორიზაცია

თანხმობა

უარყოფა

შეფასებულია	სახელი გვარი	თანამდებობა	თარიღი	ხელმოწერა

15. დანართი B (სამფეთქებლო სამუშაოები)

კონტრაქტორი კომპანიის დასახელება	
სამუშაოს ხანგრძლივობა კონტრაქტის ფარგლებში	
<u>სამუშაოს დეტალური აღწერა</u>	
ვინ არის კომპანიაში პასუხისმგებელი ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებაზე: <i>გთხოვთ წარმოადგინოთ პროცენტების სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია ელექტრონული მისამართის ჩათვლით (არსებობის შემთხვევაში)</i>	
ვინ იქნება ობიექტზე პასუხისმგებელი პირი შრომის უსაფრთხოების საკითხებში. <i>გთხოვთ წარმოადგინოთ პროცენტების სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია ელექტრონული მისამართის ჩათვლით (არსებობის შემთხვევაში)</i>	
რაოდენობა თანამშრომლებისა რომლებიც დასაქმებულნი იქნებიან კონტრაქტის ფარგლებში.	
გთხოვთ წარმოადგინოთ თანამშრომლების სია (სახელი გვარი პოზიცია)	
გავლილი აქვთ თუ არა შიდა ტრენინგი თანამშრომლებს. გაცემულია თუ არა დაშვების მოწმობები? <i>(გთხოვთ მოგვაცოდეთ დეტალური ინფორმაცია)</i>	
ვინ არის სამფეთქებლო სამუშაოების ხელმძღვანელი პირი. <i>გთხოვთ წარმოადგინოთ პროცენტების სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია ელექტრონული მისამართის ჩათვლით (არსებობის შემთხვევაში)</i>	
სამფეთქებლო სამუშაოების ხელმძღვანელ პირს გააჩნია თუ არა შესაბამისი ტექნიკური განათლება და გავლილი აქვს თუ არა შესაბამისი სწავლება. <i>გთხოვთ წარმოადგინოთ</i>	

დამადასტურებელი დოკუმენტაცია	
საამფეთქებლო სამუშაოების შემსრულებლებს გავლილი აქვთ თუ არა სწავლება და გააჩნიათ თუ არა შესაბამისი სერტიფიკატები. გთხოვთ წარმოადგინოთ დამადასტურებელი დოკუმენტაცია	
შედგენილი არის თუ არა საამფეთქებლო სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია. არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ ასლი	
გთხოვთ წარმოადგინოთ ფეთქებადი მასალების ტრანსპორტირების სტანდარტული ინსტრუქცია	
არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ სამუშაო ადგილზე ფეთქებადი მასალების შენახვის სტანდარტული ინსტრუქცია	
გთხოვთ წარმოადგინოთ ფეთქებადი მასალების მიღება გაცემისა და დაბრუნების სარეგისტრაციო ჟურნალის ნიმუშში	
გთხოვთ წარმოადგინოთ განსახორციელებელი აფეთქების ხერხები და შესაბამისი უსაფრთხოების ინსტრუქციები.	
გთხოვთ წარმოადგინოთ სია მექანიკური და ელექტრო ხელსაწყოებისა რომლებიც გამოყენებული იქნება თქვენს მიერ სამუშაო პერიოდში	
გთხოვთ წარმოადგინოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ჩამონათვალი რომელიც გამოყენებული იქნება სამუშაოს შესრულების პერიოდში.	

შრომის უსაფრთხოების სამსახურის ავტორიზაცია

თანხმობა

უარყოფა

შეფასებულია	სახელი გვარი	თანამდებობა	თარიღი	ხელმოწერა

16. დანართი C (ა/სატრანსპორტო კომპანიის წინასწარი შეფასება)

კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება:	
სამუშაოს (კონტრაქტის) ხანგრძლივობა	
სამუშაოს აღწერა:	
გთხოვთ წარმოადგინოთ სია მძღოლებისა რომლებიც დასაქმებულნი იქნებიან კონტრაქტის პირობებში	
გთხოვთ წარმოადგინოთ მძღოლების მართვის მოწმობის ნომრები	
გთხოვთ წარმოადგინოთ ა/სატრანსპორტო საშუალებების სია	
გთხოვთ წარმოადგინოთ ა/სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური პასპორტის ნომრები	
აწარმოებთ თუ არა ორგანიზაციაში ა/სატრანსპორტო შემთხვევების, ინციდენტებისა ან უბედური შემთხვევების აღრიცხვას	
მოგვაწოდეთ ბოლო 5 წლის მანძილზე ორგანიზაციაში მომხდარი ინციდენტების ან უბედური შემთხვევების (მათ შორის ა/სატრანსპორტო შემთხვევების) შესახებ ინფორმაცია;	
მოგვაწოდეთ ინფორმაცია ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების (მათ შორის ა/სატრანსპორტო შემთხვევების) გამომწვევი	

<p>მიზეზების შესახებ.</p> <p>გაქვთ თუ არა ორგანიზაციაში მართვის უსაფრთხოების სტანდარტები და უსაფრთხოების ინსტრუქციები არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ ასლები.</p>	
<p>აღჭურვილნი არიან თუ არა ა/სატრანსპორტო საშუალებები GPS-ით ან შავი ყუთით. არსებობის შემთხვევაში ხდება თუ არა მონაცემთა კონტროლი და ანალიზი.</p>	
<p>აღჭურვილნი არიან თუ არა ა/სატრანსპორტო საშუალებები უსაფრთხოების ელემენტარული აღჭურვილობით: ცეცხლმაქრი, პირველადი სამდევინო დახმარების ყუთი, დაგორების საწინააღმდეგო ბლოკირება?</p>	
<p>ხდება თუ არა ა/სატრანსპორტო საშუალებების წინასამგზავრო დათვალიერება და ყოველივე ამის გაფორმება</p>	
<p>აწარმოებთ თუ არა ა/სატრანსპორტო საშუალებების გამართულობაზე კონტროლს ორგანიზაციაში არსებული რაიმე სახის პროგრამის საფუძველზე? გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია</p>	
<p>გავლილი აქვთ თუ არა ა/სატრანსპორტო საშუალებებს ტექნიკური დათვალიერება? გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია</p>	

შრომის უსაფრთხოების სამსახურის ავტორიზაცია

კი

არა

შეფასებულია:

სახელი/გვარი	თანამდებობა	თარიღი	ხელმოწერა

17. დანართი D (კონტრაქტორი მმლოლის პირველადი შეფასება)

კონტრაქტორი მმლოლის შეფასება	
სახელი/გვარი	
დაბადების თარიღი	
მართვის მოწმობის გაცემის თარიღი	
მართვის მოწმობის კატეგორია	
მართვის მოწმობის ნომერი	
სამუშაოს აღწერა	
სამუშაოს (კონტრაქტის) ხანგრძლივობა	
შემთხვევით თუ არა ავტო ავარია? არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ ასაგზაო შემთხვევების რაოდენობა	
რამდენი ასაგზაო შემთხვევა იყო გამოწვეული თქვენი მიზეზით?	
გამოიწვია თუ არა ზემოთ აღნიშნულმა რომელიმე ასაგზაო შემთხვევამ, რომელიც გამოწვეული იყო თქვენი მიზეზით მსხვერპლი?	
დაჯარიმებულხართ თუ არა ბოლო 5 წლის განმავლობაში სიჩქარის გადაჭარბებისათვის? არსებობის შემთხვევაში მოგვაწოდეთ ინფორმაცია	

დაჯარიმებულხართ თუ არა (ან თუ მომხდარა მართვის მოწმობის ჩამორთმევა) ბოლო 5 წლის განმავლობაში ნასვამობაზე? <i>არსებობის შემთხვევაში მოგვაწოდეთ დეტალური ინფორმაცია</i>	
ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მძღოლი წარმოდგენილია საკუთარი ა/მანქანით	
ა/მანქანი მარკა	
ა/მანქანის ნომერი	
ა/მანქანის ტექ.პასპორტის ნომერი	
აღჭურვილია თუ არა ა/მანქანა GPS-ით ან შავი ყუთით?	
აწარმოებთ თუ არა ა/მანქანის ყოველდღიურ დათვალიერებას.	
აღჭურვილია თუ არა ა/მანქანა ცეცხლმაქრითა და პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთით.	
გავლილი აქვს თუ არა ა/მანქანას ტექნიკური დათვალიერება? <i>გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია</i>	

შრომის უსაფრთხოების სამსახურის ავტორიზაცია

კი

არა

შეფასებულია:

სახელი/გვარი	თანამდებობა	თარიღი	ხელმოწერა

18. დანართი E (კონტრაქტორის საბოლოო შეფასება)

სამუშაო ობიექტი:

კონტრაქტორი კომპანიის დასახელება:

მუშა პერსონალის რაოდენობა

სამუშაოს დაწყება:

სამუშაოს დამთავრება:

კონტრაქტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოკლე აღწერა

კონტრაქტორის საბოლოო შეფასება

	დასახელება	კი	არა	N/A	ქულა
1	შესრულებული სამუშაოს აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს				
2	პერსონალის კვალიფიკაციის დონე და გამოცდილება				
3	სამუშაო პერიოდში დაფიქსირებული დარღვევები				
4	გაცემულ რეკომენდაციებზე დროული რეაგირება				
5	ჯარიმები და დისციპლინარული სანქციები				
6	თანამშრომელთა ყოველდღიური ინსტრუქტაჟის წარმოება				
7	ელექტრო ხელსაწყოების ყოველდღიური დათვალიერების წარმოება				
8	მექანიკური ხელსაწყოების ყოველდღიური დათვალიერების წარმოება				
9	ინდ. დაცვის საშუალებების გამოყენება				
10	სამუშაო პერიოდში დაფიქსირებული ინციდენტი ან უბედური შემთხვევა				
11	სხვა: კომენტარი				

საბოლოო ქულა

შეფასების კრიტერიუმები 1დან 5მდე

1ძალიან ცუდი ცუდი- 5 ძალიან კარგი

0-25- უარყოფითი შეფასება

26-35- საშუალო შეფასება

36<- დადებითი შეფასება

საბოლოო შედეგი



უარყოფითი  საშუალო  დადებითი 

დამატებითი რეკომენდაციები კონტრაქტორისათვის შემდგომი საქმიანი ურთიერთობისათვის:

შეფასებულია


სახელი/გვარი

თანამდებობა

თარიღი

ხელმოწერა

19. დანართი F (საშვის ავტორიზაციის ფორმა)

კონტრაქტორის დაშვების ავტორიზაცია Safety Pass Authorization For Contractor		HEIDELBERGCEMENT GEORGIA		
სახელი/გვარი Name/Surname	_____			
ორგანიზაცია Company	_____			
უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი Safety Induction	კი Yes	<input type="checkbox"/>	არა No	<input type="checkbox"/>
საშვი გაცემულია Safety Pass is Issued By	_____			
გაცემის თარიღი/Issue Date	_____			
ძალაშია/Valid till	_____			
				

20. დანართი G (კონტრაქტორის პერიოდული შემოწმების ფორმა)

კონტრაქტორი კომპანია:

ობიექტი:

საქმიანობა:

კონტრაქტორი კომპანიის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი:

თანამშრომელთა რაოდენობა

შემოწმებულია (სახელი/გვარი თანამდებობა):

თარიღი:

№	დასახელება	კი	არა	N/A	კომენტარი
1	უსაფრთხოების ჩაფხუტის მოხმარება				
2	უსაფრთხოების ბათინკების მოხმარება				
3	თვალის დაცვის საშუალებების გამოყენება				
4	სახის დამხავი საშუალებების გამოყენება				
5	რესპირატორების გამოყენება				
6	ხელთათმანების გამოყენება				
7	ინსტრუქტაჟის ჟურნალი ადგილზე და ხდება მისი წარმოება				
8	მექანიკური ხელსაწყოები არის გამართულ მდგომარეობაში				
9	ელექტრო ხელსაწყოები არის გამართულ მდგომარეობაში არ აღენიშნებათ გარეგანი დაზიანება				
10	ხელსაწყოებისა და მოწყობილობების ყოველდღიური შემოწმების ჟურნალი არის ადგილზე და ხდება მისი წარმოება				
11	შედულების ან ცხელი ჭრის შემთხვევაში არ არსებობს აალების საშიშროება				
12	შედულების ან ცხელი ჭრის სიახლოვეს განთავსებულია ცეცხლმაქრი				
13	ჟანგბადის ბალონები განთავსებულია ვერტიკალურ მდგომარეობაში				
14	ნებართვა სიმაღლეზე მუშაობისათვის არის ადგილზე.				
15	სიმაღლეზე მუშაობის შემთხვევაში გამოიყენება დამცავი ქამრები				

№	დასახელება	კი	არა	N/A	კომენტარი
16	კიბეები არის გამართული და მოწესრიგებული. შეესაბამება შიდა რეგულაციას				
17	ხარაჩოები არის გამართული და მოწესრიგებული. შეესაბამება შიდა რეგულაციას				
18	ამწე მოწყობილობა არის გამართული და შეესაბამება შიდა რეგულაციას				
19	სიმაღლეზე მუშაობის კალათი არის გამართული და შეესაბამება შიდა რეგულაციას				
20	შენობების და ა.შ. ნაპირები არის დაცული ან გამოიყენება ვარდნის შემაკავებელი ქამრები				
21	ვარდნის ზონა არის განსაზღვრული და შემოფარგლული				
22	ენერჯია არის იზოლირებული				
23	ა/სატრანსპორტო საშუალება არის გამართული არ აღენიშნება ზეთის სითხეების და ა.შ გაჟინვები				
24	ყველა თანამშრომელზე გაცემულია დაშვების მოწმობები				

რეკომენდაციები

დანართი 4.8

2022 წლის გარემოსდაცვითი ტრენინგები (კასპი)		
მონაწილე	თარიღი	ტრენინგის თემატიკა
ლევან მორჩილაძე	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
გიორგი გაზაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
მამუკა საბიაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
იაკობ მამალაძე	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
ვასილ ონიაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
აკაკი ჭყოიძე	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
გელა ბიტიაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
თორნიკე თაგვიაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
ზაზა ბუთხუზი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
ლევან დარჯანია	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
ჯავანშირ ისმაილოვი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
გივი მშვიდლობაძე	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
გივი შალიტაური	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა

დავით ტატანაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
მევლუდ მაისურაძე	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
ილია აბუაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
ზურა ბუნტური	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
რევაზ ბერიძე	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
იოსებ როსებაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
ლევან ქარქუსაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
გივი გიგაური	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
თეიმურაზ შარიფაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
გიორგი წიკლაური	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა
მიხეილ ბუდალაშვილი	11.11.2022	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა

ქ. კასპი

04 აგვისტო 2021 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ოლივერ პანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი შიდა ქართლის რეგიონული ფილიალის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რამაზ მამულაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 ხელშეკრულების საგანია, წინამდებარე ხელშეკრულებით, გათვალისწინებული პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა“ უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ სასმელი წყლის მიწოდება და აგრეთვე, სასმელი წყლისა და ჩამდინარე სითხის წყალარინების სისტემით გატარება და გაწმენდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

2.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2.2 „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენას „შემსყიდველისათვის“ მოთხოვნის შესაბამისად (საგადასახადო ანგარიშშვანა, ინვოისი, წყალმომარაგების ჩვენების აქტი).

2.3 მიმწოდებელი, ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, ახორციელებს დანართი №1 - ით გათვალისწინებული ობიექტების უზრუნველყოფას სასმელი წყლითა და წყალარინების ქსელით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

3.1. „მიმწოდებელი“, მოხმარებული სასმელი წყლის და ჩამდინარე სითხის წყალმომარაგების სისტემის გატარება და გაწმენდის ხარჯების დადგენას და ანაზღაურებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით:

- ა) „შემსყიდველი“ წყალმომარაგების საფასურის გადახდას ახორციელებს ყოველთვიურად.
- ბ) ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
- გ) თუ გადახდის ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3.2 დარიცხვა მოხდება ყოველი თვის ბოლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად. კერძოდ 1 კ.მ-ზე სასმელი წყლის ღირებულება დღე-ს ჩათვლით განისაზღვრება [redacted] ლარით, ხოლო წყალარინებაზე [redacted] ლარით, სულ [redacted] ლარი. აღნიშნული ტარიფი მოქმედებს 2010 წლის 01 სექტემბრიდან.

3.3 ყოველი საანგარიშო თვის, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მოხმარებული სასმელი წყლისა და ჩამდინარე სითხის გატარების მომსახურების შესაბამის ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელიც გამოითვლება წყალმომარაგების მიხედვით. შემსყიდველი ვალდებულია ქვითარში მითითებული თარიღის გათვალისწინებით გადაუხადოს მიმწოდებელს მოხმარებული წყლის და ჩამდინარე სითხის გატარების საფასური.

3.4 უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა სტანდარტულია. გადახდა ხორციელდება, „მიმწოდებლის“ შესაბამის მომსახურების ცენტრში, შესაბამის საბანკო დაწესებულებებში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სემეკის №32 დადგენილებაში მოცემული ნორმების დაცვით, შეწყვიტოს მომხმარებლისათვის სასმელი წყლის მიწოდება და ჩამდინარე სითხის წყალმომარაგების სისტემით გატარება და გაწმენდა.

4.2 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ანაზღაურება

4.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს“ დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის უსაფრთხო და საიმედო წყალმომარაგება საქართველოს კანონმდებლობის, სემეკისა და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

4.5 „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება.

4.6 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სემეკის დადგენილებაში მოცემული ნორმების დაცვით, დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4.7 არ მოიხმაროს აღურიცხავი წყალი, არ ჩაერთოს ქსელში თვითნებურად.

4.8 გადაუხადოს „მიმწოდებელს“ საანგარიშო თვეში მომხმარებული წყლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და პირობებით.



Handwritten signature and blue ink stamp at the bottom of the page.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

- 5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 5.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.
- 5.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 5.4 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები დაეას წვედები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 6.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
- 6.2 თუ ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს ხელშეკრულების მოშლის სურვილს, მომსახურება ავტომატურად გაგრძელდება 1 წლით.

7. ფორს - მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების დადგომამდე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 8.1 არავითარი გადახრა, ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე.
- 8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს, შესაბამისი ინფორმაცია. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღისა.
- 8.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველის“ პირობების გაუარესება. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩათვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სხვა პირობები

- 9.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარეს წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №21	მისამართი: ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ., №5 და №7
ს/კ 230866435	ს/კ: 412670097
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: სს „საქარჯელს ბანკი“	ს.ს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE54BG0000000117481000	ა/ა GE77LB0113123325230012
დირექტორი ოლივერ პაჩი	შიდა ქართლის რეგიონული ფილიალის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ მამულაშვილი

Handwritten notes and stamps on the right margin, including the number 66435.

დანართი №1

№	სამართლებრივი ფორმა	აბონენტის დასახელება	იურიდიული მისამართი	ფაქტიური მისამართი	მრიცხველის №	აბონენტის №	შენიშვნა
	შპს	ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯია	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №21	ქ. კასპი, ფარნაეაზის ქ. №2	1. 13061179 2. 04296339	3558697	

„შემსყიდველი“

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

დირექტორი

ოლივერ პანი

„მიმწოდებელი“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

შიდა ქართლის რეგიონული ფილიალის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

რამაზ მამულაშვილი

წყალმომარაგების ხელშეკრულება **ACG/24** **1.19**

სასმელი წყლის მიმწოდებლის დასახელება შ.პ.ს. „სოგური“

სასმელი წყლის მიმწოდებლის წარმომადგენელი დირექტორი ნინო ზაალიშვილი

სასმელი წყლის მყიდველი/მომხმარებელი/ შ.პ.ს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია“

გადახდაზე პასუხისმგებელი პირი ტექნიკური დირექტორი ზაზა სადუნიშვილი

შესყიდვების დირექტორი ზესო გაგნიძე

მისამართი ქ.თბილისი ა. ყაზბეგის 21

ტელ:

საიდენტიფიკაციო ნომერი 230866435

სასმელი წყლის მიწოდების დაწყების თარიღი 2019 წლის 1 თებერვალი

მისამართი სადაც უნდა მოხდეს წყლის მომარაგება ქ. კასპი ფარნავაზის N2

სასმელი წყლის მომარაგების სისტემის მფლობელი

მომწოდებლის დასახელება შ.პ.ს. „სოგური“

ხელშეკრულების მხრივ ვალდებულებას კისრულობენ, ურთიერთობა აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და „სასმელი წყლის მიწოდების და მოხმარების წესებით“ განსაზღვრული პირობებით.

სასმელი წყლის მყიდველი /მომხმარებელი/ ვალდებულია, მოხმარებულ სასმელ წყალზე ანგარიშსწორება აწარმოოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში / [] ლარი 1მ კუბ დღგ-ს გარეშე, [] ლარი 1მ კუბ დღგ-ს გარეშე/.

სასმელი წყლის მყიდველი / მომხმარებელი/ ვალდებულია მოიხმაროს სასმელი წყალი მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის.

სასმელი წყლის მიმწოდებელი ვალდებულია,სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს სასმელი წყლის უსაფრთხო , უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი მიწოდება.

სასმელი წყლის მყიდველი /მომხმარებელი/ ვალდებულია დროულად გადაიხადოს მოხმარებული სასმელი წყლის საფასური / ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე./

ხელშეკრულების ვადა 2020 წლის 31 იანვარი.

ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს ავტომატურად ერთი წლით მხარეების სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე

სასმელი წყლის მყიდველის/მომხმარებლის/ხელმოწერა

სასმელი წყლის მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა



წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში: „ხელშეკრულება“) დაიდო 2017 წლის 01 აგვისტოს, შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „თერჯოლა-კარიერის“ (ს/კ 204546811) წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ჯიჯეიშვილის (პ.ნ 01009017921) სახით (შემდგომში „მეიჯარე“)

და მეორე მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/კ 230866435) წარმოდგენილი მინდობილი პირის დავით დეედაშვილის (პირადი № 35001024712) სახით (შემდგომში „მოიჯარე“)

მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების შემდეგ პირობებზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის 1 წლის ვადით დროებით სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს კასპში მდებარე მიწის ნაკვეთს, საიჯარო ფართობი შეადგენს 54093 კვ.მ.

2. უძრავი ქონების მახასიათებლები

2.1. „ქონების“ მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა: კასპი კოდი: 67, სექტორი: კასპი, კოდი: 01, კვარტალი: 52, ნაკვეთი: №133, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება. ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო.

2.1.1. „ქონებასთან“ დაკავშირებით „მეიჯარის“ საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეგისტრიდან (განცხადების რეგისტრაცია №882017776752, თარიღი: 24/08/2017. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №67.01.52.133), რომელის ასლიც თან ერთვის ამ „ხელშეკრულებას“ და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

3. იჯარის ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 01 აგვისტოდან და მოქმედებს 2018 წლის 01 აგვისტომდე.

3.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის გახვლამდე 20 დღით ადრე არ გამოთქვამენ სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება ავტომატურად ერთი წლის ვადით.

4. გადახდები

4.1. მოიჯარე გადაუხდის მეიჯარეს 1.1. პუნქტით განსაზღვრულ ფართობზე საიჯარო ქირას, რომელიც შეადგენს თვეში [redacted] ლარს.

საპარტნიორო
სამსახური
თარიღი: _____
ს.კ.ა.გ.ი.პ.ი.პ.



5. შენახვა, სარემონტო სამუშაოები

5.1. მოიჯარის პასუხისმგებლობაში შედის ქონების რეგულარული მოვლა. მოიჯარე შეინარჩუნებს ქონებას კარგ მდგომარეობაში და დაიცავს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარულ, ხანძარსაწინააღმდეგო, ეკოლოგიურ და სხვა ნორმებს. მოიჯარე ასევე პასუხისმგებელია ქონების შენახვაზე, რაც მოიცავს ზიანის თავიდან აცილებას და იმ დამდგარი ზიანის სწრაფ ლიკვიდაციას, რომელმაც შესაძლოა რაიმე ზეგავლენა იქონიოს ქონების გამოყენებაზე ან ღირებულებაზე.

6. ქონების დაბრუნება

6.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტისას მოიჯარის მიერ ქონება უბრუნდება შეიჯარეს.

6.2. ამ იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტისას, მოიჯარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ წაიღოს ყველა ის მოწყობილობა, დანადგარები და სხვა ნივთები, რომლებიც მის მიერ იქნა შეტანილი და დამონტაჟებული/დაინსტალირებული ქონებაში იჯარის დაწყების შემდგომ.

7. დაუძლეველი ძალის მოქმედებით გამოწვეული ზიანი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ზემოთაღნიშნული შეუსრულებლობის მიზეზი იყო ისეთი გარემოებების დადგომა, რომლებიც მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა და მხარეთა კონტროლს არ ექვემდებარება (ფორს-მაჟორი).

8. იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და ასეთი შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

8.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

8.2. „ხელშეკრულება“ ასევე შეიძლება ვადამდე დასრულდეს ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

8.3. „ხელშეკრულების“ დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში „დამქირავებელი“ იღებს ვალდებულებას ჩააბაროს „ქონება“ „გამქირავებელს“ კომუნალური გადასახადების დავალიანებების გარეშე.

9. დავის მოგვარება

9.1. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან პრეტენზია ვერ მოგვარდება მხარეთა შეთანხმებით, იგი გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება შეიძლება შევიდეს მხოლოდ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.

10.2 ამ ხელშეკრულების არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირებს გადასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები.

საქართველოს
სამართლებრივი
მსახური №489



10.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად ან ძალადაკარგულად იქნება ცნობილი, ეს გაეგნას არ მოახდენს ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების ნამდვილობაზე.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ (2) იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ყოველი მხარე მიიღებს თითო ეგზემპლარს.

10.5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

II. მხარეთა ხელმოწერები

მეიჯარე:

მოიჯარე:

შპს „თერჯოლა-კარიერი“
მის. თბილისი, ვაკე-საბურთალოს
რაიონი ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი N 21
საიდ. № 204546811

შპს „ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯია“
მის. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი N 21
საიდ. № 230866435


დირექტორი ზ.ჯორჯიშვილი



მინდობილი პირი: დ. დეველაშვილი


საქართველოს იუსტიციის საინსტორი
საჯარო რეგისტრის პროექტული სააგენტო
გბაგბე №483
თარიღი - 04. თებერვალი 2017წ
3/სპ

ინსტორი
სააგენტო

საქართველოს იუსტიციის საინსტორი
საჯარო რეგისტრის პროექტული სააგენტო
024

თბილისი

2022 წლის 14 მარტი

ერთის მხრივ, შპს „კოსი - კონცეფტ ოფ სეიფთი“ (ს/კ 405351239), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნინო ზარიძის მიერ (შემდგომში - „შემსრულებელი“) და მეორეს მხრივ, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (ს/კ 230866435) წარმოდგენილი HR/H&S დირექტორის ეკატერინე ვაშაკიძისა და შესყიდვების დირექტორის ბესარიონ გაგნიძის სახით (შემდგომში - „დამკვეთი“), მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვებთ ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთისთვის მომსახურების (შემდგომში - „მომსახურება“) გაწევას, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: დამკვეთის ობიექტზე გარემო ფიზიკური ფაქტორების გაზომვებს, შეფასებას, მათ შორის:

მტვრის მონიტორინგი - განხორციელდება პერსონალური სინჯების საშუალებით, რეალური ზემოქმედების დონის დადგენის მიზნით;

ხმაურის მონიტორინგი - განხორციელდება პერსონალური დოზიმეტრის გამოყენებით, ადგილზე ხმის წნევის დონის ინტეგრირებისა და ზემოქმედების ხანგრძლივობის მემუგობით;

ვიბრაციის მონიტორინგი - ჩატარდება მოწყობილობა, დანადგარსა თუ ხელსაწყოზე ნორმალურ სამუშაო რეჟიმში. პერსონალური დოზიმეტრით შერჩეულ ჯგუფებზე.

1.2. მომსახურება ჩატარდება დამკვეთის შემდეგ სამუშაო ობიექტებზე

- რუსთავის ცემენტის ქარხანა
- დედოფლისწყაროს კირქვის კარიერი
- კასპის ცემენტის ქარხანა
- კავთიხევის კირქვის კარიერი
- ფეიქრების 21 (ბეტონის ქარხანა)
- ფეიქრების 14 (ბეტონის ქარხანა)
- გლდანის ბეტონის ქარხანა
- ფონიჭალის ბეტონის ქარხანა
- ორხევის ბეტონის ქარხანა
- ფოთის ბეტონის ქარხანა
- ფოთის წისქვილი
- სუფსის ტერმინალი
- ბათუმის ბეტონის ქარხანა
- ბათუმის ინერტული მასალების საწარმო



Handwritten signatures and initials at the bottom of the page.

- წითელი ხიდის ინერტული მასალების საწარმო

1.3. ხელშეკრულების განუყოფელ და შესასრულებლად სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს დანართი N1, სადაც მითითებულია შემსრულებლის მიერ შესასრულებელი მომსახურების გაწევის ვადები.

მუხლი 2. მომსახურების გაწევა

2.1. მომსახურების გაწევის ფარგლებში დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლისგან მოითხოვოს მიმდინარე და შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია. ამასთან, დამკვეთი უფლებამოსილია გააკონტროლოს სამუშაოების მიმდინარეობა და მათი შესრულების ხარისხი, მათი შესრულების ვადები (გრაფიკი), ამასთანავე არ უნდა ჩაერიოს შემსრულებლის მიერ უფლებამოსილების განხორციელებაში;

2.2. დამკვეთი ვალდებულია შეუქმნას „შემსრულებელს“ ნორმალური სამუშაო პირობები. ამ მიზნით შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში გამოუყოს მას სამუშაო ადგილი;

2.3. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებლის შეტყობინების საფუძველზე გონივრულ ვადაში გამოასწოროს ან ადკვეთოს ნებისმიერი გარემოება, რომელიც შემსრულებელს ხელს უშლის თავისი მოვალეობების ჯეროვნად და სრულფასოვნად განხორციელებაში;

2.4. შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სამუშაოების ჩატარებისას ობიექტზე შრომის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

2.5. შემსრულებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე, თუ დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ხელს უშლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

2.6. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს მდგომარეობის გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;

2.7. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, დაეხმაროს დამკვეთს, მის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების შესრულებაში და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ხარვეზების აღმოსაფხვრელად;

მუხლი 3. ანგარიშსწორება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს: ერთი ერთეულის მიმართებაში

მტკერი - [REDACTED] ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

ვიბრაცია - [REDACTED] ლატს დღგ - ს ჩათვლით;

ხმაური - [REDACTED] ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

სრული ჩამონათვალი, მათი რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ავდები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართით.

3.2 წინამდებარე მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საზღაური, დამკვეთის მიერ გადახდილ უნდა იქნას მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.3. მიღება ჩაბარებას ხელს აწერს HR/H&S დირექტორი ეკატერინე ვაშაკიძე და H&S კოორდინატორი გიორგი კობახიძე.

3.4 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ, შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მხრიდან ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები სრულად აგებენ პასუხს ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებულ ზიანისთვის.

5.2 შემსრულებელი პასუხს აგებს ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებულ ზიანისთვის სამუშაოების შესრულების ვადების შესაბამისად.

5.3. შემსრულებლის მიერ გაცემული რეკომენდაციების დამკვეთის მიერ შესაბამის ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელი იხსნის პასუხისმგებლობას დამკვეთისათვის დამდგარ ნებისმიერ ზიანზე ან/და მის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოყენებულ ნებისმიერი სახის სანქციაზე.

5.4. შემსრულებელი პასუხისმგებელია მის მიერ გაცემული რეკომენდაციების სისწორეზე.

5.5. შემსრულებელი პასუხისმგებლობას იხსნის დამკვეთი-ს ან მისი თანამშრომლის მიერ რეკომენდაციების უგულვებელყოფით ან თვითნებურად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის და ამასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურებისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი შეუსრულებლობა გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებების (ფორს-მაჟორის) მოქმედების შედეგი.

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს განეკუთვნება სტიქიური უბედურებები, მათ შორის მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ქარიშხალი, ტაიფუნი, კოკისპირული წვიმები, სხვა საგანგებო და დაუძლეველი მოვლენები, რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომელთა გათვალისწინებაც მხარეს არ შეეძლო ხელშეკრულების დადების მომენტში ან თავიდან აცილება გონივრული ზომებით და რომლებმაც უშუალოდ იმოქმედა მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე.

6.3. მხარე, რომელიც მოხვდა დაუძლეველი ძალის გარემოებების ზემოქმედების ქვეშ, ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის, მათი შედეგების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე მათი მოქმედებისა და ხანგრძლივობის შესახებ.

6.4. შეტყობინების გაგზავნის ვადა შეადგენს 3 (სამი) სამუშაო დღეს ფორს-მაჟორის წარმოშობისა და მისი შედეგების დღიდან, ან დღიდან, როდესაც მხარემ შეიტყო მისი დადგომის შესახებ. თუ თვით ფორს-მაჟორულმა გარემოებებმა ხელი შეუშალეს შეტყობინების დროულ გაგზავნას, ასეთ შემთხვევაში შეტყობინება უნდა გაიგზავნოს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ეს გახდა შესაძლებელი.

6.5. დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების შესახებ შეტყობინების არგაგზავნა ან დაგვიანებით გაგზავნა უფლებას ართმევს მხარეს, რომელმაც არ გააგზავნა ან დაგვიანებით გააგზავნა შეტყობინება, დაასახელოს ეს გარემოებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების მიზეზად.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

7.2. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობისას მათ შორის არსებულ დავას კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტს სასამართლო;

მუხლი 8. კონფიდენციალური ინფორმაცია

8.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყოველი „მხარე“ ადასტურებს, რომ „ხელშეკრულების“ გაფორმების შედეგად და მისი შესრულებისას მათ შესაძლოა მოიპოვონ ინფორმაცია მეორე „მხარის“ საქმიანობის შესახებ, რომელიც შესაძლოა ატარებდეს კონფიდენციალურ ხასიათს, და რომელიც სათანადოდ უნდა იქნას დაცული (შემდგომში - „კონფიდენციალური ინფორმაცია“).

8.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყოველი „მხარე“ დაიცავს „ხელშეკრულების“ გაფორმების შედეგად და მისი შესრულებისას მეორე „მხარის“ შესახებ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას და არ გადასცემს „კონფიდენციალურ ინფორმაციას“ არც ერთ მესამე მხარეს და არ დაუშვებს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გამოყენებას რაიმე მიზნებისთვის, გარდა წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების შესასრულებლად.

8.3 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყოველ „მხარეს“ აქვს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გახმაურების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ამგვარი გახმაურება სავალდებულოა კანონით.

ბ) შესაბამისი ინფორმაციის გადაცემა ხდება „მხარეების“ აუდიტორებისადმი, კონფიდენციალობის დაცვის გათვალისწინებით;

გ) შესაბამისი ინფორმაცია საყოველთაოდ ცნობილია ან ღებულობს ამგვარ ხასიათს შესაბამისი „მხარის“ ბრალეული ქმედების გარეშე; ან

დ) მეორე „მხარემ“ წარმოადგინა წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გახმაურებასთან დაკავშირებით.

231

8.4 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყოველი „მხარე“ უზრუნველყოფს, რათა მისი თანამშრომლების ან, შესაბამის შემთხვევებში, აგენტების, ქვემენარდეებისა თუ კონსულტანტების მიერ, რომლებიც ასრულებენ მის მიერ განსაზღვრულ ფუნქციას ან ვალდებულებას წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე, და ასევე მათი სხვა წარმომადგენლებისა თუ მათთან დაკავშირებული სხვა პირების მიერ სრულად დაცული იქნება წინამდებარე მუხლის პირობები და წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისი „მხარე“ პასუხს აგებს ზემოაღნიშნული პირების მიერ წინამდებარე მუხლის პირობების დარღვევაზე.

8.5 წინამდებარე მუხლში ჩამოყალიბებული ვალდებულებები ასევე ძალაშია წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 9. შეტყობინებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ყველა სახის შეტყობინება ჩაითვლება სათანადო წესით გაგზავნილად, თუ გაგზავნილია დაზღვეული ფოსტით ან ჩაბარებულია შესაბამისი წესით უფლებამოსილი პირის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან წერილობითი ფორმით ეცნობა მეორე მხარეს, ან გაგზავნილია წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის ელ-ფოსტაზე.

9.2. მხარეები ვალდებული არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, მისამართი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) ცვლილების შესახებ.

9.3. მხარე პასუხს არ აგებს მეორე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

9.4. შემსრულებელმა ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებელი ნებისმიერი დოკუმენტი ან რეკომენდაცია პირადად უნდა გადაეცეს დამკვეთისთვის მიერ გამოყოფილ უფლებამოსილ პირს, რა დროსაც შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 10. დამატებითი პირობები

10.1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი.

10.3. ხელშეკრულების ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება ფორმდება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილ უნდა იქნას ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

მუხლი 11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

“შემსრულებელი”

“დამკვეთი”

შპს „კოსი - კონცეფტ რუ სეიფთი“
ს/კ: 405351239
მის.: ს. ჩიქოვანის ქ. 34
ა/ა: GE35TB7922236080100011
მიმღების ბანკი: ს.ს “თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორი: ნინო ზარიძე



შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია
ს/კ: _230866435
მის.: თბილისი, ალ. ყაზბეგის 21
HR/H&S დირექტორი:

ეკატერინე ვაშაკიძე


შესყიდვების დირექტორი

ბესარიონ გაგნიძე





სამუშაო ობიექტები		ტესტების რაოდენობა		
		მტკვერი	ხმაური	ვიბრაცია
1	რუსთავი	7	7	15
2	დღოფლისწყარო	2	3	4
3	კასპი	7	7	29
4	სასხორი	1	1	1
5	ფოთი	2	2	1
6	სუფსა	1	0	0
7	ფეიქრები 14	1	1	2
8	ფეიქრები 21	1	1	2
9	გლდანი	1	1	2
10	ფონიჭალა	1	1	2
11	ბათუმი	1	1	4
12	ფოთი- ბეტონი	0	1	4
15	წითელი ხიდი	1	2	2
ჯამი		26	28	68





შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯის საწარმოებიდან ნარჩენების გატანა და განადგურება

ქ. თბილისი

„1“ 03.2024 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (შემდგომში „შემკვეთი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ოლივერ პაჩის, ფინანსური დირექტორის ეკა ტყეშელაშვილის და შესყიდვების დირექტორის ბესო გაგნიძის სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „დამკვეთი“ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „სანიტარი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ ჭელიძის სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „შემსრულებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ ასრულებს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნიდან სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გატანის და უტილიზაციის მომსახურებას.

2. ფასი და ანგარიშსწორების პირობები

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება განისაზღვრება გასატანი ნარჩენების წონის მიხედვით:
- 2.1.1 თითოეული კილოგრამი ნარჩენის გატანის და უტილიზაციის ღირებულება მოცემულია დანართ 1-ში. აღნიშნულ ფასს დაემატება დამატებითი ღირებულების გადასახადი.
- 2.1.2 დანართ 1-ში მოცემული ფასი მოიცავს ტრანსპორტირების ღირებულებას.
- 2.1.3 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება სამუშაოს შესრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ელექტრონული ანგარიშგაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. პროდუქციის განადგურების პირობები

- 3.1 „დამკვეთი“ ვალდებულია ნარჩენების მიწოდებამდე 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს შემსრულებელს გასატანი ნარჩენების რაოდენობის შესახებ.
- 3.2 ნარჩენების მიწოდებისას ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
- 3.3 „შემსრულებელი“ ვალდებულია ნარჩენების მიწოდებიდან 10 დღის ვადაში მოახდინოს ნარჩენების უტილიზაცია და არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა მიაწოდოს „დამკვეთს“ მიწოდებული პროდუქტის განადგურების აქტი.
- 3.4 მიღება-ჩაბარების და განადგურების აქტები უნდა მოიცავდეს: ნარჩენის კოდს, ნარჩენის რაოდენობას.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:

4.1.1 შემსრულებელი ადასტურებს, რომ გააჩნია სრული უფლებამოსილება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის, რაც დასტურდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, რომელიც გაიცა 2017 წლის 71 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სახიფათო ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების ინსინერაციის და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და ასევე 2018



წლის 16 მაისს მიღებული სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

- 4.1.2 შემსრულებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და სრულად არის პასუხისმგებელი პროდუქციის განადგურების დროს ეკოლოგიური პირობების დაცვაზე.
- 4.1.3 შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 4.1.4 შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი, მომსახურების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.
- 4.1.5 შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოითხოვოს დამკვეთისაგან ზარალის სრული ანაზღაურება.

4.2 დამკვეთის უფლება-მოვალეობები:

- 4.2.1 დამკვეთი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში აუნაზღაუროს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.
- 4.2.2 დამკვეთი ვალდებულია დროულად მიაწოდოს შემსრულებელს გასანადგურებელი პროდუქცია.
- 4.2.3 დამკვეთი ულფებამოსილია მოთხოვოს შემსრულებელს ზარალის ანაზღაურება, შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
- 4.2.4 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში ამ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული „სამუშაოს“ წარმოებისას, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების დროს, «შემსრულებელმა» უნდა უზრუნველყოს თვითონ და/ან თავისი მუშაკების მიერ ჯანმრთელობისა და შრომის დაცვის, ტექნიკის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების, «ჰაიდელბერგცემენტის» სახელმძღვანელოს - «კონტრაქტორის უსაფრთხოება»-ს მოთხოვნების შესრულება. აგრეთვე, «სამუშაოს» შესრულებაზე დასაქმებული საკუთარი პერსონალის ინსტრუქტირება-დატრენინგება და მათი აღჭურვა გამართული, უსაფრთხო და საექსპლუატაციო მოთხოვნების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.
- 4.2.5 «შემსრულებლის» და/ან მისი პერსონალის მხრიდან ამ წესების დარღვევის მიზეზით დამდგარ შედეგებზე (როგორც საკუთარი, ასევე სხვა პირთა მიმართ) პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება «შემსრულებელს».
- 4.2.6 გაეცნოს ჰაიდელბერგცემენტის მომწოდებელთა ქცევის კოდექსსა და შესყიდვების ძირითად პრინციპებს შემდეგ ვებ-გვერდზე:

<https://www.heidelbergcement.ge/ka/supplier-purchasing-information>

5. დავათა გადაწყვეტა.

- 5.1 წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



- 5.2 მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის დავა წყდება სასამართლოს წესით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კონფიდენციალურობა

- 6.1 მხარეთა მიერ ურთიერთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აგრეთვე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის გამიზნული კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთაგან დაცვა.
- 6.2 მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1 წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ ახერხებს თავისი მოვალეობების შესრულებას ფორს-მაჟორული (დაუძლეველი) გარემოების ზემოქმედების გამო;
- 7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

- 8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით.
- 8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე, მხარეები არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად ერთი წლის ვადით.

DEI
საქართველო
საგარეო
კავშირების
სამსახური
ს. 94

9. დასკვნითი დებულებები

- 9.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 9.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 9.3 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე; თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.4 წინამდებარე ხელმოწერილი ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

„შემკვეთი“

„შემსრულებელი“

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

შპს „სანიტარი“

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გ. 21

ქ. რუსთავი გამარჯვების გზატ.#4

ს/კ 230866435

ს/კ 204927240

სს „საქართველოს ბანკი“

საქართველოს ბანკი

ს/ა GE54BG0000000117481000

GE33BG0000000126078100

ოლივერ პაჩი

ბესიკ ჭელიძე

გენერალური დირექტორი

დირექტორი

ვატკეშელაშვილი

ფინანსური დირექტორი

ბესო გაგნიძე

შესყიდვების დირექტორი



BER
საქ.
სს
სს
სს
სს

დანართი#1.

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიახ/არა	წლიური წარმოქმნილი რაოდენობა (კგ)		1 კგ ნარჩენის უტილიზაციის ფასი (ლარი დღეს გარეშე) სანიტარი
				კასპი	რუსთავი	
08 01 11*	ნარჩენი საღებავი და ლაქი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებს	ლექისებრი	დიახ	<100	<100	
08 03 17*	პრინტერის კარტრიჯები	მყარი	დიახ	<100	<100	
12 01 10*	სინთეტური მექანიკური დამუშავების ზეთებიდან/საპოხი მასალა	თხევადი	დიახ	<100	<100	
13 01 11*	სინთეტური ჰიდრაულიკური ზეთები	თხევადი	დიახ	<100	<100	
13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	თხევადი	დიახ	9200	9200	
13 03 10*	სხვა საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	თხევადი	არა	<100	<100	
15 01 01	ქალაღლისა და მუყაოს შესაფუთი მასალა (ცემენტის ტომრები)	მყარი	არა	<100	<100	
15 01 02	პლასტმასის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	<100	<100	
15 01 03	ხის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	<100	<100	
15 01 04	ლითონის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	<100	<100	
15 01 06	ნარევი შესაფუთი მასალა	მყარი	არა	<100	<100	
15 01 07	მინის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	<100	<100	
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ	2200	2200	

15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ	300	300	
15 02 03	აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში	მყარი	არა	500	500	
16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები	მყარი	დიახ	<100	<100	
16 05 05	საწარმოო აირები მაღალი წნევის ცილინდრებში, რომელსაც არ ვხვდებით 16 05 04 პუნქტში	მყარი	არა	1800	1800	
16 06 01*	ტყვის შემცველი ბატარეები	მყარი	დიახ	<100	<100	
16 06 05	სხვა ბატარეები და აკუმულატორები	მყარი	დიახ	<100	<100	
17 02 01	ხე	მყარი	არა	<100	<100	
17 02 02	მინა	მყარი	არა	<100	<100	
17 02 03	პლასტმასი	მყარი	არა	<100	<100	
17 02 04*	მინა, პლასტმასი და ხე, რომლებიც შედგებიან ან შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	დიახ	<100	<100	
17 04 09*	მეტალის ნარჩენები, რომლებიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ	<100	<100	
17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	დიახ	1200	1200	
17 05 06	გრუნტი, რომელიც არ გვხვდება 17 05 05 პუნქტში	მყარი	არა	<100	<100	
18 01 03*	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით	მყარი	დიახ	<100	<100	
20 01 21*	ფლურესცენციული მილუბი და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები	მყარი	დიახ	<100	<100	



სხვა და სხვა სახის რეზინი,გარდა საბურავისა და რომელიც არ არის დაბინძურებული სახ.წივთიერებებით.	მყარი	არა	<100	<100	
--	-------	-----	------	------	--

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯის საწარმოებიდან ნარჩენების გატანა და განადგურება

ქ. თბილისი

13.04.2021 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (შემდგომში „შემკვეთი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ოლივერ პაჩის, ფინანსური დირექტორის ეკა ტყეშელაშვილის და შესყიდვების დირექტორის ბესო გაგნიძის სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „დამკვეთი“ და მეორეს მხრივ შპს. „სანიტარი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ ჭელიძის სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „შემსრულებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ ასრულებს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის ქარხნიდან არასახიფათო ნარჩენების გატანის მომსახურებას.
- 1.2 „შემსრულებელი“ უზრუნველყოფს 10 მ3-იანი მეტალის დახურული კონტეინერების განთავსებას „დამკვეთის“ კასპის ქარხნის ტერიტორიაზე (ქ. კასპი, ფარნავაზის 2) და გატანას „დამკვეთის“ მოთხოვნის შესაბამისად.

2. ფასი და ანგარიშსწორების პირობები

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება შეადგენს:

დანიშნულება	ერთეული	1 კონტეინერის გატანის ღირებულება ლარი დღგ-ს გარეშე
სამშენებლო ნარჩენები	10 მ3 მოცულობის მეტალის დახურული კონტეინერი	
რეზინი (კონკრეტის ლენტები, საბურავები)	10 მ3 მოცულობის მეტალის დახურული კონტეინერი	
ქსოვილი (სპეც ტანსაცმელი და ფილტრის სახელოები,) არასახიფათო	10 მ3 მოცულობის მეტალის დახურული კონტეინერი	
პლასტმასის, მინის და ქაღალდის ნარჩენების გატანა		
პლასტმასი	კგ	
მინა	კგ	
ქაღალდი	კგ	

- 2.1.1 აღნიშნულ ფასს დაემატება დამატებითი ღირებულების გადასახადი.



- 2.1.2 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება სამუშაოს შესრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ელექტრონული ანგარიშგაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. ნარჩენების გატანის პირობები

- 3.1 „შემსრულებელი“ უზრუნველყოფს ხუთი ერთეული 10 მ3-იანი მეტალის დახურული კონტეინერების მიწოდებას და განთავსებას „დამკვეთის“ კასპის ქარხნის ტერიტორიაზე.
- 3.2 გაცემული კონტეინერის გატანა უნდა მოხდეს „დამკვეთის“ მოთხოვნიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:

- 4.1.1 შემსრულებელი ადასტურებს, რომ გააჩნია სრული უფლებამოსილება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის, რაც დასტურდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, რომელიც გაიცა 2017 წლის 71 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სახიფათო ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების ინსინერაციის და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და ასევე 2018 წლის 16 მაისს მიღებული სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.
- 4.1.2 შემსრულებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და სრულად არის პასუხისმგებელი პროდუქციის განადგურების დროს ეკოლოგიური პირობების დაცვაზე.
- 4.1.3 შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 4.1.4 შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი, მომსახურების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.
- 4.1.5 შემსრულებელს უფლება აქვს მოთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოითხოვოს დამკვეთისაგან ზარალის სრული ანაზღაურება.

4.2 დამკვეთის უფლება-მოვალეობები:

- 4.2.1 დამკვეთი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში აუნაზღაუროს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.
- 4.2.2 დამკვეთი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსრულებელს ზარალის ანაზღაურება, შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
- 4.2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში ამ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული „სამუშაოს“ წარმოებისას, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების დროს, «შემსრულებელმა» უნდა უზრუნველყოს თვითონ და/ან თავისი მუშაკების მიერ ჯანმრთელობისა და შრომის დაცვის, ტექნიკის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების, «ჰაიდელბერგცემენტის» სახელმძღვანელოს - «კონტრაქტორის უსაფრთხოება»-ს მოთხოვნების შესრულება. აგრეთვე, «სამუშაოს» შესრულებაზე დასაქმებული საკუთარი პერსონალის

საქართველოს
სამართლებრივი
სისტემა
საქართველოს
სამართლებრივი
სისტემა



- ინსტრუქტირება-დატრენინგება და მათი აღჭურვა გამართული, უსაფრთხო და საექსპლუატაციო მოთხოვნების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.
- 4.2.4 «შემსრულებლის» და/ან მისი პერსონალის მხრიდან ამ წესების დარღვევის მიზეზით დამდგარ შედეგებზე (როგორც საკუთარი, ასევე სხვა პირთა მიმართ) პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება «შემსრულებელს».
- 4.2.5 გაეცნოს ჰაიდელბერგცემენტის მომწოდებელთა ქცევის კოდექსსა და შესყიდვების ძირითად პრინციპებს შემდეგ ვებ-გვერდზე:

<https://www.heidelbergcement.ge/ka/supplier-purchasing-information>

5. დავათა გადაწყვეტა.

- 5.1 წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.2 მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის დავა წყდება სასამართლოს წესით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კონფიდენციალურობა

- 6.1 მხარეთა მიერ ურთიერთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აგრეთვე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის გამიზნული კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთაგან დაცვა.
- 6.2 მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1 წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ ახერხებს თავისი მოვალეობების შესრულებას ფორს-მაჟორული (დაუძლეველი) გარემოების ზემოქმედების გამო;
- 7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

- 8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით.
- 8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე, მხარეები არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად ერთი წლის ვადით.



ბერგცემენტი
საქართველო
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

2308

9. დასკვნითი დებულებები

- 9.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 9.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 9.3 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე; თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.4 წინამდებარე ხელმოწერილი ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

„შემკვეთი“

„შემსრულებელი“

შპს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია“

შპს „სანიტარი“

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გ. 21

ქ. რუსთავი გამარჯვების გზატ.#4

ს/კ 230866435

ს/კ 204927240

სს „საქართველოს ბანკი“

საქართველოს ბანკი

ა/ა GE54BG0000000117481000

GE33BG0000000126078100



ოლივერ პაჩი

გენერალური დირექტორი

კვა ტყეშელაშვილი

ფინანსური დირექტორი

ბესიკ ჭელიძე

დირექტორი



ბესო გაგნიძე

შესყიდვების დირექტორი



შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასა და შპს სანიტარს შორის 2021 წლის 01 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება HCG/75 3.21 -ში ცვლილების შესახებ


ქ. თბილისი

„-25-“ ოქტომბერი 2021 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (შემდგომში „შემკვეთი“), წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის ეკა ტყეშელაშვილის და შესყიდვების დირექტორის ბესო გაგნიძის სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „დამკვეთი“ და მეორეს მხრივ შპს „სანიტარი“ წარმოდგენილი დირექტორის ბესიკ ჭელიძის სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „შემსრულებელი“ ვლებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

- 1.1. შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასა და შპს სანიტარს შორის 2021 წლის 01 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება HCG/75 3.21 -ის დანართ 1-ით გათვალისწინებულ მომსახურებებს დაემატოს შემდეგი მომსახურება:

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიახ/არა	სახიფათოობის მახასიათებელი	ზაზელის კონვენციის კოდი (Y)	ფასი ლარი დღეს ჩათვლით
						ლიტ/ლარი
13 05 *	ნავთობ პროდუქტით დაბინძურებული თხევადი ნარჩენი (ტრანსპორტირების ჩათვლით)	თხევადი	დიახ	H 3-B - „აალებადი“ H 5- „მავენე“		

„შემკვეთი“

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ს/კ 230866435

ეკა ტყეშელაშვილი

ფინანსური დირექტორი

„შემსრულებელი“

შპს „სანიტარი

ს/კ 204927240

ბესიკ ჭელიძე

დირექტორი

ბესო გაგნიძე

შესყიდვების დირექტორი



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 14/17/1984

„15“ 09 2016წ.

ბატონ ზაზა ჯიჯეიშვილს (პ/ნ 01009017921)
მისამართი: ქ. თბილისი, გ. ლორთქიფანიძის ქ. N4
ტელ: (+995) 577490594

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი 06.09.2016 წლის განცხადების Nჯ-2954 პასუხად, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (271176 კვ.მ., ს/კ 67.01.51.048) მდებარე ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე ახალი ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობასა და არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების გამოვლენისა და დაცვის მიზნით ჩატარებულ კვლევას, გაცნობებთ, რომ სააგენტოში შემოსული ანგარიშების მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი და არტეფაქტები არ ფიქსირდება.

შესაბამისად გეძლევათ დადებითი დასკვნა მიწის ნაკვეთის შემდგომი გამოყენების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის
მოადგილე

დავით ლომიტაშვილი

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“
№ HCG/86
19 09 2016
კანცელარია

№ MC6/143

07.11

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 21
0160, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 474747

13 ივნისი, 2022

გიგზავნით დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის უწყვეტი ინსტრუმენტალური თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის შევსებულ ფორმას რუსთავის და კასპის ცემენტის ქარხნებისთვის.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თვითმონიტორინგის სენსორების პარამეტრები.

დანართი 1: ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ფორმა - კასპის ცემენტის ქარხანა

დანართი 2: ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ფორმა - რუსთავის ცემენტის ქარხანა

პატივისცემით,
გიორგი ჩალაძე

გ.ჩაძე



გარემოს დაცვის მენეჯერი

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ს/ნ: 230866435

ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N21, თბილისი, 0160, საქართველო

giorgi.chaladze@heidelbergcement.ge

Mob:+ 995 577 77 10 17

www.heidelbergcement.ge

დანართი 7.3



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აგმაშენებლის ბაზზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6517
01/11/2022

6517-21-2-202211011129



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №21
ელ.ფოსტა: nino.sukhitashvili@heidelbergcement.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4962 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. კასპში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებით შემდეგს:

როგორც სააგენტოს 2022 წლის 10 აგვისტოს №21/4339 წერილით გეცნობათ ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წლის 9 სექტემბერს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2018 წლის 15 აგვისტოს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-677) ასევე, ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე 2017 წლის 10 მაისს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32, ხოლო 2018 წლის 9 აგვისტოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-654). №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ახალი საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო №79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული ძველი ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟი.

სააგენტოს მიერ 2022 წლის პირველ ივნისს ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია №26 სკოპინგის დასკვნა, რომელიც ასევე ითვალისწინებს ცემენტის წარმადობის გაზრდას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ცემენტის წარმადობის ზრდა წელიწადში 900 000 ტონიდან 970 000 განპირობებულია ახალი ტიპის ცემენტების გამოშვებით და მიიღწევა დანამატების გამოყენების ხარჯზე. წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია ცემენტის წარმოებაში ე.წ. სეპარირებული დაფქვა, რომლის დროსაც ერთი ან რამდენიმე დანამატის დაფქვა ხდება ცალკე დანადგარში, ამ დანამატის მოთხოვნილი დაფქვის სიწმინდით, ხოლო კლინკერი იფქვება თაბაშირთან ერთად ბურთულეებიან წისქვილში და შემდეგ ხდება ამ ორი ფქვილის მოთხოვნილი პროპორციით შერევა და საბოლოო პროდუქტის (ცემენტის) მიღება. კასპის ქარხანაში იგეგმება ზემოხსენებული ტექნოლოგიის დანერგვა ცემენტის N3 და N4 წისქვილებზე, რაც გულისხმობს კირქვის განცალკევებით დაფქვას არსებული ნედლეულის ვერტიკალურ წისქვილში და შემდეგ მის

შერევას დაფქული კლინკერისა და თაბაშირის ნარევთან. დაგეგმილი ცვლილების განხორციელებით კი, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელი იქნება წელიწადში 60,000 ტონით მეტი ცემენტის წარმოება. აღნიშნულის შესაბამისად სკრინინგის ანგარიში ითვალისწინებს ცემენტის წარმადობის გაზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშსა და ზემოაღნიშნულ სკოპინგის ანგარიშში მოცემული ცვლილებები (ცემენტის წარმოების) ვერ იქნება განხილული როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საქმიანობები. ვინაიდან კომპანიის მიერ დაგეგმილი ცვლილებები ურთიერთდაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედების სრულფასოვანი/სრულყოფილი შეფასებისათვის მიზანშეწონილია წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აისახოს სააგენტოს N26 სკოპინგის დასკვნის საფუძველზე წარმოსადგენ გზის ანგარიშში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სკოპინგის დასკვნით (N26) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია გზის ანგარიშში ასახოს დეტალური ინფორმაცია N32 და N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ და მიუთითოს მოთხოვნილი აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების (შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების) გაუქმების/ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო





გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11906/01
18/11/2021

11906-01-2-202111180953



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

მისამართი: თბილისი 0160 ალ. ყაზბეგის გამზირი №21

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

თქვენი 2021 წლის 25 ოქტომბრის №HCG/214 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №19059; 25.10.2021) პასუხად, რომელიც ეხება „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს №2-654 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე თანდართული 2017 წლის 10 მაისის №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დარღვეული მე-8 პირობით და სამინისტროს 2021 წლის 22 აპრილის №3981/01 წერილით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამინისტროს შენიშვნების საფუძველზე განახლებული (წერილი №10091/01; 24.09.2021), ხმაურის დონეების შემარბილებელი ღონისძიებების წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ სამინისტროს შენიშვნები არ გააჩნია.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე





გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10309/01
04/11/2022

10309-01-2-202211041652



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს გარემოსდაცვით მმართველს
ბატონ გიორგი ჩალაძეს

მის: ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ.21

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ რომ თქვენი წერილით (N29057; 17.10.2022) წარმოდგენილი, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს (ს/ნ:230866435) 2022-2024 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

პატივისცემით,

სოლომონ პავლიაშვილი

მინისტრის მოადგილე



დანართი 7.6

№ MCG/387

9.18

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 21
0160, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 474747

18/07/2018 წერილით (DES 0 18 00042960, ჩაგვარდა 23/07/2018) და ადმინისტრაციული
მიწერილობა #001045-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად
წარმოგიდგენთ:

- ხმაურის ჩახშობის შემუშავებული ღონისძიებათა გეგმით შესრულებული ხმაურის
მონიტორინგის პროცედურას და მონიტორინგის შედეგებს (1-ლი პირობა).
- ავარიულ სიტუაციებში რეაგირების გეგმა (მე-6 პირობა).

ასევე გაცნობებთ რომ ხმაურის გამოკვლევებით განსაზღვრული ღონისძიებები
გატარებულია (დაყენებულია აქტიური მაყუჩი რადიალურ ვენტილატორზე) ხმაურის
გაზომვის შედეგები ადასტურებს ხმაურის არსებულ ნორმებში ყოფნას, ხოლო საწარმოს იმ
უბნებზე სადაც ხდება ხმაურის გადაჭარბება არ წარმოადგენს მომსახურე
პერსონალისათვის მუდმივ სამუშაო ტერიტორიას, ხოლო საჭიროების შემტხვევაში
პერსონალი აღჭურვილია შესაბამისი სმენის დამცავი საშუალებებით. კონტროლს
ახორციელებს შრომის უსაფრთხოების ადგილობრივი სამსახური.

პატივისცემით,

ეკატერინე ვაშაკიძე

HR/H&S დირექტორი

გენერალური დირექტორი
მიხაელ ჰამბელი



შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია
რეგისტრირებულია თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ
2004 წლის 20 მაისს, რეგ. № 36/4-113

საბანკო ანგარიში
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი 220101502
ა/ა 117 481 000
საიდენტიფიკაციო კოდი: 230866435

დანართები:

დანართი-1 კასპის ცემენტის ქარხნის რადიალური ვენტილატორის ხმაურის გამოკვლევების და შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების გეგმა - 36 გვერდად

დანართი 2- ხმაურის კონტროლი ცემენტის და ბეტონის ქარხნებში (პროცედურა) – 9 გვერდად

დანართი 3- ხმაურის მონიტორინგის შედეგები - 2 გვერდად

დანართი 4- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფური სამუშაო პროცედურა (ავარიულ სიტუაციებზე მართვის გეგმა) -7 გვერდად

დანართი 5- რადიალურ ვენტილატორზე აქტიური მაუწყის სურათი

დანართი 5- მაცუჩი რადიალურ ვენტილატორზე



დანართი 7.7

№ HCG/413 10.18 -
საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

შპს ჰაიდელბერგცემენტი ჯორჯია
ალექსანდრე ვაზეგის გამზ. 21
0160, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 474747

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2018 წლის 17 ივლისის #001045 ადმინისტრაციული მიწერილობით (ჩაგვბარდა 2018 წლის 23 ივლისის #HCG/166) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 16 ოქტომბრის #9042/01 წერილით განსაზღვრული ვალდებულებების პასუხად, პირველი პირობის შესასრულებლად წარმოგიდგენთ აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ეფექტურობის მონაცემებს, რომელიც შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარი დადგენილება №21-ით „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების N1 დანართის მიხედვით.

ამავე დროს გაცნობებთ რომ ახალი მშრალი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით ეტაპობრივად ხდება ძველი ხაზის მოწყობილობების გაჩერება და შესაბამისად გაზომვები განხორციელდა იმ მტვერდამჭერი მოწყობილობებისათვის რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს.

პატივისცემით,
გარემოს დაცვის მენეჯერი
გიორგი ჩალაძე



დანართები:

- ვასპის ცემენტის ქარხნის აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ეფექტურობის მონაცემები - 11 გვ.

დანართი 7.8

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

GEORGIA

№ HCG/410 10.18
საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

შპს ჰაიდელბერგცემენტი ჯორჯია
ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 21
0160, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 474747

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2018 წლის 17 ივლისის #001045 ადმინისტრაციული მიწერილობით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 11 ივლისის #5953/01 წერილით (ჩაგვბარდა 2018 წლის 23 ივლისს #HCG/166) განსაზღვრული ვალდებულებების პასუხად, წარმოგიდგენთ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

2018 წლის 11 ივლისის #5953/01 მესამე პუნქტი:

„ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან 3 თვის ვადაში სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს ემისიების მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) შემუშავებული კონკრეტული პროგრამა (მე-3 პირობა)“.

გთხოვთ განიხილოთ თანდართული ემისიების თვითმონიტორინგის გეგმა და შეითანხმოთ.

პატივისცემით,
გარემოს დაცვის მენეჯერი
გიორგი ჩალაძე



დანართები:

- ემისიების თვითმონიტორინგის გეგმა - 3 გვ.



გაეროს ღაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10710/01
01/11/2019

10710-01-2-201911011425



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

მისამართი: თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №21


ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის №HCG/196 7.19 წერილი თანდართული დოკუმენტით, რომელიც ეხება ცემენტის წარმოების პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №2-677 ბრძანებით დამტკიცებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე თანდართული 2009 წლის 9 სექტემბრის №79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პირობის შესრულების მიზნით, საცხოვრებელი ზონის საზღვარზე, საწარმოს სხვადასხვა დატვირთვის რეჟიმში ფუნქციონირების გათვალისწინებით განხორციელებული ატმოსფერული ჰაერის მიწისზედა ფენის მონიტორინგის შედეგების განსახილველად წარმოდგენის საკითხს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გავაჩნია.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე



№ HCG-162 6.20
საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

შპს ჰაიდელბერგცემენტი ჯორჯია
ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 21
0160, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 474747

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2020 წლის 8 აპრილის წერილით (DES 4 20 00022396, ჩაგვარდა 2020 წლის 14 აპრილს) და ადმინისტრაციული მიწერილობა N001610-ით განსაზღვრულ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით ორი პირობის შესასრულებლად გიგზავნით დოკუმენტაციას:

- მე-3 პირობასთან დაკავშირებით (საწარმოს და სამშენებლო მოედნის გენ-გეგმის წარდგენა, რომელზეც მოცემული იქნება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს წყალმომარაგებისა და საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე-ფეკალური წყლების საკანალიზაციო სისტემის სქემა) საწარმოს გენ-გეგმის სქემებს;
- მე-4 პირობასთან დაკავშირებით (სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის თაობაზე, შესაბამის ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების წარდგენა სამინისტროში) სამეურნეო-ფეკალური წყლების გატანაზე ხელშეკრულებას.

დანართები:

- კანალიზაციის ტრასა, გენ-გეგმა , ძველი საწარმო
- კანალიზაციის ტრასის გაგრძელება ნახაზი 1, ძველი საწარმო
- კანალიზაციის ტრასის გაგრძელება ნახაზი 2, ძველი საწარმო
- კანალიზაცია და სანიაღვრე არხი, სრული საწარმო
- სანიაღვრე არხი სალექარის დამატებით
- სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის ხელშეკრულება

გარემოს დაცვის მენეჯერი
გიორგი ჩალაძე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY0112, საქართველო, თბილისი, დ. ალმაჯინაბლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, GeorgiaTEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.geN 21/3136
05/07/2022

3136-21-2-202207051456

მოქალაქე გიორგი ჩალაძეს
მის: ქ.თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. N21
კ/ნ: 01017019078
ტელ: 577771017

ბატონო გიორგი,

თქვენი 2022 წლის 29 ივნისის N 2773 წერილის პასუხად სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ვერ ახორციელებს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების (ამპ) პროგნოზირებას და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ზრდის შესახებ გაფრთხილების შედგენას მოსალოდნელი ამპ-სთვის „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №8 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნული სახის პროგნოზირებისა და შემდგომ ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ზრდის შესახებ გაფრთხილებების შესადგენად აუცილებელია ატმოსფეროს მაღალ ფენებში არსებული მეტეოროლოგიური პირობების ცოდნა, რაც ატმოსფეროს ვერტიკალურ ზონდირებას, ე.წ. აეროლოგიურ დაკვირვებებს საჭიროებს.

საქართველოში აეროლოგიური დაკვირვებები შეწყვეტილია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. აეროლოგიური დაკვირვებების აღდგენა გათვალისწინებულია „მწვანე ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტით - საქართველოში მრავალკომპონენტური სტიქიური მოვლენების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნის შესახებ. სავარაუდოდ, აღნიშნული პროექტის ფარგლებში აეროლოგიური დაკვირვებები აღდგება 2023-2024 წლებში.

ამასთან, აღსანიშნავია რომ სააგენტო მუშაობს ჰაერის ხარისხის მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემის შექმნაზე. ჰაერის ხარისხის პროგნოზირების დანერგვა საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა აქტიურად გადადის ატმოსფერული ჰაერის

ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ევროპულ პრინციპებზე, ახალი რეალობიდან გამომდინარე საჭირო გახდება თავად დადგენილების ცვლილებაც.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო





საქართველოს გაეროს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-677

15/08/2018

ქ. თაილიანი

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი
გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

მიმდინარე წლის 18 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქ. კასპში შპს „საქცემენტი“ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე გაცემულია №79 (09.09.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2015 წელს სახელის ცვლილების გამო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2009 წლის №79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „საქცემენტი“-ს მიერ წარმოდგენილ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 11 სექტემბრის №ი-483 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2009 წლის №79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.


HC 1/185
2.18

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №79; 09.09.2009);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს ყველა პირობის და ვალდებულების შესრულება, რაც გამომდინარეობს აღნიშნული საქმიანობიდან;
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „საქცემენტი“-ს მიერ წარმოდგენილ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 11 სექტემბრის №ი-483 ბრძანება;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი; გ. ვულუას ქ. ტელ: 72 72 60

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 79

09. 09. 09

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება - ცემენტის წარმოება
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი - შ.პ.ს „საქცემენტი“ ქ. თბილისი, წინამძღვრის შვილის №90
3. განხორციელების ადგილი - ქ. კასპი ფარნავაზის ქ. №2
4. განაცხადის შემოხველის თარიღი - 10.08.09
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ - შ.პ.ს „წარმოების ეკოლოგია“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილება

შ.პ.ს „საქცემენტი“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: კასპში, ფარნაგაზის ქ. №2 ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ცემენტის საწარმო მდებარეობს სამრეწველო ზონაში, მოსახლეობიდან დაშორებულია 300 მ. საწარმოო ობიექტს ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი სახლები, ხოლო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით (200-300 მ-ის დაშორებით) – სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან (საწარმოში მანვნივით) ნივთიერებათა გაფრქვევის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროდან – კლინკერის გამოწვის მბრუნავი ღუმელების უდიდესი გაფრქვევის მილიდან) დაშორებულია 300 მ მანძილით.

წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით :

საწარმო მუშაობს წარმოების სველი მეთოდით და უშვებს პორტლანდცემენტს მარკა "400" და მარკა "300". გამოშვებული პროდუქციის წლიური რაოდენობა შეადგენს 761 100 ტონას. ამ რაოდენობის ცემენტის გამოსაშვებად საჭიროა კლინკერის 691200 ტონა. საწარმოში - 3 მბრუნავი ღუმელის ბაზაზე გათვალისწინებულია: სამი ტექნოლოგიური ხაზი. საწარმო საწვავად გამოიყენებს ქვანახშირს, რომლის რაოდენობა წელიწადში შეადგენს 197500 ტონას. ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ადგილობრივი კირქვა და თიხა, ხოლო დანამატებად გამოიყენება თაბაშირი, პემზა, რკინის ნამწვი, ცეოლიტი.

კირქვის მოპოვება ხდება საბადოს ღია წესით. კავთისხევის კირქვის კარიერზე, რომელიც დაშორებულია საწარმოდან 4 კმ-ით, ამ ნედლეულით საწარმოს უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება საბადოს პერიოდული აფეთქება. კირქვის დამუშავება ხდება კარიერზე. კირქვა ექსკავატორით იტვირთება ავტოთვიმცლელელებში, მიიზიდება სამსხერეუ საამქროში, იყრება ყბებიან მსხრევანაში (წარმადობა 250 ტ/სთ) და იმსხერევა. დამსხერეული კირქვა ლენტური ტრანსპორტიორით (ხვიმრის გაყვით) მიეწოდება ჩაქუნებიან მსხრევანას, (2 ცალი, წარმადობა 250 ტ/სთ და 100 ტ/სთ), საიდანაც დამსხერეული კირქვა (30 მმ-მდე ზომით) ლენტური კონვეირით მიეწოდება საპარო-საბარგო გზის მიმდებ ხვიმრებს. აქედან საბარგო გზის საშუალებით კირქვა მიეწოდება ქარხნის ნედლეულის დაფქვის წისქვილებს. (თითოეული 50 ტ/სთ წარმადობით) წისქვილებში ხდება კირქვის დაფქვა თიხის შლამთან ერთად.

თიხის მოპოვება ხდება ღია წესით. ექსკავატორით თიხა იტვირთება ავტოთვიმცლელელებში და მიიზიდება თიხის სათქვეფელასთან (წარმადობა-60ტ/სთ) აქ ხდება თიხის შლამის მომზადება და მისი მიწოდება (შლამის ტუმბოს (წარმადობა-200მ³/სთ) საშუალებით) ნედლეულის საამქროში არსებულ თიხის შლამის შემკრებ აუზში. შემკრები აუზიდან თიხის შლამი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება ნედლეულის დაფქვის წისქვილებს.

ნედლეულის დაფქვის წისქვილებიდან მიღებული შლამი საკონტროლო აუზიდან ტუმბოს საშუალებით გადაიქაჩება ვერტიკალურ შლამ-აუზებში (8 ცალი, თითოეულის ტევადობა 280-320 მ³), სადაც ხდება შლამის მიყვანა დადგენილ მახასიათებლებამდე. გამზადებული შლამი გადაიქაჩება პორიზონტალურ შლამ-აუზებში (2 ცალი, ტევადობა 7000 მ³), სადაც ხდება მისი გაერთგვარონება და გამზადებული შლამი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება ტექნოლოგიურ ხაზებში

ჩართულ - გამოწვის მბრუნავ №1, №2 და №3 ღუმელებს. თითოეული მბრუნავი ღუმელის საპროექტო წარმადობა შეადგენს 30 ტონა კლინკერს საათში. მბრუნავ ღუმელებში ხდება შლამის გამოწვა, რის შედეგადაც მიიღება ნახევარფაბრიკატი - კლინკერი. №1, №2 და №3 მბრუნავი ღუმელების ბაზაზე არსებულ ტექნოლოგიურ ხაზებს შორის მხრლოდ ის განსხვავებაა, რომ №3 მბრუნავი ღუმელიდან მიღებული კლინკერი ჯერ იყრება დანამატების ღია საწყობში, აქედან კლინკერის მიღების შუალედურ ბუნკერში, ხოლო შემდეგ - გალერეის გავლით, იყრება კლინკერის სილოსებში.

დანამატები (თაბაშირი, პემზა) სამსხვრეველაზე (2 ცალი აქედან 1 სარეზერვოა, თითოეულის წარმადობა - 50 ტ/სთ). დამსხვრევის შემდეგ იყრება შუალედურ ბუნკერში, საიდანაც გალერეის გავლით, იყრება დანამატების სილოსებში: (8 ცალი, აქედან თითოეულის ტევადობა თაბაშირისთვის 550 ტ, პემზისათვის - 250 ტ).

კლინკერი და დანამატები, ჯამებიანი მკვებავი ტრანსპორტიორით, ხედება ცემენტის წისქვილებში, რომელთა თითოეულის საპროექტო წარმადობა შეადგენს 50 ტონა ცემენტს საათში. დაფქვილი ცემენტი პნევმოტრანსპორტით გადაიქაჩება ცემენტის სილოსებში, (12 ცალი, საერთო ტევადობა 24 ათ. მ³) საიდანაც ცემენტი იგზავნება მომხმარებლის მისამართით, როგორც შეუფუთავი მასის სახით (ნაყარის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ავტომანქანებით და რკინიგზის ვაგონებით), ასევე შეუფუთული სახით. შეუფუთავი მანქანის წარმადობაა - 100 ტ ცემენტი საათში. მეორე შეუფუთავი მანქანა, იგივე წარმადობით, სარეზერვოა.

პორტლანდცემენტი - სამშენებლო დანიშნულების წვრილმარცლოვანი ფხვნილია, რომელიც მიიღება პორტლანდცემენტის კლინკერის და თაბაშირშემცველი მასალის ერთდროული დაფქვით. ზოგიერთი სამშენებლო-ტექნიკური თვისებების და ეკონომიკურობის გასაუმჯობესებლად, დაფქვის პროცესში დასაშვებია კლინკერთან და თაბაშირთან მინერალური ან სპეციალური დანიშნულების დანამატების შერევა.

პორტლანდცემენტის კლინკერი არის ცემენტის წარმოების ნახევარფაბრიკატი პროდუქტი, რომელიც მიიღება სათანადო რაოდენობის კარბონატ და თიხამიწაშემცველი ერთი, ან რამოდენიმე ნედლეულის ნარევის გამოწვით (შეცხოვამდე) არაუმეტეს 1450 °C-ზე. კლინკერის მინერალოგიური შემადგენლობა განსაზღვრავს მის ძირითად თვისებებს - აქტიურობას, რომელიც 450 ± 600 კგ/სმ² ფარგლებშია.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების მიზნით საწარმოში დამონტაჟებულია შემდეგი სახის მტვერდამჭერი სისტემები:

სახელოებიანი ფილტრები თითოეული ღუმელზე, რომელთა აირმტვერნარევის გამტარუნარიანობა ტოლია 130000 მ³/სთ, მდგრადობა ტემპერატურაზე 242°C, სახელოების რაოდენობა 1440 ცალი, და გამოსავალზე მტვრის კონცენტრაცია 10 მგ/მ³-ში.

№3 ღუმელის კლინკერის გამოწვის ცხელ ბოლოში დამონტაჟებულია ელექტროფილტრი ეფექტურობით 99.6 %.

ნედლეულის საშრობ დოლში დამონტაჟებულია ეფექტური ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს 98 %-იან მტვერდაჭერას.

ცემენტის წისქვილებში დამონტაჟებულია ორსაფეხურიანი მტვერდამჭერი სისტემა: I საფეხური - დამლექი კამერა ეფექტურობით 20%, II საფეხური - სახელოებიანი ფილტრი, ეფექტურობით 99.9 %.



ცემენტის რკინიგზის ვაგონებში გადატვირთვისას მტვერგამოყოფის შემცირების მიზნით დამონტაჟებულია ნაჭრის ფილტრები 99.5 %-ის ეფექტურობით;

ცემენტის ცემენტშიდებში გადატვირთვისას მტვერგამოყოფის შემცირების მიზნით ასევე დამონტაჟებულია ნაჭრის ფილტრები 99.5 %-ის ეფექტურობით;

ცემენტის დაფასოების დანადგარისათვის დამონტაჟებულია სახელოებიანი ფილტრები, რომელიც უზრუნველყოფს 99.99 %-იან მტვერდაჭერას.

ქვანახშირის დამუშავების ყველა საფეხურზე დამონტაჟებულია სახელოებიანი ფილტრები;

ქვანახშირის პირველადი მსხვრევისას სახელოებიან ფილტრში შემავალი აირმტვერნარევის კონცენტრაცია ტოლია 200 გ/მ³-ში, ხოლო გამოშავალი 50 მგ/მ³-ში;

ქვანახშირის მეორადი მსხვრევისას სახელოებიან ფილტრში შემავალი აირმტვერნარევის კონცენტრაცია ტოლია 200 გ/მ³-ში, ხოლო გამოშავალი 50 მგ/მ³-ში;

პულველიზებული ნახშირის დამზადებისას (პირველი საფეხური) სახელოებიან ფილტრში შემავალი აირმტვერნარევის კონცენტრაცია ტოლია 800 გ/მ³-ში, ხოლო გამოშავალი 50 მგ/მ³-ში;

პულველიზებული ნახშირის დამზადებისას (მეორე საფეხური) სახელოებიან ფილტრში შემავალი აირმტვერნარევის კონცენტრაცია ტოლია 200 გ/მ³-ში, ხოლო გამოშავალი 50 მგ/მ³-ში;

პულველიზებული ნახშირის დამზადებისას (მესამე საფეხური) სახელოებიან ფილტრში შემავალი აირმტვერნარევის კონცენტრაცია ტოლია 200 გ/მ³-ში, ხოლო გამოშავალი 50მგ/მ³

საწარმოს მტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობაზე კონტროლი განხორციელდება ყოველთვიურად. ხოლო რაიმე ავარიის შემთხვევაში მოხდება საწარმოს გაჩერება და ყველა მტვერდამჭერი მოწყობილობის დეტალური შემოწმება-რემონტი.

ობიექტზე მოსალოდნელია შემდეგი სახის ნარჩენების წარმოქმნა: სამრეწველო ნარჩენები (სამშენებლო, საწარმოო) და საყოფაცხოვრებო ნარჩენები ;

საწარმოო ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები მტვერის სახით, რომლის დაჭერა ხორციელდება მტვერდამჭერ სისტემებში. ეს ნარჩენები ნედლეულის სახით უბრუნდება საწარმოს კვლავწარმოებაში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილ იქნება ქალაქის კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. მათი რაოდენობა დღე-ღამეში მოსალოდნელია მაქსიმუმ 0.5 მ³-ის ოდენობით, წლიური რაოდენობა 183 მ³-ის ოდენობით.

საწარმოში საბურავების, რეზინის ნაკეთობების და სხვა ელასტომერების ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მოხდება მათი შეგროვება, დროებითი განთავსება და შემდგომ ისინი შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა გარემოზე ზემოქმედების ნებაართვის მქონე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნული მეორადი პროდუქტების გადამუშავებით ასღენენ ნავთობპროდუქტების რეგენერირებას სამომხმარებლო მასალებად.

საწარმოში ასევე მოსალოდნელია ელექტროძალოვან ტრანსფორმატორში ნამუშევარი ზეთების გამოცვლისას, საწარმოს კუთვნილი ავტოტრანსპორტის, მომუშავე ტექნიკის ზეთის შეცვლისას ნამუშევარი ზეთების წარმოქმნა. ნამუშევარი ზეთების შეგროვება ხორციელდება ლითონის ან პლასტმასის თავსახურიან კასრებში და ინახება ისინი მათთვის სპეციალურად გამოყოფილ დახურულ

შენობაში. შემდგომში ისინი გადამუშავება-რეგენერაციის მიზნით შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე სათანადო ორგანიზაციას.

ცელოვნის, პლასტიკური მასალების ნაკეთობათა და სხვა შესაფუთი მასალების ნარჩენები მეორადი ჯადამუშავეების მიზნით გადაეცემათ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე შესაბამის ორგანიზაციებს ან მათი გატანა მოხდება როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

ხმარებისათვის უვარგისი აკუმულატორები ასევე მეორადი გადამუშავების მიზნით გადაეცემათ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე შესაბამის ორგანიზაციებს.

მეტალის (როგორც სამშენებლო ნარჩენის) ნარჩენების რეალიზება მოხდება ჯართისა და ფერადი მეტალების მიმღებ პუნქტებში.

ხის მასალების (როგორც სამშენებლო ნარჩენის) რეალიზება მოხდება ადგილობრივ მოსახლეობაზე.

სხვა ინერტული ნარჩენების (ისეთი სამშენებლო ნარჩენების, როგორიცაა აგურისა და ბლოკის ნამსხვრევები და მტვერი) რეალიზება მოხდება იმ საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებს, მათი რეალიზების ალტერნატიულ გზად ასევე მიჩნეულია საგზაო-სამშენებლო საწარმოები.

საწარმოო ობიექტისაგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმატივებს ახლომდებარე მოსახლეობისათვის (300 მეტრი) ხმისდამხშობი ღონისძიებების გატარების შემდეგ. საწარმო ფუნქციონირების პერიოდში პერიოდულად მოახდენს მონიტორინგს ხმაურზე.

საწარმოს მუშა-მოსამსახურეები აღჭურვილნი არიან სპეც. ტანსაცმელითა და საჭიროების შემთხვევაში მტერისა და ხმაურის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

საწარმოში გამოიყენება 16 425 მ³ სასმელი და 530 374,4 მ³ ტექნიკური წყალი. სასმელი წყალი საწარმოს მიეწოდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო ტექნიკური წყალი მდ. მტკვრიდან სატუმბი სადგურის მეშვეობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია საწარმოს განთავსების ტერიტორიის, კერძოდ: გეოლოგიური და გეომორფოლოგიური მახასიათებლები; კლიმატი და მეტეოროლოგიური პარამეტრები; ჰიდროლოგიური რესურსების დახასიათება; ფლორა და ფაუნა; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის ანალიზი; ხმაური და რადიაციული ფონის დახასიათება.

ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში განხილულია ზემოქმედებები საფუძველად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.



III. პირობები

1. საწარმოს ხელმძღვანელობამ 2 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს მტვერდამჭერი მოწყობილობის და ვენტსისტემების გამართვა-პასპორტიზაციის ტექნიკური ანგარიში, მტვერდამჭერი მოწყობილობის ფაქტიური ეფექტურობის მონაცემებით.
2. საწარმოს ხელმძღვანელობამ 2 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს ხმაურის ჩახშობის შემუშავებული ღონისძიებათა გეგმით შესრულებული ხმაურის მონიტორინგის ტექნიკური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია.
3. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 3 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს ემისიების მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) შემუშავებული კონკრეტული პროგრამა და შესრულებული მონიტორინგის შედეგები.
4. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 3 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განსახილველად წარმოადგენილი იქნას საცხოვრებელი ზონის საზღვარზე, ატმოსფერული ჰაერის მიწისზედა ფენის მონიტორინგის შედეგები, საწარმოს სხვადასხვა დატვირთვის რეჟიმში ფუნქციონირების გათვალისწინებით.
5. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს და შესათახმებლად წარმოადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც დეტალურად იქნება განხილული საქმიანობის დროს წარმოქმნილი ყველა ის რისკ-ფაქტორები რაც დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან.
6. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს და შესათახმებლად წარმოადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და ობიექტი ალიტურგოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით.
7. საწარმოს ხელმძღვანელობამ განახორციელოს სისტემატური კონტროლი (ექსპლუატაციით გათვალისწინებულ ვადებში) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებიზე.
8. საწარმოს ხელმძღვანელობამ პერიოდული შემოწმება უნდა განახორციელოს ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობაზე, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი ზღვ-ს ნორმატივების პროექტის მიხედვით.
9. ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს მომსახურე პერსონალი რესპირატორებითა და ხმაურისაგან დამცავი საშუალებებით.
10. საწარმოს ხელმძღვანელობამ უახლოეს პერიოდში შემოფარგლოს ტერიტორია ორ ღონეზე მარადმწვანე მცენარეებით.

IV. დასკვნა


შ.პ.ს „საქცემენტი“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ქ. კასპში ფარნაგაზის ქ. №2 ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჭახნაკია

(სახელი, გვარი)



(ხელმოწერა)





საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-654

09/08/2018

ქ. თაიფლი

**შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი
გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

მიმდინარე წლის 18 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ქ. კასპში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №32 (10.05.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2017 წლის №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.


ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. კასპში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის წარმოებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 მაისის №ი-244 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2017 წლის №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №32; 10.05.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს ყველა პირობის და ვალდებულების შესრულება, რაც გამომდინარეობს აღნიშნული საქმიანობიდან;
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. კასპში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის წარმოებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 მაისის №ი-244 ბრძანება;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



საქართველოს საგარეო და გარემოსდაცვითი უწყობის
დაზღვევის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 32

10 მაისი 2017 წ.

I საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ცემენტის წარმოება.
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“. ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გიგა ლორთქიფანიძის ქ. #4.
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ქ. კასპი, ფარნავაზის ქ. #2.
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 26.04.2017 წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „გრინტექი“.

II ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. კასპში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. საპროექტო ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და წარმოადგენს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს საკუთრებას, რაც დასტურდება საქარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდი #67.01.51.048).

გზმ-ს ანგარიშის თანახმად

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საქმიანობის მიზანია, კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე, ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

დღეის მდგომარეობით, ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ქარხანაში განთავსებულია 3 კლინკერის გამოსაწვავი ღუმელი და დღეში აწარმოებს დაახლოებით 2300 ტონა კლინკერს. ქარხანაში ნედლეულის წარმოება მიმდინარეობს სველი დამუშავების მეთოდით, რომელიც ტექნოლოგიურად მოძველებულია. გარდა ამისა ქარხანა საკმაოდ დიდი რაოდენობით საწვავს მოიხმარს, რაც გაუმართლებელია როგორც ეკონომიკურად, ისე ეკოლოგიურად. აღნიშნული საკითხის გადაჭრის მიზნით, საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება დანერგოს კლინკერის წარმოების მშრალი მეთოდი, რაც საჭიროებს ახალი ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობას, რომელიც ექსპლუატაციაში გასვლის შემდეგ ჩაანაცვლებს არსებულ ტექნოლოგიას.

პროექტით გათვალისწინებულია 5 ერთეული ნედლეულის წისქვილის, ნედლეულის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ავზების და 3 ცალი კლინკერის წარმოების მზრუნავი ღუმელის ჩანაცვლება 1 ცალი ვერტიკალური ნედლეულის წისქვილით, ნედლეულის ფქვილის სილოსით და 1 ცალი მზრუნავი ღუმელით.

ახალი ტექნოლოგია ჩაანაცვლებს მხოლოდ ნედლეულის მომზადებისა (კირქვის დამუშავება) და კლინკერის წარმოების ძველ ტექნოლოგიას, ხოლო ცემენტის წარმოების ტექნოლოგიური ხაზი დარჩება არსებული მდგომარეობით. ახალი ქარხნის წარმადობა იქნება დღეში 3000 ტონა კლინკერის წარმოება. ძველი და ახალი ნედლეულის მომზადებისა და კლინკერის წარმოების ტექნოლოგიური ხაზების ერთდროული მუშაობა არ არის დაგეგმილი და არც არის ტექნიკურად შესაძლებელი.

ვინაიდან, საქმიანობის მიზანია საწარმოში კლინკერის წარმოების არსებული ტექნოლოგიური ხაზის ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიით ჩანაცვლება, ამიტომ ტექნოლოგიის და საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მოხდა და გზმ-ს ანგარიშში მოცემულია მხოლოდ არაქმედების ალტერნატივა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. კასპში, არსებული ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე, სადაც შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ზოგიერთი ნაგებობების სახით არის წარმოდგენილი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის დიდ ნაწილზე დასაწყობებულია კლინკერი. ტერიტორია თავისუფალია მოსახლეობისაგან და წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულს, სადაც არ გვხვდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მცენარეულობა და ფაუნა. შესაბამისად, ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. საპროექტო ტერიტორიის გავლენის ზონაში დაცული ტერიტორიები განთავსებული არ არის.

წარმოდგენილი სიტუაციური რუკის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ერთ-ერთი წყაროდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 100 მეტრში, ტერიტორია მდ. ლეხურადან დაშორებულია 390 მ-ით.

ტერიტორიაზე ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე საკვლევ უბანზე გამოიყო 9 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი. ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესები არ შეინიშნება და გავრცელებული გრუნტის წყალი ქიმიური შედგენილობის მიხედვით არ ავლენს არანაირ აგრესიულობას ბეტონის მიმართ. ამასთან, გეოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ტექტონიკური ხარვეზები არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ახალი ტექნოლოგიური ხაზის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 2 წელი. მშენებლობის ფაზაზე დასაქმებული იქნება 495 ადამიანი. პროექტი ასევე ითვალისწინებს მათი საცხოვრებელი უზრუნველყოფას და სამუშაო მოედნის მიმდებარედ განთავსდება მუშათა ბანაკი 495 კაცზე.

სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ავტოსამრეცხაო, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი, საწვავის სამარაგო რეზერვუარები და სხვა გარემოს პოტენციური დამაბინძურებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა არ არის გათვალისწინებული. მდინარის სიახლოვეს არ მოხდება სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

მშენებლობის ეტაპზე იგეგმება არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია, ახალი ტექნოლოგიური ხაზისა და დამხმარე ნაგებობების აგება. მშენებლობის პერიოდში ბეტონის კვანძების, დიზელ-გენერატორების და ა.შ. დამონტაჟება და ექსპლუატაცია არ არის დაგეგმილი, სამშენებლო მოედანზე ბეტონი შემოვა კონტრაქტორებისგან, მათი სატრანსპორტო საშუალებებით. ასევე კონტრაქტორების მეშვეობით მოხდება ამწე მანქანების და თვითმცლელეების ექსპლუატაცია.

საწარმოში არსებული ტექნოლოგიური ხაზების ჩანაცვლება მოხდება მხოლოდ ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, ანუ მას შემდეგ რაც სრულად დასრულდება ახალი ხაზის მშენებლობა.

პროექტის მიხედვით დაგეგმილია საწარმოს ორ ფუნქციონალურ ზონად გაყოფა. კერძოდ, ნედლეულის შესანახი ზონად და ცემენტის კლინკერის წარმოების ზონად.

ნედლეულის შესანახი ზონიდან ნედლეულის ტრანსპორტირება კლინკერის წარმოების ზონამდე მოხდება ლენტური კონვეიერის საშუალებით.

საწარმოში ტექნოლოგიური ციკლი იწყება კარიერზე მოპოვებული კირქვის ქარხანაში მიწოდებით. კირქვის ქარხანაში ტრანსპორტირება განხორციელდება ავტოთვითმძღველებით. ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება ახალი მშენებარე საავტომობილო გზა. ქარხანაში შემოტანილი კირქვა განთავსდება კირქვის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ფირფიტებიანი მკვებავის საშუალებით მიეწოდება კირქვის სამსხვრეველას, რომლის წარმადობაა 500 ტ/სთ.

სამსხვრეველადან დამსხვრეული კირქვა, ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით გადავა ნედლეულის დოზირების კვანძში განთავსებულ კირქვის სილოსებში. სამსხვრეველა და ლენტური კონვეიერის გადაყრის ყველა წერტილი აღჭურვილია სახელოებიანი ფილტრებით.

ნედლეულის დოზირების კვანძი შედგება ორი კირქვის სილოსისაგან და 2 ცალი ხვიმირასაგან, რომელშიც განთავსებული იქნება რკინის ნამწვი და ქვიშა. სილოსები და ხვიმირები აღჭურვილია ლენტური და ფირფიტებიანი დოზატორებით, რომელთა საშუალებითაც ხდება ნედლეულის კაზმის პროპორციის დაცვა.

ნედლეულის დოზირების უბანზე მომზადებული ნედლეულის კაზმი, დოზატორებიდან შემკრები ლენტური კონვეიერის საშუალებით მიეწოდება ნედლეულის ვერტიკალურ წისქვილს. ვერტიკალური წისქვილის დაცვის მიზნით შემკრებ ლენტურ კონვეიერის დამონტაჟებული იქნება მაგნიტური სეპარატორი. ვერტიკალური წისქვილი, ანუ ნედლეულის დაფქვის სისტემა მოიცავს გარე ცირკულირების სისტემას, რომელიც სათბობად გამოიყენებს კლინკერის ღუმელის წინაგამახურებელისა და კლინკერის მაცივრის ნამწვ აირებს როგორც სითბოს წყაროს.

ნედლეულის ფქვილი იფქვება და შრება ვერტიკალურ წისქვილში. როგორც ავლნიშნეთ, წისქვილში, ნედლეულის გასაშრობად გამოიყენება წინა გამახურებელის სისტემიდან და ღუმელის მაცივრიდან გამოსული ნამწვი აირები. ცხელი აირი წისქვილიდან წარიტაცებს დაფქვილ მასალას, რომელიც ვერტიკალურ წისქვილში განცალკევდება სეპარატორის საშუალებით. ხარისხიანი წმინდა ფქვილი წისქვილიდან გამოვა ცხელი აირის მეშვეობით. ხოლო მსხვილი ფრაქცია დაბრუნდება წისქვილში.

ვერტიკალური წისქვილის მაღალი სიმკვრივის მტვრიანი აირი გადაიგზავნება ციკლონებში და სახელოებიან ფილტრებში. ციკლონებში და სახელოებიან ფილტრებში შეგროვილი მტვერი ტრანსპორტირდება ჰომოგენიზაციის სილოსში აერო ჟოლობებით, ჯაჭვური კონვეიერებითა და ციცხვიანი ელევატორით. წისქვილიდან გამოსული ნამწვი აირის ნაწილი ბრუნდება უკან წისქვილში და ნაწილი გამოიყოფა გარემოში აირის გამწმენდი სისტემის მეშვეობით.

ნედლეულის ფქვილი, ჰომოგენიზაციის სილოსიდან მიეწოდება მბრუნავი ღუმელის წინაგამახურებელს პირველ და მეორე საფეხურებს შორის არსებული სადინარიდან. მიწოდება ხდება აერო ჟოლობების, ელევატორისა და როტაციული

მკვებავის საშუალებით. მიწოდების რეგულირება ხდება ელექტრული ნაკადის მზომითა და ავტომატური სარქველის მეშვეობით

მბრუნავი ღუმელი აღჭურვილია ხუთსაფეხურიანი წინაგამახურებელით. მისი დიამეტრი იქნება 4.3 მ, ხოლო სიგრძე 62 მ. ღუმელში საწვავად გამოყენებული იქნება ნახშირი. ღუმელი აღჭურვილია კლინკერის გაციების სისტემით, მაცივრით. აღნიშნული მაცივარი გაუმჯობესებულია, კერძოდ, გაზრდილია კლინკერის გაცივების ეფექტურობა, ცხელი აირის გამოყენების შესაძლებლობა, კლინკერის შეცხოების პრევენცია.

ნედლეულის წარმოების ბოლო საფეხურზე კლინკერი, კლინკერის მაცივრიდან მიეწოდება არსებულ კლინკერის სილოსებს ციციხეებიანი კონვეიერის მეშვეობით. ასევე გათვალისწინებულია ლენტური კონვეიერის მონტაჟი კლინკერის სილოსებიდან არსებულ კლინკერის ღია საწყობამდე.

იმ შემთხვევაში, თუ ნედლეულის დაფქვის სისტემა გაჩერებულია ხოლო კლინკერის გამოწვის სისტემა მუშაობს, ნამწვი აირები ციციხეები კონდენსაციის კომპურაში და სახელოებიან ფილტრში გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში საკვამლე მილიდან.

საწარმოში ნახშირისა და პეტკოქსის დასაფქვავად გამოყენებული იქნება არსებული ნახშირის დაფქვის ტექნოლოგიური ხაზი. არსებული წისქვილიდან, ნახშირის მტვერი/პეტკოქსი პნევმო ტრანსპორტის მეშვეობით გადაეწოდება 120 ტონა მოცულობის 2 ცალ ნახშირის შუალედურ სილოსს რომელთაგან ერთი გათვალისწინებულია ღუმელისთვის, ხოლო მეორე წინაკალცინატორისთვის.

მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება, ასევე ჩამდინარე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვა განხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიის კასპის სერვისცენტრის მიერ.

მშენებლობის ეტაპზე ტექნოლოგიურ წყალმომარაგებას და შესაბამისად, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ამ ეტაპზე ტექნოლოგიურ პროცესებში წყალი გამოყენებული იქნება მბრუნავი ღუმელის გამაგრილებელ სისტემაში და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგება განხორციელდება ქარხანაში არსებული ტექნიკური წყალმომარაგების სისტემიდან.

წყლის რესურსების მოხმარების შემცირებისა და წყლის რაციონალური გამოყენების დანერგვის მიზნით გათვალისწინებულია გამაგრილებელი წყლის რეცირკულაციის სისტემის მოწყობა (საბრუნეო წყალმომარაგების სისტემა), კერძოდ, გამაგრილებელი წყლებისთვის მოეწყობა ორი ავზი (თითოეული 250 მ³ ტევადობის) საიდანაც გამაგრილებელი წყალი მიეწოდება მოწყობილობების გაგრილების სისტემას. ხოლო გაგრილების სისტემიდან გამოსული ცხელი წყალი შხეფსაცივარის გავლის შემდეგ ბრუნდება უკან ავზებში.

პროექტის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია ტექნოლოგიური ხაზის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების

არინების და გაწმენდის სისტემის მოწყობა. გაწმენდილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია მდ. ლეხურაში, შესართავიდან 950 მეტრში, სანიაღვრე ჩამდინარე წყლების შეწონილი ნაწილაკებისაგან გაწმენდისათვის, ობიექტზე გათვალისწინებულია ჰორიზონტალური სალექარის მშენებლობა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შემუშავებულია და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არის შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტში „ჩამდინარე წყლებთან ერთდ ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები“.

ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობის ფაზაზე წარმოქმნილი ნარჩენებიდან, როდენობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება საძირკვლის მომზადების დროს ამოღებული ინერტული მასალები და გრუნტი. ასეთი ნარჩენების განთავსება მოხდება სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოყოფილ ფართობებზე. ინერტული მასალის დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება სამშენებლო სამუშაოებისათვის, ხოლო ამისათვის უვარგისი გრუნტი გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსაშენდაკებლად.

მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება მათთვის განკუთვნილ დახურულ კონტეინერებში და გატანა მოხდება ქ. კასპის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე მოეწყობა სპეციალური კონტეინერული ტიპის სათავსი. სახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების საშუალებით.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას ადგილი ექნება როგორც სამშენებლო სამუშაოების დროს, ისე ცემენტის წარმოებისას. გარდა ამისა, მშენებლობის ეტაპზე, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად, ექსპლუატაციაში იქნება არსებული ცემენტის ქარხანა. შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხი შეფასებულია ორივე დამაბინძურებელი ფაქტორის გათვალისწინებით.

დოკუმენტებში შეფასებულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, კერძოდ, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები და განსაზღვრულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები.

ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა არაორგანული (ცემენტის) მტვერი (SiO_2 70-20%), არაორგანული მტვერი (SiO_2 20%-მდე), აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, რკინის ოქსიდი, კადმიუმი, სპილენძი, ნიკელი, ვერცხლისწყალი, ტყვია, ქრომი, თუთია, დარიშხანი, სელენი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებაში მოყვანილი საანგარიშო მეთოდიკის შესაბამისად განხორციელებული მავნე

ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია (ზდკ) არ აჭარბებს ნორმით დადგენილ შესაბამის მნიშვნელობებს ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (100 მ), ამიტომ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

წინასწარი შეფასებით, ახალი ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობის ეტაპზე ფონურ ხმაურზე მოსალოდნელი იქნება ზემოქმედება. რაც შეეხება ექსპლუატაციას, ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ტექნოლოგიური ხაზის დანადგარ-მოწყობილობების ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ხმაურის დონე არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ ხმაურის დონეს. აქვე გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ საწარმოო ზონა შემოღობილია კედლით, რაც წარმოადგენს დამცავ ეკრანს, ხოლო ტექნოლოგიური დანადგარები, რომლებიც წარმოქმნიან ხმაურს, მეტწილად განლაგებული არიან შენობებში, რაც ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ზემოქმედებას კიდევ უფრო შეამცირებს. მშენებლობის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების დონეების შემცირების მიზნით, ხმაურიანი სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულება:

1. მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შემარბილებელი ღონისძიებებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.
2. მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
3. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საწარმოსა და სამშენებლო მოედნის გენ-გეგმის წარმოდგენა, რომელზეც მოცემული იქნება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს წყალმომარაგებისა და საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური წყლების საკანალიზაციო სისტემის სქემა.
4. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის თაობაზე, შესაბამის ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების წარმოდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.
5. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტში „ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტით“ წარმოდგენილი ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა.
6. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონეების და ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის მონიტორინგის კონკრეტული გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა, მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობის, მეთოდების და საკონტროლო წერტილების GIS კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.
7. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის კონცენტრაციების, ასევე ხმაურის დონეების გადაჭარბების შემთხვევაში, განსაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები და წარმოადგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

9. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე ცემენტშიდების მტვრისგან გათავისუფლება და საწარმოდან დასახლებულ პუნქტებში მათი სუფთა მდგომარეობაში გამოსვლა. ამასთან, აღნიშნული ღონისძიების შესრულებაზე დააწესოს სისტემატური მონიტორინგი.
10. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
11. ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის გამწვანება გზმ-ხანგარში შესაბამისად.
12. არსებული ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟის შემთხვევაში, ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს არსებული ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟის პროექტის მომზადება და განსახილველად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა.
13. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში, დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

IV. დასკვნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი ე. კასპში შპს „პაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ცემენტის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე

(სახელმძღვანელო)



ბ.ა.



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინრო

N 406/01
14/01/2019

406-01-2-201901141145



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს

ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 21
0160, ქ. თბილისი, საქართველო

თქვენი 2019 წლის 4 იანვრის № 61 წერილის საფუძველზე გიგზავნით ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე (კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 იანვრის N 2-27 ბრძანებას.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“
№ HC/14
- 17 01 2019წ.
კანცელარია



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-27

14/01/2019

ქ. თბილისი

ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე (კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად წარმოდგენილია ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება) სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ ტერიტორია მდებარეობს ქალაქ კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს კუთვნილ ტერიტორიას (საკადასტრო კოდი №67.01.51.048). უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე დაშორება შეადგენს 300 მეტრს.

სამინისტროს მიერ ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე 2009 წლის 9 სექტემბერს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79 (კლინკერის წარმოების ძველ ტექნოლოგიურ ხაზზე (სველი მეთოდი)), რომლის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-677; 15.08.2018, აღნიშნულ საქმიანობაზე გაცემულია აგრეთვე 2017 წლის 10 მაისის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32 (კლინკერის წარმოების ახალ ტექნოლოგიურ ხაზზე (მშრალი მეთოდი)) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-654; 09.08.2018.

2017 წლის 10 მაისის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32-ის და 2018 წლის 9 აგვისტოს გაცემული №2-654 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, ახალი საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო №79 დასკვნით გათვალისწინებული ძველი ქარხნის (კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზი (სველი მეთოდი)) დემონტაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპლუატაციის პირობების შეცვლა მდგომარეობს შემდეგში: კლინკერის წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციის

პროცესში, საწარმო იმუშავებს იმ ტექნოლოგიით, რომელზეც გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32 (10.05.2017) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-654 ბრძანება (09.08.2018), ხოლო 2009 წლის 9 სექტემბრის N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული კლინკერის წარმოების ძველი ხაზის დემონტაჟი არ განხორციელდება, კერძოდ ძველ ხაზში შენარჩუნდება N1 და N2 ღუმელები სარეზერვოდ, რაც შეეხება N3 ღუმელს მოხდება მისი კონსერვაცია (დემონტაჟი არ არის გათვალისწინებული).

სარეზერვოდ შესანარჩუნებელი კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზი, როგორც უკვე აღინიშნა შედგება N1 და N2 ღუმელისაგან, ერთი ღუმელის წარმადობა 30 დღეში იქნება 21960 ტ. კლინკერი, ორივე ღუმელის ჯამში - 43920 ტონა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად ძველი და ახალი ნედლეულის მომზადებისა და კლინკერის წარმოების ტექნოლოგიური ხაზების ერთდროულად მუშაობა არ არის დაგეგმილი. ძველი კლინკერის ხაზმა (№2 და № 1 ღუმელები) წელიწადში შეიძლება იმუშაოს არაუმეტეს 30 დღე, მხოლოდ კლინკერის წარმოების ახალი ხაზის ღუმელის სარემონტო სამუშაოების ან ავარიული გაჩერების შემთხვევაში.

პროექტში შეტანილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება საწარმოს შიდა ტერიტორიაზე ხორციელდება, აღნიშნულის სპეციფიკიდან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ ცვლილებებს.

აღნიშნულ საქმიანობაში ექსპლუატაციის პირობების შეცვლა გარემოზე ზემოქმედების მაღალ რისკებთან დაკავშირებული არ იქნება.

გამომდინარე იქიდან, რომ სარეზერვოდ განკუთვნილი კლინკერის წარმოების ძველი ხაზი საწარმოს შიდა ტერიტორიაზეა და იგი გამოყენებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ სარეზერვოდ და არ იფუნქციონირებს კლინკერის წარმოების ახალ ხაზთან ერთად, დამატებითი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სარეზერვოდ განკუთვნილი კლინკერის წარმოების ძველი ხაზი, როგორც უკვე აღინიშნა განლაგებულია საწარმოს ზონაში და გამოიყენება მხოლოდ კლინკერის წარმოების ახალი ხაზის ღუმელის სარემონტო სამუშაოების ან ავარიული გაჩერების შემთხვევაში, შესაბამისად კლინკერის ძველი ხაზის სარეზერვოდ გამოყენება დაკავშირებული არ იქნება გარემოს დაბინძურებისა და ხმაურის ზრდასთან.

პროექტში შეტანილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს კლინკერის წარმოების ძველი ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნებას არ არის დაკავშირებული ახალი ტერიტორიების ათვისებასთან ან სხვა ბუნებრივი რესურსების დამატებით გამოყენებასთან

ნარჩენების წარმოქმნის თვალსაზრისით კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება არ გამოიწვევს ნარჩენების რაოდენობის ზრდას.

სარეზერვოდ განკუთვნილი კლინკერის წარმოების ძველი ხაზის განლაგებიდან და გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე ზემოქმედების ზრდა მოსალოდნელი არ იქნება.

კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკების ზრდასთან არ არის დაკავშირებული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, როგორც საქმიანობის განმახორციელებელი სკრინინგის ანგარიშში აღნიშნავს ნედლეულის მომზადებისა და კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზი შენარჩუნდება არსებული პირობებით და ვალდებულებებით.

ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუ უზრუნველყოფილი იქნება სამინისტროს მიერ ცემენტის წარმოებაზე გაცემული №2-677; 15.08.2018 (2009 წლის 9 სექტემბრის №79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) და №2-654; 09.08.2018 (2017 წლის 10 მაისის №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების პირობების დაცვა.


ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა (კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს სამინისტროს მიერ 2018 წლის 15 აგვისტოს №2-677 (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79; 09.09.2009) და 2018 წლის 9 აგვისტოს №2-654 (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32; 05.10.2017) ბრძანებებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია არ განახორციელოს კლინკერის წარმოების ძველი და ახალი ტექნოლოგიური ხაზის ერთდროულად მუშაობა;
4. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. კასპის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4065/01
24/04/2020

4065-01-2-202004241250



ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიას
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N21

გიგზავნით „ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 აპრილის № 2-352 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების ქ. კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

დანართი: 15 (თხუთმეტი) ფურცელი

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე





საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-352

23/04/2020

ქ. თაიფლიანი

ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილია ქ. კასპში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა N2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე 2009 წლის 9 სექტემბერს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N79 (კლინკერის წარმოების ძველ ტექნოლოგიურ ხაზზე (სველი მეთოდი), რომლის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N2-677; 15.08.2018). შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ, კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე, ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, 2017 წლის 10 მაისს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N32. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 9 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-654 ბრძანებით შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ამასთან, 2019 წლის 14 იანვარს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-27 ბრძანებით შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ აღნიშნული ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, კერძოდ კი კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება, რის შედეგადაც, აღნიშნული საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საქმიანობის განხორციელების ტერიტორია მდებარეობს ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. N2-ში (ს/კ 67.01.51.048). ტერიტორია წარმოადგენს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწის ნაკვეთს. აღნიშნულ საქმიანობაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (N32; 10.05.2017) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის უახლოესი წყაროდან მოსახლეობა დაცილებულია 100 მეტრით, ხოლო მდ. ლეხურა საწარმოო ტერიტორიიდან 390 მეტრში მდებარეობს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ დაგეგმილი აქვს კასპის ცემენტის ქარხანაში გაზარდოს წარმოებული პროდუქციის, კერძოდ ცემენტისა და კლინკერის წლიური წარმადობა. ამასთან, კომპანიას დაგეგმილი აქვს ძველი ხაზის კლინკერის N 3 ღუმელის დემონტაჟი, რომელიც წარმოებაში არ გამოიყენება და N 1 და N 2 ღუმელების მსგავსად არც სარეზერვოდ არის დატოვებული. 2019 წლის 14 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-27 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიას გათვალისწინებული ჰქონდა კლინკერის N3 ღუმელის კონსერვაცია და არა მისი დემონტაჟი.

ქ. კასპში არსებული კლინკერის საწარმო ამჟამად მუშაობს წელიწადში 315 დღე, დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში. მისი მაქსიმალური დღე-ღამური წარმადობაა 3000 ტონა, ხოლო წლიური 945 000 ტონა კლინკერი. საწარმოში ცემენტის წარმოების მიზნით, წელიწადში 330 დღის განმავლობაში, დღე-ღამეში 24 საათიანი რეჟიმით მუშაობს 4 წისქვილი, რომლის წარმადობა შეადგენს 815 337 ტონა ცემენტს წელიწადში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი ცვლილება არ ითვალისწინებს წარმოებისთვის განკუთვნილი ახალი დანადგარების მონტაჟს, რადგან არსებულ ტექნოლოგიურ ხაზს აქვს უფრო მეტი პროდუქციის წარმოების რესურსი. საწარმოში წარმადობის ცვლილება უკავშირდება სამუშაო დღეების გაზრდას.

სკრინინგის განცხადებიდან ირკვევა, რომ დაგეგმილი ცვლილების შედეგად, კლინკერის საწარმო იმუშავებს წელიწადში 330 დღე, დღე-ღამეში 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოს მაქსიმალური წარმადობა იქნება დღეში 3610 ტონა, ხოლო წელიწადში 1 191 300 ტონა კლინკერი. რაც შეეხება ცემენტის წარმოებას, საწარმოში არსებული 4 წისქვილი დაგეგმილი ცვლილების შემდგომ იმუშავებს წელიწადში 360 დღე, დღე-ღამეში 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ცემენტის მაქსიმალური წლიური წარმადობა იქნება 900 000 ტონა.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით ირკვევა, რომ დაგეგმილი ცვლილება არ ითვალისწინებს ცვლილებებს ტექნოლოგიურ პროცესში. დღეის მდგომარეობით არსებულ საწარმოში განთავსებულია შემდეგი ტექნოლოგიური ელემენტები: ოთხი მილისებურ, ბირთვებიან ნედლეულის წისქვილი, ნედლეულის ფქვილის სილოსი და ერთ მბრუნავი ღუმეის.

საწარმო გაყოფილია ორ ფუნქციონალურ ზონად, კერძოდ, ნედლეულის შესანახ ზონად და ცემენტის კლინკერის წარმოების ზონად. ნედლეულის შესანახი ზონიდან ნედლეულის ტრანსპორტირება კლინკერის წარმოების ზონამდე ხდება ლენტური კონვეიერის საშუალებით.

მბრუნავი ღუმელი აღჭურვილია ხუთსაფეხურიანი წინაგამახურებელით. მისი დიამეტრია 4.3 მ, ხოლო სიგრძე 62 მ. ღუმელში საწვავად გამოიყენება ქვანახშირი. (წარმოებისთვის საჭირო ნახშირის მაქსიმალური წლიური ოდენობაა 156 011ტ). ღუმელი აღჭურვილია კლინკერის გაციების სისტემით, მაცივრით.

ნედლეულის წარმოების ბოლო საფეხურზე კლინკერი, კლინკერის მაცივრიდან მიეწოდება არსებულ კლინკერის სილოსებს ციცხვებიანი კონვეიერის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ ნედლეულის დაფქვის სისტემა გაჩერებულია, ხოლო კლინკერის გამოწვის სისტემა მუშაობს, ნამწვი აირები ცივდება კონდენსაციის კომპურაში და

სახელოებიან ფილტრში გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში საკვამლე მილიდან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ოთხივე წისქვილი არის მილისებური ტიპის და ბირთვებიანი (დაფქვა ხდება წისქვილში არსებული ბირთვების ნედლეულზე ზემოქმედების შედეგად). N1 და N2 წისქვილის ზომებია 2.6 x13 მ, ხოლო N3 და N4 კი 3.2 x15 მ. თითოეული წისქვილის წარმადობაა 33 ტ/სთ. დაფქვილი ცემენტი წისქვილებიდან გადაიქაჩება სილოსებში პნევმოტუმბოების საშუალებით. აქედან კი, საჭიროების შესაბამისად, ავტოტრანსპორტის ან რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებით მიეწოდება მომხმარებელს.

საწარმოში ასევე დაგეგმილია ძველი ხაზის კლინკერის N 3 ღუმელის დემონტაჟი, რომლის დემონტაჟიც არ იყო გათვალისწინებული 2019 წლის 14 იანვრის N2-27 ბრძანებით გაცემულ სკრინინგის გადაწყვეტილებაში. კლინკერის N3 ღუმელი მდებარეობს მოსახლეობიდან დაახლოებით 280 მეტრის რადიუსში. დემონტაჟი განხორციელდება დღის საათებში და სამუშაოებისას წარმოქმნილი ხმაურის დონე არ გადააჭარბებს 95 დბა-ს. ღუმელის დემონტაჟის შედეგად წარმოიქმნება არასახიფათო, სამშენებლო ნარჩენები (ცეცხლგამძლე აგურები და ბეტონის ნამტვრევები), რომელთა მართვა მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოქმნილი ნარჩენებიდან რკინის კონსტრუქციები დაიჭრება, დროებით დასაწყობდება საწარმოში და შემდეგ გაიყიდება.

საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესებში წყალი გამოყენებულია მზრუნავი ღუმელის გამაგრილებელ სისტემაში და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგება ხორციელდება ქარხანაში არსებული ტექნიკური წყალმომარაგების სისტემიდან.

ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება მათთვის განკუთვნილ დახურულ კონტეინერებში და გატანა ხდება ქ. ვასპის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე მოწყობილია სპეციალური კონტეინერული ტიპის სათავსი. დაგეგმილი ცვლილების შედეგად, შედარებით მეტი სიხშირით გახდება შესაცვლელი მშრალი მეთოდის ტექნოლოგიური ხაზის გარკვეული დანადგარების ფილტრები. საწარმოს მიერ ნარჩენების მართვის პრინციპების თვალსაზრისით ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

ტექნოლოგიური ხაზის დანადგარ-მოწყობილობების ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ხმაურის დონე არ აჭარბებს ნორმით დადგენილ ხმაურის დონეს. აქვე გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ საწარმოო ზონა შემოღობილია კედლით, რაც წარმოადგენს დამცავ ეკრანს, ხოლო ტექნოლოგიური დანადგარები, რომლებიც წარმოქმნიან ხმაურს, მეტწილად განლაგებული არიან შენობებში, რაც ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ზემოქმედებას კიდევ უფრო ამცირებს.

საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არაორგანული (ცემენტის) მტვერი (SiO_2 70-20%), არაორგანული მტვერი (SiO_2 20%-მდე), აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, რკინის ოქსიდი, კადმიუმი, სპილენძი, ნიკელი, ვერცხლისწყალი, ტყვია, ქრომი, თუთია, დარიშხანი, სელენი. 2019 წლის 15 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

შეთანხმებული აქვს კასპის ცემენტის ქარხანაში ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოების ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი. 2019 წლის მარტში ახალი მშრალი ხაზის მზრუნავ ღუმელზე კომპანიის მიერ განხორციელებულმა ემისიათა გაზომვებმა აჩვენა, რომ ღუმელის მაქსიმალური დატვირთვით მუშაობისას, ატმოსფერულ ჰაერში ემისიათა რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია გაფრქვევის ნორმებით გათვალისწინებულ მნიშვნელობებზე. ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ცემენტის მზიდ მანქანებში და რკინიგზის ვაგონებში ჩატვირთვის უბნებზე მოეწყო ფილტრები, საწარმოდან წარმოქმნილი გაფრქვევები კიდევ უფრო შემცირდა შეთანხმებულ ნორმებთან შედარებით და ამრიგად, დაგეგმილი ცვლილებით არ არის მოსალოდნელი ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა არ უკავშირდება დამატებითი რისკების წარმოქმნას. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის ცემენტის ქარხანაში ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოების ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უკვე ითვალისწინებს შესაძლო რისკებს და მათზე რეაგირებების მეთოდებს.

დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი ახალი ტერიტორიების ათვისება. ცვლილების შედეგად, ადგილი ექნება ბუნებრივი რესურსების, კერძოდ ცემენტის წარმოებისათვის კარიერებზე მოპოვებული ნედლეულის რაოდენობის მატებას, გაზრდილი წარმოების შესაბამისად. კომპანია ფლობს საჭირო ნედლეულის მოპოვების ლიცენზიებს, წარმადობის გაზრდა არ უკავშირდება ახალი კარიერების ათვისებას, ნედლეულის მოწოდება მოხდება არსებული კარიერებიდან.

ამასთან, საწარმოს ტექნოლოგიური ხაზი და მისი მუშაობის პრინციპები არ იცვლება, შესაბამისად ადგილი არ ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. კასპის ადმინისტრაციული ერთეულის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. კასპში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს (ბრძ. N2-654) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი

(ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N32 10.05.2017) პირობების დაცვა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით;

3. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სამინისტროსთან შეთანხმება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);
4. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
5. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 9 აგვისტოს N2-654 ბრძანებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 32) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-522

23/04/2021

ქ. თბილისი

ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს (კასპის ცემენტის საწარმოს ძველი ხაზის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (N1 და N2 ღუმელების დემონტაჟი) პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ცემენტის საწარმოს (კასპის ცემენტის საწარმოს ძველი ხაზი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (N1 და N2 ღუმელების დემონტაჟი) სკრინინგის განცხადება.

სამინისტროს მიერ ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წლის 9 სექტემბერს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79 (კლინკერის წარმოების ძველ ტექნოლოგიურ ხაზზე (სველი მეთოდი)), რომლის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-677 (15.08.2018). ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია, აგრეთვე 2017 წლის 10 მაისის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32 (კლინკერის წარმოების ახალ ტექნოლოგიურ ხაზზე (მშრალი მეთოდი)) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-654; 09.08.2018. 2017 წლის 10 მაისის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის №32 (2018 წლის 9 აგვისტოს №2-654 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება) თანახმად, ახალი საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო ძველი ხაზის (2009 წლის 9 სექტემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79) დემონტაჟი.

ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე (კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ 2019 წლის 14 იანვარს გაცემულია მინისტრის N 2-27 ბრძანება. ზემოაღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების შეცვლა მდგომარეობს შემდეგში: კლინკერის წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციის პროცესში, საწარმო იმუშავებს იმ ტექნოლოგიით, რომელზეც გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32 (10.05.2017) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-654 (09.08.2018), ხოლო 2009 წლის 9 სექტემბრის N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული კლინკერის წარმოების ძველი ხაზის დემონტაჟი არ განხორციელდება, კერძოდ ძველ ხაზში შენარჩუნდება N1 და N2 ღუმელები სარეზერვოდ, რაც შეეხება N3 ღუმელს მოხდება მისი კონსერვაცია. ამასთან აღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, კლინკერის ძველმა ხაზმა (№2 და № 1 ღუმელები) წელიწადში შეიძლება იმუშაოს არაუმეტეს 30 დღე, მხოლოდ კლინკერის

წარმოების ახალი ხაზის ღუმელის სარემონტო სამუშაოების ან ავარიული გაჩერების შემთხვევაში.

ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ 2020 წლის 23 აპრილს გაცემულია ასევე მინისტრის N2-352 ბრძანება. აღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებით დგინდება, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ დაგეგმილი აქვს კასპის ცემენტის ქარხანაში გაზარდოს წარმოებული პროდუქციის, კერძოდ ცემენტისა და კლინკერის წლიური წარმადობა. ამასთან, კომპანიას დაგეგმილი აქვს ძველი ხაზის კლინკერის N3 ღუმელის დემონტაჟი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ კომპანია გეგმავს კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის (სველი მეთოდი) N 1 და N 2 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟს, რომლებიც სარეზერვოდ იყო შენარჩუნებული და დღესდღეობით ამის საჭიროება აღარ არსებობს. **ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად ძველი ტექნოლოგიური ხაზის (სველი მეთოდი) N 1 და N 2 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟის პროექტი წარმოადგენს 2018 წლის 15 აგვისტოს N2-677 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 79) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.** სკრინინგის განცხადების მიხედვით, დემონტაჟი ხორციელდება მხოლოდ ძველი ხაზის ღუმელების, ამასთან არ ხდება სრულად სველი მეთოდის კლინკერის ხაზის დემონტაჟი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საქმიანობის განხორციელების ტერიტორია მდებარეობს ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. N2-ში (ს/კ 67.01.51.048). N1 და N2 ღუმელი მდებარეობს საწარმოს შუა ნაწილში, უშუალოდ ღუმელებიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 200 მეტრს.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება საწარმოს შიდა ტერიტორიაზე ხორციელდება. დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ ცვლილებებს.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს N1 და N2 ღუმელის შიდა ნაწილში და ფუნდამენტებზე მუშაობას პნევმატური ტექნიკით, რაც შეესაბამება საწარმოში მუდმივად მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს. შესაბამისად, დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი ხმაური იქნება გეგმიური სარემონტო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ხმაურის დონის, რომელიც არ გადააჭარბებს 95 დბა-ს. ამასთან, დემონტაჟი განხორციელდება დღის საათებში. დემონტაჟში მონაწილე პერსონალი აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. დემონტაჟის დროს მოსალოდნელია მცირე რაოდენობით მტვერის წარმოქმნა. არსებული ტექნოლოგიური ხაზის ადგილმდებარეობა და მუშაობის პრინციპი არ იცვლება. ღუმელების დემონტაჟით შემცირდება საწარმოს ექსპლუატაციისას არსებული ემისიის წყაროები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე იქნება მინიმალური.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ღუმელის დემონტაჟის შედეგად წარმოიქმნება არასახიფათო, სამშენებლო ნარჩენები (ცეცხლგამძლე აგურები და ბეტონის ნამტვრევები), რომლებიც ქარხნის ტერიტორიიდან გატანილი იქნება ნაგავსაყრელზე, ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. სკრინინგის განცხადების თანახმად, N1 და N2 ღუმელების დემონტაჟის შემდგომ მოხდება მათი ნაწილებად გაყიდვა. შესაბამისად, წარმოქმნილი

ნარჩენებიდან რკინის კონსტრუქციები დაიჭრება, დროებით დასაწყობდება საწარმოში და შემდეგ გაიყიდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ არის დაკავშირებული მასშტაბურ ავარიასთან ან/და კატასტროფის რისკთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავარიული სიტუაციის შემთხვევაში მოხდება სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის გამაგრება. ამასთან, ყველა რისკის შემცველი ადგილი იქნება შემოღობილი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მობეტონებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. ამასთან, დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკიდან გამომდინარე მცენარეულ საფარზე და წითელი ნუსხის სახეობებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის გათვალისწინებული ახალი, დამატებითი ტერიტორიების ათვისება ან გათხრითი სამუშაოების ჩატარება, შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან დაკავშირებული ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. ამასთან განცხადება გადაიგზავნა ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით სამინისტროში არ წარმოდგენილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (N1 და N2 ღუმელების დემონტაჟი) გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.


ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს (კასპის ცემენტის საწარმოს ძველი ხაზის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (N1 და N2 ღუმელების დემონტაჟი) პროექტი არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს (ბრძ. N2-677) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N79 09.09.2009) პირობების დაცვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სამინისტროსთან შეთანხმება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);

4. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
5. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს N2-677 ბრძანებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 79) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე (კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 იანვრის N 2-27 ბრძანება;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



კასპის მუნიციპალიტეტის მერი

მერის ბრძანება



KA990186647696820

№ 1783-ს

25 / ივნისი / 2020 წ.

კასპის მუნიციპალიტეტში ე.წ. "სასხორის" კირქვის კარიერიდან კასპის ცემენტის ქარხანამდე არსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის (საკ.კოდი 67.01.51.171 საკ.კოდი 57.01.49.084) მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საავტომობილო გზა) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ

დამკვეთი – შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია 230866435

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – N2881-ს 22.10. 2019 წელი;

მშენებლობის სანებართვო მონმობა – N45-ნებ 22.10 2019 წელი;

III კლასის შენობა-ნაგებობა;

მიწის ნაკვეთის ფართი (კვ.მ.) 29411.00. მ2

განაშენიანების ფართი (კვ.მ.---34305.00. მ2

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-საქართველოს ორგანული კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 95-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის, 97-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტის, კასპის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების აქტის, „მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“, შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას"უფლებამოსილი პირის გ. ჯიჯეიშვილის 2020-06-15 N44EXM00121OP01 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიღებულ იქნეს ექსპლუატაციაში კასპის მუნიციპალიტეტში ე.წ. "სასხორის" კირქვის კარიერიდან კასპის ცემენტის ქარხანამდე არსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის (საკ.კოდი 67.01.51.171 საკ.კოდი 57.01.49.084) მშენებლობადამთავრებული ობიექტი (საავტომობილო გზა).
2. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი ჯორბენაძის ქ.#30).

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის
შემსრულებელი

საქართველო
შტამბის
ფორმა

თამაზ ტატანაშვილი



დანართი 8.7

სკოპინგის დასკვნა N26

საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. კასპი, ფარნავაზის ქ. N 12;

საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი: შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"; ალ. ყაზბეგის გამზ. N21;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 11.03.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „გრინტექი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილია, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება) სკოპინგის ანგარიში.

სამინისტროს მიერ ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წლის 9 სექტემბერს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2018 წლის 15 აგვისტოს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-677). ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე 2017 წლის 10 მაისს ასევე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N32, ხოლო 2018 წლის 9 აგვისტოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-654). №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ახალი საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული ძველი ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟი.

ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე გაცემულია სამი სკრინინგის გადაწყვეტილება. 2019 წლის სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-27) ითვალისწინებდა N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული კლინკერის წარმოების ძველი ხაზის, კერძოდ N1 და N2 ღუმელების სარეზერვოდ შენარჩუნებას, ხოლო N3 ღუმელის კონსერვაციას. 2020 წელს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-352) ითვალისწინებდა საწარმოს წარმადობის გაზრდას (**კლინკერისათვის - 1 191 300 ტონა/წელ და ცემენტისათვის 900 000 ტონა/წელ**), სამუშაო დღეების რაოდენობის (კლინკერისათვის - 330 დღე, ხოლო ცემენტისათვის 360 დღე) გაზრდის ხარჯზე და ძველი ტექნოლოგიური ხაზის (N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) კლინკერის N3 ღუმელის დემონტაჟს. 2021 წელს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-522) ითვალისწინებდა კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის N1 და N2 მზრუნავი ღუმელის (რომელიც შენარჩუნებული იყო სარეზერვოდ) დემონტაჟს. აღნიშნული სკრინინგის

გადაწყვეტილება ითვალისწინებდა მხოლოდ ძველი ტექნოლოგიური ხაზის ღუმელების დემონტაჟს, თუმცა არ იყო განსაზღვრული ძველი ტექნოლოგიური ხაზის სრული დემონტაჟი.

№32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საქმიანობის სფეროს წარმოდგენს ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოება. საწარმოში განთავსებული ცემენტისა და კლინკერის წარმოების ტექნოლოგიური ხაზები. არსებული ცემენტის საწარმო მდებარეობს ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. N2-ში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 67.01.51.048). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 300 მ-ს (მშრალი ღუმელის მთავარი საკვამურიდან). ამასთან, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ერთ-ერთი წყაროდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით. მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს უახლოეს მოსახლემდე, მათ შორის ტექნოლოგიური უბნებიდან/გაფრქვევის წყაროებიდან, მანძილი და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში შესრულდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილის დაზუსტების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიზანია: N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული - ძველი ტექნოლოგიური (სველი კლინკერის წარმოების) ხაზების სრული გაუქმება/დემონტაჟი; ალტერნატიული საწვავის სახით, ნარჩენი საბურავების და ნარჩენი ზეთების გამოყენება; კლინკერისა და ცემენტის წარმოებებისთვის წარმადობის გაზრდა.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის ალტერნატივების, მათ შორის უმოქმედობისა და ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი. საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიული საწვავის გამოყენება) შედეგად მიღებული დადებითი ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა. დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით ადგილმდებარეობის ალტერნატივის განხილვა არ ჩაითვალა გონივრულად.

საწარმოში არსებული ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად კლინკერის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზზე, საწვავად, ძირითადად ქვანახშირი გამოიყენება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო გეგმავს ძირითად საწვავთან (ქვანახშირი) ერთად ალტერნატიული საწვავის გამოყენებას, დაახლოებით 5-10%-ის ფარგლებში. საბურავების მიწოდება მოხდება ღუმელის სამტვერე კამერაში, ხოლო ნარჩენი ზეთების მიწოდება მოხდება ღუმელის ბოლოდან, სპეციალური ელექტორული სანთურის მეშვეობით. ალტერნატიულ საწვავად დაგეგმილია ნარჩენი საბურავებისა და ზეთების გამოყენება. საწყის ეტაპზე კასპის ცემენტის საწარმოში დაგეგმილია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ობიექტებზე (კასპის, ფოთის, რუსთავის ორი ცემენტის საწარმო, ოცამდე ბეტონის საწარმო, კარიერები) წარმოქმნილი ნარჩენების (საბურავების და ნარჩენი ზეთების) მიღება და გამოყენება ალტერნატიულ საწვავად, ხოლო შემდგომ ეტაპზე საწარმო გეგმავს აღნიშნული ნარჩენების მიღებას სხვა მომწოდებლებისგან.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში ყოველდღიურად საჭირო იქნება 35-40 ტონამდე ნარჩენი საბურავის მიწოდება. წელიწადში გათვალისწინებულია 13,400 ტ

საბურავის გამოყენება. სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ კომპანია გეგმავს ნარჩენი საბურავების შეგროვების სისტემის დანერგვას. კერძოდ, პირველ ეტაპზე დაგეგმილია ორი - დასავლეთ (იმერეთი, სამეგრელო და აჭარის ა/რ) და აღმოსავლეთ (შიდა ქართლი, თბილისი და რუსთავი) საქართველოს შემგროვებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. წლის განმავლობაში დაგეგმილია საშუალოდ 10 000 ტ ნარჩენი საბურავის შეგროვება. აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური ნარჩენების მართვასთან (ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება) და მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მგვ რეესტრში რეგისტრაციის პირობები რეგულირდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, დაცული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ნარჩენი საბურავების დასაწყობებისათვის გათვალისწინებულია 2000 მ² ფართობზე მოეწყოს ღია საწყობი, რკინაბეტონის საფარით, რომელიც მთელ პერიმეტრზე 1,5 მ სიმაღლის კედლით იქნება შემოსაზღვრული. საწყობის ტერიტორიაზე მოეწყობა სანიაღვრე არხები, რომლებიც შეუერთდება ნავთობდამჭერს. საწყობიდან საბურავები გორგოლაჭიანი ტრანსპორტიორებით და კონვეიერებით მიეწოდება ორმაგ სარქველს, საიდანაც მოხვდება ლუმელში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საბურავები ლუმელს მიეწოდება მთლიანი ან დანაწევრებული სახით.

კლინკერის გამოწვის ლუმელში ნარჩენი ზეთების მიწოდებისთვის გათვალისწინებული ძირითადი ინფრასტრუქტურაა: ნარჩენი ზეთების მიღების/დაცლის სატუმბო სადგური (წარმადობა 40 მ³/სთ), ნარჩენი ზეთების სასაწყობო 50 მ³ მოცულობის რეზერვუარი და ნარჩენი ზეთების მიწოდების სატუმბო სადგური (წარმადობა 1000 კგ/სთ), ნარჩენი ზეთების ელექტრო გამახურებელი, ავტომატური სარქველების სადგური, ნარჩენი ზეთების ინჟექტორული სანთურა (რომელიც ნარჩენ ზეთებს შეაფრქვევს ლუმელის ცხელ ბოლოში). ნარჩენი ზეთების სასაწყობო რეზერვუარი იქნება შემოზვინული. გათვალისწინებულია 6,250 ტ/წელ ნამუშევარი ზეთების გამოყენება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საწარმოს წარმადობის გაზრდა ითვალისწინებს - კლინკერის წარმოების წარმადობის გაზრდას წელიწადში 1270000 ტ-მდე (მაქს. 4000 ტ/დღ), ხოლო ცემენტის წარმადობის 970 000 ტონამდე, წელიწადში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, კლინკერის წარმადობის გაზრდა გათვალისწინებულია ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების რეზერვების ხარჯზე, მაქსიმალური დატვირთვის პირობებში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ცემენტის წარმოების წარმადობის გაზრდა განპირობებულია ახალი ტიპის ცემენტების გამოშვებით და მიიღწევა დანამატების გამოყენების ხარჯზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში შეადგენს - 365 დღეს. მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდეს/დეტალურად იქნეს წარმოდგენილი საპროექტო წარმადობების შესახებ ინფორმაცია (წლიური, თვიური), სამუშაო დღეებისა და საათების გათვალისწინების/დაზუსტების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოო წყალმომარაგება ხორციელდება ობიექტზე არსებული ტექნიკური წყალმომარაგების სისტემიდან (მდინარე მტკვრიდან ამოღებული წყლით). ტექნიკური წყალმომარაგების სისტემა შედგება 1 ცალი 1400 მ³-იანი,

2 ცალი 10000 მ³-იანი, 2 ცალი 500 მ³-იანი მიწისზედა, ასევე 2 ცალი 250 მ³ და 1 ცალი 800 მ³ მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარებისგან. კომპანიას საწარმოს ტერიტორიაზე გააჩნია ასევე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების 4 ლიცენზია (რისი მთავარი მიზეზიც მდინარე მტკვრიდან წყლის მოხმარების შემცირებაა). საწარმოში, წყლის გამოყენება ხორციელდება სხვადასხვა აგრეგატების გასაცეცხლად, არსებული შხეფსაცივარის წყლის დანაკარგების შესავსებად. საწარმოო მიზნებისთვის ტექნოლოგიურ პროცესში დანერგილია წყლის გამოყენების ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა და შედეგად არ წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთებულია ქ. კასპის ჩამდინარე წყლების კოლექტორზე. სანიაღვრე ჩამდინარე წყლები იწმინდება ორსექციან ჰორიზონტალურ სალექარში. ნარჩენი საბურავების ღია სასაწყობე ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, სალექარში მოხვედრამდე გაიწმინდება ნავთობდამჭერში (სეპარატორში). გაწმენდილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია მდ. ლეხურაში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შერბილებისათვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, ხმაურის გავრცელებასთან, წარმოქმნილი ნარჩენების არასწორ მართვასთან.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ემისიები მოსალოდნელია, როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული წყაროებიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ატმოსფეროში გაიფრქვევა 16 დასახელების მავნე ნივთიერება. გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 92 სტაციონარული წყარო. სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ წარმოდგენილი და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს მოსალოდნელი ემისიების დეტალური რაოდენობრივი, ხარისხობრივი შეფასება, ამასთან ინფორმაცია ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების, მათ შორის აირგამწმენდი სისტემის შესახებ. ასევე გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვეული მტვრის მართვის საკითხების შესახებ. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად კასპის ცემენტის საწარმოში მოქმედებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა უწყვეტი მონიტორინგის სისტემა, მოქმედი (2013 წლის 31 დეკემბრის №413) დადგენილების შესაბამისად.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ, რომელიც საკმაოდ ზოგადი და სათანადოდ არ ასახავს მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობას. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების დეტალური შეფასება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები. ამასთან, მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ინფორმაცია ობიექტიდან მოსალოდნელი ხმაურის დონეების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ დადგენილებასთან („საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენები. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არაა სათანადო ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობისა და მართვის ღონისძიებების შესახებ, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონალური წარმომადგენლების მიერ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 1 აპრილს, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“, სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანია- შპს „გრინტექის“, კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოების წევრები, მათ შორის ააიპ მწვანე ალტერნატივა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი დაინტერესდა ალტერნატიული საწვავის გამოყენების პრაქტიკის მსგავსი ტიპის საწარმოში დანერგვის შესახებ - რაზეც შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა მიაწოდა ინფორმაცია იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც ალტერნატიულ საწვავს იყენებდნენ. საჯარო განხილვაზე, შენიშვნები ასევე დაფიქსირებული იქნა ააიპ „მწვანე ალტერნატივის“ მიერ, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის არასათანადოდ გავრცელებას, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ხმაურის გავრცელებას, საწარმოსა და მოსახლეობას შორის დაშორების მანძილს. კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მომატება მოსალოდნელი არ არის. დამატებით განაცხადა, რომ არსებული ხმაურის პრობლემის აღმოსაფხვრელად ზომების მიღება დაწყებულია, მათ შორის საწარმო შეიფუთა ხმაურ-გამტარი მასალით. საჯარო განხილვის არასათანადოდ გავრცელებასთან დაკავშირებით სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა კანონმდებლობის დადგენილი წესით, მათ შორის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტრო უზრუნველყოფს აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალის მიწოდებას ნებისმიერი მსურველისთვის. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საფუძვლიანი შენიშვნები გათვალისწინებული იქნება სკოპინგის დასკვნის მომზადების ეტაპზე. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოადგინა ააიპ „მწვანე ალტერნატივამ“.

წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: სკოპინგის ანგარიშში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციას; ძველი წარმოების ხაზების გაუქმება/დემონტაჟისა და წარმადობის გაზრდის გეგმას; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას; ხმაურის გავრცელებას; სუნის გავრცელებას; ნიადაგის დაბინძურებას; ტრანსპორტირებით მოსალოდნელ ზემოქმედებას; სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდას; უახლოეს სახლამდე დაშორების მანძილს. პროექტთან დაკავშირებით არსებული რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები სამინისტროს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში (გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალში).

ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილ წერილში დაფიქსირებული შენიშვნები ეხებოდა ასევე საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის არასათანადოდ გავრცელებას და საჯარო განხილვის ხელახლა ჩატარებას. მოცემულ შენიშვნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ საჯარო განხილვის ჩანიშვნა, მათ შორის ინფორმაციის გავრცელება, უზრუნველყო კანონმდებლობის დადგენილი წესით. განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა, როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. განცხადებები განთავსდა ასევე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა, აგრეთვე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება რომ სამინისტრომ, კანონმდებლობის დადგენილი წესით, ყველანაირი ბერკეტის გამოყენებით, უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ დაფიქსირებული შენიშვნა საფუძველს მოკლებულია.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. **გზმ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;

4. გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დეტალური დასაბუთება (სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საწარმოში არსებული (მიმდინარე), შესაბამისი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნ(ებ)ით გათვალისწინებული, საქმიანობის დეტალური აღწერა;
- პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების დეტალური აღწერა;
- საწარმოს ტერიტორიის აღწერა, მათ შორის მოცემული უნდა იყოს: საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ი და GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად;
- ექსპლუატაციის ცვლილების გათვალისწინებით, საწარმოო ობიექტის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით. გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საწარმოში არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობები და უბნები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- საპროექტო ტერიტორიიდან, მათ შორის თითოეული ტექნოლოგიური უბნიდან და უშუალოდ გაფრქვევის წყარო(ებ)იდან, დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი);
- დაზუსტებული მანძილი უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე;
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული ნებისმიერი ტიპის სამრეწველო, მათ შორის საპროექტო საქმიანობის ანალოგიური, ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- საწარმოო ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, სათანადოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი უმოქმედობის ალტერნატივის ანალიზი, რომელიც განხილული უნდა იქნეს, არა მხოლოდ საწარმოში ალტერნატიული საწვავის გამოყენებისთვის, არამედ საწარმოს წარმადობის გაზრდისთვის. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი ცვლილების განუხორციელებლობის (უმოქმედობის) შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების ანალიზი;
- საწარმოში არსებული ტექნოლოგიური უბნების/ტექნოლოგიური ხაზების, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი საშუალებების და მოწყობილობების (ლუმელები, წისქვილი და სხვ) დეტალური დახასიათება (თითოეული დანადგარის სიმძლავრის/წარმადობის მითითებით);
- საწარმოს არსებული ტექნოლოგიური ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე);

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია არსებული და დაგეგმილი წარმადობის/საწარმოო სიმძლავრის (საათური, დღიური, წლიური) და სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია ცემენტისა და კლინკერის ტექნოლოგიური ხაზების არსებული და საპროექტო წარმადობების შედარებითი ანალიზი, სამუშაო რეჟიმის მითითებით;
- მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს განხილული წარმადობის გაზრდის (როგორც ცემენტისთვის, ისე კლინკერისთვის) საშუალებების საკითხი;
- ინფორმაცია საწარმოში მოხმარებული საწვავის სახეობ(ებ)ის და მისი რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში ალტერნატიული საწვავის გამოყენების, მათ შორის ალტერნატიულ საწვავად გამოსაყენებელი ნარჩენების ტექნოლოგიურ ციკლში მიწოდების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ღუმელებზე ნარჩენების (ზეთები, საბურავები) მიწოდებისთვის გათვალისწინებული ძირითადი ინფრასტრუქტურის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოში მოხმარებული ძირითადი და ალტერნატიული საწვავის რაოდენობრივი, მათ შორის პროცენტული, გადანაწილების შესახებ;
- ინფორმაცია ალტერნატიულ საწვავად გამოსაყენებელი ნარჩენების შესახებ, მათ შორის:
 - ალტერნატიულ საწვავად შემოტანილი ნარჩენების კოდები და დასახელება, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიცირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N 426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად;
 - ნარჩენების აღდგენის ან/და განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I ან/და II დანართების მიხედვით;
 - ნარჩენების შეგროვებისა და საწარმომდე მიწოდების შესახებ ინფორმაცია;
 - ინფორმაცია ნარჩენების, მათ შორის სახიფათო ნარჩენების, ტრანსპორტირების პირობების შესახებ, გამოყოფილი ავტოტრანსპორტის და ტრანსპორტირების სიხშირის მითითებით;
 - ნარჩენი ზეთების დროებითი განთავსების ობიექტი შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის N145 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან („სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები“);
- ინფორმაცია თითოეული ნარჩენის დასაწყობების პირობების და აღნიშნული მიზნით გამოყოფილი ადგილ(ებ)ის შესახებ (გენ-გეგმაზე მითითებით);
- დაზუსტებული ინფორმაცია ნარჩენი ზეთების შესანახად განკუთვნილი რეზერვუარის შესახებ (ტიპი, მოცულობა). ასევე ინფორმაცია ნარჩენი ზეთების მიწოდების სატუმბო სადგურის და სასაწყობო რეზერვუარის შემოზინვის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოო ციკლში, ალტერნატიულ საწვავად, მოხმარებული ნარჩენების (ზეთები, საბურავები) რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოო პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;

- ინფორმაცია საწარმოში გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ. მათ შორის ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დასაწყობების ადგილის მითითებით;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანისა და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომრავო გზის მორწყვა (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით), მარის გადახურვა, ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა/გაზიდვის) გადაადგილების აკრძალვა;
- გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოში არსებული აირგამწმენდი სისტემისა და მისი ეფექტურობის შესახებ, პარამეტრებისა და საპასპორტო მონაცემების მითითებით;
- ინფორმაცია აირგამწმენდი მოწყობილობების პარამეტრების დაცვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (აღნიშნული მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით, მოსალოდნელი ზემოქმედების დასადგენად);
- ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ;
- საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის წყალმომარაგების მიზნით ჭაბურღილის გამოყენების შესახებ, ჭაბურღილის გამოყენების შესაბამისი ლიცენზიის მითითებით;
- წყალმომარაგების სისტემის განლაგება და ტექნიკური მონაცემები, მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში გამოყენებული წყლის, მათ შორის ბრუნვითი წყალმოხმარების შესახებ;
- საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სანიაღვრე წყლების არინებისთვის არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ;
- ინფორმაცია საბურავების საწყობის ტერიტორიაზე მოსაწყობი სანიაღვრე არხების და ნავთობდამჭერთან დაერთების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია სალექარისა და ნავთობდამჭერის შესახებ, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით;

- ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ ინფორმაცია, ჩაშვების წერტილის მითითებით (GPS კოორდინატები). ამასთან ინფორმაცია ჩამდინარე წყლების შემადგენლობის შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- დაზუსტებული ინფორმაცია წვის შედეგად ღუმელებში წარმოქმნილი ნაცრის კლასიფიკაციის შესახებ, რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების მითითებით;
- საწარმოს ფუნქციონირების დროს მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის, საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების/ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები (მათ შორის ნარჩენი ზეთებისა და საბურავების ნარჩენების წვის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებები), გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
 - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების დეტალური აღწერილობა;
 - წელიწადის ცხელ და ცივ პერიოდში გაფრქვევების რეგულირების მეთოდები;
 - ინფორმაცია ძირითადი (ქვანახშირი) და ალტერნატიული საწვავის (ნარჩენების) წვის შედეგად წარმოქმნილი სუნის შესახებ, უსიამოვნო სუნის გავრცელების დეტალური შეფასება და მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზი, პრევენციული ან/და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა. ამასთან, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, ინფორმაცია გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული

კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის, ხელსაწყოთა და სტანდარტის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული: არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით); ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება; შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გაზრდილი წარმადობის ფონზე დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი - გარემოზე ზემოქმედების შეფასება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრით. ამასთან, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების განახლებული პროექტი, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;

- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როგორც 500 მ-იან რადიუსში, ისე მის მიმდებარედ არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის, ხმაურის დონისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით წარმოდგენილ იქნეს საუკეთესო ალტერნატივები, დეტალური დასაბუთებით);
- **გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება** (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელებას;
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნარჩენებისგან (ნარჩენი ზეთები და გამოყენებული საბურავები) ენერჯის აღდგენა. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს განხილული ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესები. რაც შეეხება, საბურავების (საჭიროების შემთხვევაში ნარჩენი ზეთების) შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებას, ნარჩენების მართვის კოდექსის 26-ე მუხლისა და „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს;
- ამასთან, ძალაშია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, რომელიც ეხება სპეციფიკური ნარჩენების (მათ შორის ნარჩენი ზეთებისა და ნარჩენი საბურავების) მართვის საკითხებს. სპეციფიკური ნარჩენების მართვასთან (ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება) და მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან

დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ორგანიზაციების მგვ რეესტრში რეგისტრაციის პირობები რეგულირდება ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საქმიანობის პროცესში;

- გზშ-ის ანგარიშში, ცალკე ქვეთავის სახით, აისახოს №32 (10.05.2017) და N79 (09.09.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილ იქნას ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების (არსებობის შემთხვევაში) და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/დონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობებში შეტანილი თითოეული ცვლილება შედარებული უნდა იყოს N32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ პირობებთან და გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად იქნეს განხილული, როგორც არსებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საკითხები (საწარმოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით), ისე დაგეგმილი ცვლილებები, ერთიანი პროექტის სახით;
- ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს 2017 წლის N32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობის წარმადობის გაზრდას და ალტერნატიული საწვავის გამოყენებას, ასევე 2009 წლის N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობის ტექნოლოგიური ხაზის სრულ დემონტაჟს, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია N32 და N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ და მითითებული უნდა იქნეს მოთხოვნა აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების (შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების) გაუქმების/ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საბურავები ღუმელს მიეწოდება მთლიანი ან დანაწევრებული სახით. დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მათ შორის საბურავების დანაწევრების ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაცია, დანაწევრებით მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს წარმადობის გაზრდის გეგმის შესახებ. მათ შორის, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების რეზერვების ხარჯზე - კლინკერის, ხოლო ახალი ტიპის ცემენტების გამოშვებით და დანამატების გამოყენების ხარჯზე - ცემენტის არსებული წარმადობების გაზრდის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, კლინკერის წარმოების წარმადობის გაზრდა დაგეგმილია წელიწადში 1270000 ტ-მდე, ამასთან მითითებულია რომ დღე-ღამეში მაქსიმალური წარმადობა 4000 ტ-ს შეადგენს. საწარმოს სამუშაო დღეების (365) რაოდენობასთან მიმართებით კლინკერის საპროექტო წლიური წარმადობის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს/დეტალურად იქნეს წარმოდგენილი საპროექტო წარმადობების, მათ

შორის ცემენტის წარმადობის, შესახებ ინფორმაცია (წლიური, თვიური), სამუშაო დღეებისა და საათების დაზუსტების საფუძველზე.

- დაზუსტებას საჭიროებს მწარმოებლურობის შესაძლო გაზრდის/გაფართოების შესახებ ინფორმაცია;
- ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ მდ. ლეხურასა და საწარმოო ტერიტორიას შორის მანძილი 180 მეტრია, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის 4.3.3. ქვეთავში მითითებულია, რომ „სანიაღვრე წყლები, სალექარში მოხვედრამდე, გაივლიან გაწმენდას ნავთობდამჭერში (სეპარატორში). შესაბამისად ძირითადი ჩაშვება ხორციელდება ფილტრაციით სალექარის ფსკერიდან, ხოლო უშუალოდ ლეხურაში ჩაშვება მოხდება მხოლოდ სალექარის გადავსების შემთხვევაში“. დასაზუსტებელია, რამდენხანში ერთხელ ხდება წყლის ჩაშვება მდ. ლეხურაში და რამდენად სავარისია არსებული სალექარი წყლის მოსალოდნელი რაოდენობის გასაწმენდად;
- 7.4 ქვეთავში ცხრილის სახით წარმოდგენილია კასპის ცემენტის საწარმოს კლინკერის წარმოების ხაზის საწვავის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტების შედარება (გვ. 34). ერთიდაიგივე ცხრილში, CO₂-ის საერთო გაფრქვევის რაოდენობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაციას ვხვდებით. ასე მაგალითად: ერთ უჯრაში წერია, რომ საერთო CO₂-ის გაფრქვევა (საწვავიდან) წელიწადში 300 ტ შეადგენს, იმავე ცხრილში ვკითხულობთ, რომ მისი რაოდენობა წელიწადში 341 727 შეადგენს. იგივე მეორდება მთლიან ცხრილში, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 7÷15-ზე) წარმოდგენილი ინფორმაციით ამორტიზირებული საბურავები და ზეთების ნარჩენები ძირითად საწვავს ნაწილობრივად ჩაანაცვლებს. კერძოდ 5-10%-ის რაოდენობით (გვ. 17). წვის ინტენსივობის დასაბუთება წარმოდგენილია CO₂-ის რაოდენობრივი მონაცემებით (გვ. 7). - დასაბუთება წარმოდგენილია მოკლედ. მიზანშეწონილია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს პროექტის ტექნიკური და ტექნოლოგიური დასაბუთება, არა მხოლოდ საბოლოო შედეგებით და მონაცემებით;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 11-ზე) მოცემულია ნარჩენი საბურავების საწყობის ადგილისა და მოწყობის შესახებ მოკლე ინფორმაცია - მიზანშეწონილია სასაწყობე მოედნის საპროექტო მონაცემების (მათ შორის ზედაპირის საფარის) შესახებ გზშ-ის ანგარიშში აისახოს სათანადო ინფორმაცია (ისევე როგორც მოცემულია (გვ. 12÷15-ზე) გადატვირთვის ხაზის და ტექნოლოგიური სქემის მონაცემები);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოქმნილი ინფორმაცია ხმაურის შესახებ (გვ.51÷52-ზე) სავსაოდ მოკლე და ზოგადია - გზშ-ის ანგარიშში შესაბამისი გათვლების შესრულებისას გათვალისწინებული და მოცემული უნდა იყოს ხმაურის წარმომქმნელი მოწყობილობის ტექნოლოგიური საპასპორტო მონაცემები და ინფორმაცია ხმაურის წარმოქმნის მაქსიმალური დონეების შესახებ, რაც რეალურად წარმოაჩენს მოსალოდნელ ხმაურს სამუშაო ზონაში, სამრეწველო მოედანზე და სამრეწველო მოედნის გარეთ;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 21÷24-ზე) მოცემულია სანიაღვრე წყლების რაოდენობების შესახებ ინფორმაცია, სანიაღვრე წყლების მოსალოდნელი რაოდენობების გაანგარიშებისა და შესაბამისი დასაბუთების გარეშე - გზშ-ის

ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი გათვლები. მათ შორის, მოწყობილობის გამაგრებელი ტექნოლოგიური წყლების აღწერილობაში არ არის გათვალისწინებული მაქსიმალური მინერალიზებული გამაგრებელი წყლების გამოცვლის ფაქტორი, მოწყობილობის გამაცივებელი სისტემის პროფილაქტიკისთვის;

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
 - სკოპინგის ანგარიშის მიხედვით კლინკერის წარმოების ტექნოლოგიური ხაზის საპროექტო წარმადობისათვის გათვალისწინებულია ნედლეულის ფეკილის სილოსი (საერთო მოცულობით 7700 მ³). დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული სილოსის ტერიტორიაზე არსებობის/მოწყობის შესახებ ინფორმაცია, საპროექტო პარამეტრების მითითებით;
 - დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული - ძველი ტექნოლოგიური (სველი კლინკერის წარმოების) ხაზების სრული გაუქმების/დემონტაჟის შესახებ;
 - სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 300 მ-ს (მშრალი ღუმელის მთავარი საკვამურიდან). ამასთან, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ერთ-ერთი წყაროდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს უახლოეს მოსახლემდე, მათ შორის ტექნოლოგიური უბნებიდან/გაფრქვევის წყაროებიდან, მანძილი და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში შესრულდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილის დაზუსტების საფუძველზე;
 - გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვეული მტვრის მართვის საკითხების შესახებ;
 - გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით.
-
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. კასპში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება), **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის

მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.

დანართი 9.1

საქმე N 411510020003746621



გორის რაიონული სასამართლო მაგისტრატი სასამართლო კასპის მუნიციპალიტეტში

მის: კასპი, გიორგი სააკაძის ქ. N 124;

ტელ: 0(371) 22-28-37

31.08.2020 წელი

შპს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია“
მისამართი: კასპი, ფარნავაზის ქ. N 2

გეგზავნებათ კასპის მაგისტრატი სასამართლოს 2020 წლის 17 აგვისტოს №
411510020003746621 დადგენილების ასლი

დანართი: 6 (ექვსი) ფურცლად

პატივისცემით

კასპის მაგისტრატი სასამართლოს
მოსამართლის თანაშემწე

ლ. ზ. ნ.



საქმე № 411510020003746621
საქმე № 4/56-20



დადგენილება
საქართველოს სახელით
ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

17 აგვისტო, 2020 წელი

ქ. კასპი

შესავალი ნაწილი

გორის რაიონული სასამართლო
მაგისტრატი სასამართლო კასპის მუნიციპალიტეტში
მოსამართლე დავით პაპუაშვილი

სხდომის მდივანი სოფიო ზანდუკელი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
წარმომადგენლები: ნათია ესიაშვილი და ია ჩაჩანიძე

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: შპს „ჰაიდელბერგცემენტ
ჯორჯია“
წარმომადგენელი: გიორგი ჩალაძე

აღწერილობითი ნაწილი:

კასპის მაგისტრატ სასამართლოში 2020 წლის 23 ივნისს განსახილველად შემოვიდა № 058579 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/კ 230866435; ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული 2019 წლის 1 ივლისს, 2019 წლის 31 ივლისს, 2019 წლის 22 აგვისტოს, 2019 წლის 26 სექტემბერს, 2019 წლის 22 ოქტომბერს, 2019 წლის 6 ნოემბერს, 2020 წლის 15 იანვარს სასკ 79⁸ მუხლის 1-ლი ნაწილით, 77-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 57¹ მუხლით, 78² მუხლით, 59² მუხლის 1-ლი ნაწილით, 59² მუხლის მე-2 ნაწილით, 79³ მუხლის 1-ლი ნაწილით, იურ. მის: ქ. თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზ. № 21) მიმართ, ქმედება, გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით.

საქმის მასალების მიხედვით, კასპში, ფარნავაზის ქ. № 2-ში მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილ ცემენტის საწარმოში დამონტაჟებული დანადგარებისა და აგრეგატებისგან ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით, ღამის საათებში ჩატარდა ექსპრეს-გაზომვები საწარმოს ტერიტორიის გარეთ - უახლოეს მოსახლესთან. ხმაურის დონემ (მაქს.) შეადგინა 52.8 დბ., ხოლო ხმაურის დონე (მაქს.) ფონური - 44 დბ.

მიღებული შედეგების მიხედვით, ხმაურის დონე აჭარბებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ოქმს მხარი დაუჭირეს და განმარტეს, რომ ოქმი შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიმართ შედგა № 32 -ე გზშ-ს 1-ლი პირობის დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო მიწერილობა კი გაიცა მე-6 პირობაზე.

სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა დარღვევა არ აღიარა და განმარტა, რომ დარღვევაზე ჰქონდათ მიცემული მიწერილობა და ამ მიწერილობის შესრულებამდე ოქმი არ უნდა შედგენილიყო საწარმოს მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა და შეაფასა რა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები, მიიჩნია, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ განხორციელებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შემდეგ გარემოებათა გამო:

2017 წლის 15 აგვისტოს საქართველოს მთავრობის № 398 დადგენილების „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ დანართი № 1-ის მიხედვით, ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს, ხმაურის დასაშვები დონე ღამის განმავლობაში (23:00 სთ.-დან 08:00 სთ.-მდე) შეადგენს 40 დბ.-ს, ხოლო 19:00 საათიდან 23:00 საათამდე - 45 დბ.-ს.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილ ცემენტის საწარმოში დამონტაჟებულ დანადგარებისა და აგრეგატებისგან ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით, ჩატარებული ექსპრეს-გაზომვების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიის გარეთ, უახლოეს მოსახლესთან, ღამის საათებში ხმაურის დონე აჭარბებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, კერძოდ: გაზომვები ჩატარდა 23:00 საათიდან 23:25 საათამდე

პერიოდში, რა დროსაც საწარმოში გათიშული იყო ღუმელი, მუშაობდა მხოლოდ წისქვილები, დაფქვის უბანი და კომპრესორები;

უახლოესი მოსახლის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებულ ქუჩაზე (x-451928; y-4640869) ფონური ხმაურის დონემ შეადგინა 44 დბ., ხოლო ხმაურის დონემ კი - 52,8 დბ.

უახლოეს მოსახლესთან (GPS კოორდინატები x-451913; y-4640876) ფონური ხმაურის დონემ შეადგინა 40,4 დბ.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ გარემოზე შეფასების ანგარიშის მიხედვით კი, ხმაურის რეკომენდირებული სიდიდეები ღამის საათებში 45 დბ.-ია.

აქედან გამომდინარე, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოში დამონტაჟებული დანადგარებისა და აგრეგატებისაგან გამოწვეული ხმაურის დონე 7,8 დბ.-ით აჭარბებს მოწმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

ეს ფაქტი შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასგანაც“ სადავოდ გამხდარი არ არის.

მისი განმარტებით, დარღვევაზე ჰქონდათ მიცემული მიწერილობა და ამ მიწერილობის შესრულებამდე საწარმოს მიმართ ოქმი არ უნდა შედგენილიყო.

სასამართლო განმარტავს, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“ 2017 წლის 10 მაისს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 32, რაც დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2017 წლის 11 მაისის № ი-244 ბრძანებით (იხ. CD დისკი).

მითითებული დასკვნის „III პირობებ“ თავის 1-ლი პუნქტის თანახმად (გვ. 8), შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შემარბილებელი ღონისძიებებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 9 აგვისტოს № 2-654 ბრძანებით (იხ. CD დისკი) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაიკა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება: თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა № 32; 10.05.2017);

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოყვანილია ხმაურთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და ხმაურის რეკომენდირებული სიდიდეები, მათ შორის ღამის

საათებში საცხოვრებელ სახლებთან (45 დბ.). ხმაურის გავრცელება განხილულია შემარბილებელ ღონისძიებებსა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში (იხ. CD დისკო, 113-ე გვერდიდან).

როგორც აღინიშნა, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოში დამონტაჟებული დანადგარებისა და აგრეგატებისაგან გამოწვეული ხმაურის დონე 7,8 დბ.-ით აჭარბებს მოწმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

ამ ქმედებით დაირღვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 9 აგვისტოს № 2-654 ბრძანებით შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობები.

აქედან გამომდინარე, მის მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომლითაც დარღვევას წარმოადგენს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“ 2017 წლის 10 მაისს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 32-ის „III პირობები“ თავის მე-6 პუნქტის თანახმად (გვ. 8), შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია, მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონეებისა და ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის მონიტორინგის კონკრეტული გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა, მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობის, მეთოდების და საკონტროლო წერტილების GIS კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გეგმა-გრაფიკის წარდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

სასამართლო მიუთითებს, რომ 2020 წლის 17 მარტის № 001610 მიწერილობა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიეცა სწორედ 2017 წლის 10 მაისს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 32-ის „III პირობები“ თავის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე, ხოლო სადავო სამართალდარღვევის ოქმი შედგა „III პირობები“ თავის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობაზე.

ამდენად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ პოზიცია, რომ მას სამართალდარღვევის ოქმში მითითებული დარღვევის გამოსწორების ვადა ჯერ კიდევ ჰქონდა, საფუძველს მოკლებულია, რამდენადაც სახეზეა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი - 2017 წლის 10 მაისს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 32-ის „III პირობები“ თავის 1-ლი (რაზეც

შედგა სამართალდარღვევის ოქმი) და მე-6 (რაზეც 2020 წლის 17 მარტს გაიცა № 001610 მიწერილობა) პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა. შესაბამისად, იგი ცნობილი უნდა იქნეს დამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

2014 წლის 14 იანვრის საქართველოს მთავრობის № 54 დადგენილების „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის“ მე-12 მუხლის პირველი ნაწილით, ანთროპოგენური ხმაურისა და ვიბრაციის სტაციონარული წყაროებს მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდების (საცხოვრებელი, საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებები) საზღვარზე (შენობიდან 2 მეტრის მანძილზე) ხმაურისა და ვიბრაციის ნორმატიულ სიდიდეებზე გადაჭარბებისას გარემოსათვის მიყენებული ზიანი განისაზღვრება (გამოიანგარიშება) დანართი 24-ის მიხედვით.

შესაბამისად, კასპი, ფარნავაზის ქ. № 2-ში მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილი ცემენტის საწარმოში დამონტაჟებულ დანადგარებისა და აგრეგატების ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის მავნე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2 000 (ორიათასი) ლარი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი, ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები; კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ამ ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლით, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

იმის გამო, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ქმედებით ხმაურის ნორმის გადაჭარბება ზიანი მიადგა გარემოს სულ 2 000 (ორიათასი) ლარი, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ჯარიმასთან ერთად უნდა დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე, 266-267-ე მუხლებით

დაადგინა:

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ცნობილი იქნეს დამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს მიყენებული ზიანის 2 000 (ორი ათასი) ლარის გადახდა.

ჯარიმის თანხა ჩაირიცხოს № 302003541 სახაზინო კოდზე.
ზიანის თანხა ჩაირიცხოს № 302003581 სახაზინო კოდზე.

განემართოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“, რომ თუ დადგენილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში არ მოხდება დაკისრებული ჯარიმის თანხის გადახდა, დადგენილების აღსრულება მოხდება იძულებითი წესით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-291-ე მუხლებით დადგენილი წესით.


განემართოს მას, რომ მან ქონებრივი ზიანის სახით დაკისრებული თანხა უნდა გადაიხადოს დადგენილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დადგენილების აღსრულება მოხდება იძულებითი წესით აღმასრულებლის მიერ, მის პირად ქონებაზე მიქცევის გზით.

განემართოს, რომ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისათვის დადგენილი ვადის დინებას.

თანხის გადახდის შემთხვევაში შესაბამისი ქვითარი (დედანი) წარმოდგენილი იქნეს სასამართლოში.

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით მხრეთათვის მისი ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი № 7^ა), კასპის მაგისტრატი სასამართლოს მეშვეობით (მის: კასპი, გიორგი სააკაძის ქ. № 124).

მოსამართლე:



დავით პაპუნაშვილი

ახალი დედანთან სარჩელი
ქონის რაიონული სასამართლო
ქაბახის მუნიციპალიტეტი
ქ. თბილისი, გ. რობაქიძის გამზირი № 7^ა

დღის/თვის: 1/08
ს. 08

დანართი 9.2



გორის რაიონული სასამართლო

გორი, ს.ჯორბენამის ქ. 30

ტელ: 0370 27 31 58; ფაქსი 0370 27 26 78, ვებ-გვერდი: gori@court.ge

N4/433-21

09 ნოემბერი, 2021 წელი

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #21

ტელ: 0(371)22 28 37

გეგზავნებათ, გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 30 ოქტომბრის დადგენილების ასლი საქმე N4/433-21 შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიმართ.

დანართი: დადგენილების ასლი - 04 (ოთხ) ფურცლად

პატივისცემით,

გორის რაიონული სასამართლოს

მოსამართლის თანაშემწე

სოფიო ძიძიგური

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“
№ <u>HC/168</u>
<u>22 11</u> 2021წ.
კანცელარია

საქმე #140510021004984915

საქმე №4/433-21



დადგენილება

საქართველოს სახელით
ადმინისტრაციული სახდელის დადების
შესახებ

30 სექტემბერი, 2021 წელი

ქ. გორი

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გერგაულმა

სხდომის მდივნის - ნათია ბერიშვილის
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს -
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
წარმომადგენელი თამაზ ახოზაძე

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის - შპს „ჰაიდელბერგცემენტ
ჯორჯია“

წარმომადგენელი : დავით ღვედაშვილი

მონაწილეობით განიხილა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან
შემოსული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები: - შპს
„ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 230866435, მის:ქ. თბილისი საბურთალოს რაიონი,
აღ. ყაზბეგის გამზირი 21, დირექტორი ოლივერ მანფრედ პაჩი) მიმართ, საქართველოს
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹ მუხლის პირველი ნაწილით
გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2021 წლის 9 აგვისტოს №065152 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და
წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ,
რომელიც ქ. კასპში ფარნავაზის ქ. 2- ში ფლობს და ექსპლუატაციას უწევს ცემენტის
სამქროს, არ არის შესრულებული დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან
ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი
რაოდენობის და ტემპერატურის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი განსაზღვრის
ვალდებულება, კერძოდ საწარმოში არსებული ორგანიზებული გაფრქვევის გ-7
(ცემენტის წისქვილი); გ-11 (ცემენტის წისქვილი); გ-13 (ცემენტის წისქვილი); გ-14
(ცემენტის წისქვილი); და გ 116(ხედლეულის წისქვილი, წინაგამხურებელი, მბრუნავი
ღუმელი და მაცივარი) წყაროებიდან შესაბამისი გამზომი მოწყობილობები

დამონტაჟებულია მხოლოდ გ-116 წყაროზე და ისიც არ არის დაკავშირებული სამინისტროს ელექტრონულ სისტემასთან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელმა თამაზ ახოზაძემ მხარი დაუჭირა სამართალდარღვევის ოქმს და ითხოვა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა.

ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევის შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და ითხოვა პატიება, ასევე განმარტა, რომ აღნიშნული დარღვევები გამოსწორებულია.

სასამართლომ მოისმინა სხდომაზე გამოცხადებული მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა ადმინისტრაციული საქმის მასალები, მიაჩნია, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მხრიდან ადგილი აქვს სამართალდარღვევას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და რომელი ადმინისტრაციული სახდელი რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ამასთან, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირის სამართალდამრღვევად ცნობისათვის და შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადებისათვის, უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა, ხოლო შემდეგ - მისი ბრალეულობა ამ ფაქტის დადგომაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას, მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის) პირი დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგით, ვიდეო-ფირით ან ფოტო ფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

ამავე კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში.

სასამართლომ განიხილა და შეაფასა რა საქმის მასალები, მიიჩნია, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ჩადენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობა- გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადგილზე გადაღებული ფოტო-სურათებით და სხდომაზე გამოცხადებული მხარის ზეპირი ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას, არ არის შესრულებული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს

პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. შესაბამისად, „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ სახდელი უნდა დაედოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციის ფარგლებში.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე, 45¹-ე, 266-ე, 267-ე, 271-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 230866435, მის:ქ. თბილისი საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი 21, დირექტორი ოლივერ მანფრედ პაჩი) ცნობილი იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით;
2. ჯარიმის თანხა ჩაირიცხოს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტებით: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში №200122900, ჯარიმის კოდი 300843241;
3. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ თუ დადგენილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში არ გადაიხდის დაკისრებული ჯარიმის თანხას, დადგენილების აღსრულება მოხდება იძულებითი წესით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-291-ე მუხლებით დადგენილი წესით;
4. თანხის გადახდის შემთხვევაში შესაბამისი ქვითარი (დედანი) წარმოდგენილი იქნეს გორის რაიონულ სასამართლოში.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის საფუძველზე, მისი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზირი №7^ა), გორის რაიონულ სასამართლოს მეშვეობით (მის. ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე :



ნინო გერგაული

დანართი 9.3



გორის რაიონული სასამართლო

გორი, ს.ჯორბენაძის ქ. 30

ტელ: 0370 27 31 58; ფაქსი 0370 27 26 78, ვებ-გვერდი: gori. court. gov.ge

საქმე № 4/423-21

29 დეკემბერი, 2021 წელი

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“
მის: ქ.თბილისი, ქ.თბილისი საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის გამზ N21


გეგზავნებათ გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის დადგენილების ასლი.

დანართი: დადგენილების ასლი - 4 ფურცლად;

პატივისცემით,

გორის რაიონული სასამართლოს
მოსამართლის თანაშემწე

სოფიო ძიძიგური





დადგენილება

საქართველოს სახელით
ადმინისტრაციული სახდელის დადების
შესახებ

11 ოქტომბერი, 2021 წელი

ქ. გორი

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გერგაულმა
სხდომის მდივნის - სოფიო ძიძიგურის

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს -
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
წარმომადგენელი თამაზ ახოზაძე

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის - შპს
„ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“
წარმომადგენელი : დავით ღვედაშვილი

მონაწილეობით განიხილა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
დეპარტამენტიდან შემოსული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და
მასალები: - შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 230866435, მის:ქ.
თბილისი საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი 21, დირექტორი ოლივერ
მანფრედ პაჩი) მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსის 79^ბ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2021 წლის 9 აგვისტოს №065151 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა
და წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“
მიერ, რომელიც ქ. კასპში ფარნავაზის ქ. 2- ში არსებული ცემენტის საწარმოს
დათვალიერებით გამოვლინდა, რომ კომპანიის მიერ კვლავ არ არის
შესრულებული 2021 წლის 28 აპრილის N001937 მიწერილობის მე-4 პუნქტი,
კერძოდ 2021 წლის 7 ივნისს, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის
ქარხნის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე
წარმოქმნილი ნარჩენების მართვას კომპანია არ ახორციელებს კანონდებლობის
შესაბამისად - საწარმოს ტერიტორიაზე ჩრდილო - დასავლეთის მხარეს,
არაერთგანაა დაყრილი ერთმანეთში შერეული სხვადასხვა სახის ნარჩენი, მათ
შორის სახიფათო, სამშენებლო, ინერტული და სხვა.

ასევე ჩდილო-დასავლეთის ნაწილში, სადაც უნდა მოეწყოს არა სახიფათო

ნარჩენების საცავი, დაყრილია დიდი რაოდენობის ერთმანეთში არეული სამშენებლო, საწარმოო სახიფათო და სხვა სახის ნარჩენები.

ასევე საქმეში წარმოდგენილია 2020 წლის 30 ნოემბრის N4/90-20 დადგენილება, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^მ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, აღნიშნული დადგენილების მხარე დაჯარიმდა 15000 ლარით და 2020 წლის 17 მარტის პირველი N 001610 მიწერილობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელმა თამაზ ახოზაძემ მხარი დაუჭირა სამართალდარღვევის ოქმს და ითხოვა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა.

ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევის შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმს.

სასამართლომ მოისმინა სხდომაზე გამოცხადებული მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა ადმინისტრაციული საქმის მასალები, მიაჩნია, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მხრიდან ადგილი აქვს სამართალდარღვევას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და რომელი ადმინისტრაციული სახდელი რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ამასთან, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. შემოადნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირის სამართალდამრღვევად ცნობისათვის და შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადებისათვის, უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა, ხოლო შემდეგ - მისი ბრალეულობა ამ ფაქტის დადგომაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი

შესაბამისობით. სახდელის დადებისას, მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის) პირი დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგით, ვიდეო-ფირით ან ფოტო ფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

ამავე კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში.

სასამართლომ განიხილა და შეაფასა რა საქმის მასალები, მიიჩნია, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ჩადენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით.

შპს „ჰაიდელბარგცემენტ ჯორჯია“ კასპის მაგისტრატი სასამართლოს 2020 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით ცნობილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 15 000 (თხუთმეტიათასი) ლარის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში დარღვევების დათვალიერების გამოსასწორებლად კომპანიას მიეცა 2020 წლის 17 მარტის N001610 და 2021 წლის 28 აპრილს № 001610 ადმინისტრაციული მიწერილობა, რის შესახებაც ცნობილი იყო შპს „ჰაიდელბარგცემენტ ჯორჯიას“ წარმომადგენლობისათვის.

მიწერილობის შესაბამისად, კომპანიას ჩაბარებიდან 3 თვის ვადაში უნდა უზრუნველყო სამართალდარღვევის აღმოფხვრა, რაც მის მიერ არ განხორციელდა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით დარღვევას წარმოადგენს ამ შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გონივრული

ვადის გასვლის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრების (გარდა ამ კოდექსის 232 - ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მიუხედავად, საქმიანობის განმახორციელებლისათვის განმეორებით დადგენილ გონივრულ ვადაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ჯარიმის ცხრამაგი ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ცნობილი უნდა იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა - 45 000 (თხუთმეტიათასი) ლარის (5 000 X 9 =45 000) ოდენობით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადგილზე გადაღებული ფოტო-სურათებით და სხდომაზე გამოცხადებული მხარის ზეპირი ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვას არ ახორციელებს კანონდებლობის შესაბამისად .

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე, 45¹-ე, 266-ე, 267-ე, 271-ე მუხლებით

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 230866435, მის:ქ. თბილისი საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი 21, დირექტორი ოლივერ მანფრედ პაჩი) ცნობილი იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 45 000 ლარის ოდენობით;

2. ჯარიმის თანხა ჩაირიცხოს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტებით: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში №200122900, ჯარიმის კოდი 302003581;

3. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ თუ დადგენილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში არ გადაიხდის დაკისრებული ჯარიმის თანხას, დადგენილების აღსრულება მოხდება იძულებითი წესით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-291-ე მუხლებით დადგენილი წესით;

4. თანხის გადახდის შემთხვევაში შესაბამისი ქვითარი (დედანი) წარმოდგენილი იქნეს გორის რაიონულ სასამართლოში.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის საფუძველზე, მისი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზირი №7^ა), გორის რაიონულ სასამართლოს შემვეობით (მის. ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე:



ნინო გერგაული

დანართი 9.4



სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
ადმოსავლეთის რეგიონული სამმართველო

ძ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა, N5



DES 1 22 00088588



29/11/2022

შპს „ჭაიდელებერგემენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 230866435)
დირექტორს: სილვიო ტიდეს პ/ნ C3K032KNR
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N21

გეგზავნებათ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს 2022 წლის 18 ნოემბერს შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის N 074723, 074724 ასლები.

აქვე განგიმარტავთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ, პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
ადმოსავლეთის რეგიონული სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ქარდავა ლევან

შპს „ჭაიდელებერგემენტ ჯორჯიას“
№ 406/121
1 11 2022 წ.
კანცელარია

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____

79 მუხლის 3-ე მუხლის 8) ქვეპუნქტი

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

დარღვევა,

ნარჩენების მართვის კოდექსის _____

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

დარღვევა.

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____
(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენელი: *[Signature]* _____
(ხელმოწერა)

სამართალდამრღვევი: _____
(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

ოქმის ერთი პირი მივიღე: *[Signature]* _____
(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____

43 მუხლის მეხუთე მუხლი

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

დარღვევა,

ნარჩენების მართვის კოდექსის _____

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

დარღვევა.

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენელი: *[Signature]* _____

(ხელმოწერა)

სამართალდამრღვევი: _____

(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

ოქმის ერთი პირი მივიღე: *[Signature]* _____

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)